პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76)მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 18—80.

შაბათი, 14 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 262 (1417)

ღღიური

— 15 ნოემბერს დაიწყო არჩევნები ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში.
— მოსკოვში გამოემგზავრა ლიტვის ეკონომიური დელეგაცია.
— პარიზში გაიმართა დიდი დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.
— პოლონეთში დაეცა ოქროს კურსი.
— 18 ნოემბერს გაიხსნება იტალიის დეპუტატთა პალატის სესია.
— ბრიუსელში გაიხსნა დეპუტატ-კომუნისტების კონფერენცია.

გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე

ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიმართულია სოფლისაკენ. გლეხობის ნივთიერი კეთილდღეობის და კულტურული დონის აწევა, მისი თვითმოქმედების განვითარება და ჩაბმა აღმშენებლობაში, მშრომელ მოსახლეობის კოოპერატიული დარაზმვა, მისი უფრო დაკავშირება ხელისუფლებასა და მუშათა კლასთან, -ასეთი ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე, რომელთა გადასაჭრელად მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს.

ამავე დროს ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს, სხვათა შორის, ერთ ისეთ მოვლენას, რომელიც მეტად უარყოფითად მოქმედობს გლეხურ მეურნეობაზე და გავლენას ახდენს გლეხის დამოკიდებულების გამომუშავებაზე სახელმწიფოებრივ და სამეურნეო-საზოგადოებრივ ორგანოების მიმართ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი მათგანის დავალიანება გლეხობისადმი. საინსპექციო გამოკვლევამ გამოააშკარავა ამ დავალიანების ფაქტი.

საიდან ჩნდება ხსენებული დავალიანება? საბჭოთა ესა თუ ის ორგანო, ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია იწყებს რომელიმე სამუშაოს (გზის გაყვანა, ხე-ტყის დამზადება, ქვის ტეხვა და მრავალი სხვა), რომელშიც აბამს გლეხობას. ამის წინააღმდეგ აბა რა გვეთქმის, პირიქით—ჩვენ ვესალმებით ყოველგვარ სასარგებლო სამუშაოს დაწყებას და სოფლის მუშა-ხელის იქ დაბანდებას. უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მუშა-ხელს დაწესებულ დროზე ხშირად არ უსწორდებიან. არის ისეთი შემთხვევები, როცა თავისი ხელფასის მისაღებად კვირეების და ზოგჯერ თვეების განმავლობაშიც უხდება გლეხს ტყუილ-უბრალოდ სიარული ამა თუ იმ დაწესებულებაში, სადაც „დღეს-ხვალიობით" ისტუმრებენ და არა იშვიათად უხეშად, „ჩინოვნიკურად" ექცევიან.

მაგრამ გლეხობისადმი დავალიანების მთავარი წყარო სულ სხვაგანაა. სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოები აღებ-მიცემობას აწარმოებენ გლეხებთან, იძენენ მათგან სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს და სხვა ნაწარმოებს (ხილი, ღვინო, ბამბა, აბრეშუმის პარკი და სხ.). აქ უფრო ხშირად ხდება, რომ გლეხობა ძალიან დაგვიანებით იღებს ჩაბარებულ საქონლის საფასურს. აქაც დაუსრულებელი ლოდინი, სიარული ხშირად შორ მანძილზე, დროს უქმად გაცდენა და ენერგიის დახარჯვა, სანამ ეღირსებოდეს კუთვნილ ფულს.

შეიძლება საბჭოთა, კოოპერატიულ თუ სხვა ორგანოებმა თავის მართლება დაიწყონ—ფული თავის დროზე ვერ ვიშოვეთ, შესყიდული საქონელი ვერ გავასაღეთო და სხვა ასეთები. მაგრამ ამით გლეხობის მდგომარეობა როდი გაუმჯობესდება. ყოველგვარ ნაკლის ახსნა „ობიექტიური მიზეზებით" არ შეიძლება. აქ ხშირად აქვს ადგილი უთავბოლობას, დაუდევრობას, უუნარიანობას, გლეხობის კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მნიშვნელობის შეუგნებლობას. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გლეხობისადმი დავალიანების დასაფარავად დანიშნული ფული სხვა საქმეებს ხმარდება.

ადვილად წარმოსადგენია ის მავნე სამეურნეო და პოლიტიკური შედეგები, რომლებიც მოსდევს გლეხობის ინტერესებისადმი ასეთ უყურადღებო დამოკიდებულებას. გლეხობა მონატრებულია ფულს თავის საოჯახო საჭიროებათათვის და მეურნეობის აღსადგენად. ამისათვის ჰყიდის თავის სამუშაო ძალას და ნაწარმოებს. მაგრამ სამაგიეროდ თავის დროზე ვერ ღებულობს ნაოფულარს და ინგრევა მისი სამეურნეო ანგარიშიანობა, თვითონ გაჭირვებაში ვარდება.

დავალიანება კვებავს გლეხობის უკმაყოფილებას, არყევს მის ნდობას ხელისუფლებისა და კოოპერაციისადმი. ამას კი მოხერხებულად იყენებენ ჩვენი მტრები ანტისაბჭოთა აგიტაციის საწარმოებლად.

ჩვენი მიზანია გლეხობის ჩაბმა კოოპერაციაში, მაგრამ უკანასკნელის დავალიანება მისდამი გლეხს კერძო ბაზრისაკენ, სპეკულიანტისაკენ მიაქანებს.

სოფლად საკმარისია თუ გინდ ერთი ფაქტი გლეხისადმი დავალიანებისა, რომ კოოპერაციას სახელი გაუტყდეს მთელ გლეხობაში.

გლეხობისადმი დავალიანებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. პირიანობა, მიცემულ სიტყვის მტკიცედ შესრულება უნდა ედოს საფუძვლად სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოების დამოკიდებულებას გლეხობისადმი.

ამ მხრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშავა მთელი რიგი ზომები ეხლანდელი დავალიანების საჩქაროდ განაღდებისათვის და მომავალში მის ასაცილებლად. საკავშირო მთავრობამ ამაზე საგანგებო [illegible] ჩვენი მთავრობა, ამ დადგენილების თანახმად, შეუდგა გადაჭრილ ზომების მიღებას ამ მეტად არანორმალურ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

გლეხის შრომის და ნაწარმოების სწორი და დაპირებულ ვადაში ანაზღაურება,—ესაა ჩვენი ერთ-ერთი მორიგი ამოცანა. ხელისუფლება ფხიზლად დგას გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე და ის სასტიკ პასუხისგებაში მისცემს ყველა იმათ, ვინც ამ ინტერესებს დაარღვევს. გლეხობისადმი დავალიანების ლიკვიდაცია არავის ეგონოს უმნიშვნელო რამედ, ეს დიდი პოლიტიკური საკითხიცაა, რომელიც უნდა მოგვარდეს დაუყოვნებლივ.

ინგლისი „პოლიტიკურ ცრუმორწმუნეობის" გზით

ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: საბჭოთა კავშირს რომ ვინმე მოასვენებდეს, უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში იმდენად აიწევს იქ ცხოვრების დონე, რომ ის გაცილებით წინ გაუსწრებს მეფის დროს არსებულ მდგომარეობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირი მიაღწევს ამას იმისდამიუხედავად, მიიღებს ის საზღვარ გარეთიდან სესხს თუ არა.

ეს სიტყვები ამოღებულია ინგლისის საპარლამენტო მუშათა დელეგაციის მოხსენებიდან, რომელმაც ხუთი კვირა დაჰყო ჩვენს რესპუბლიკებში და რომელიც ამ ხნის განმავლობაში გულდასმით ეცნობოდა საბჭოთა კავშირის შინაურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას. სხვა დასკვნის გამოტანა არც შეეძლო ჩვენი სინამდვილის მიუდგომლათ დამფასებელ თვალს. და სწორეთ ამით უნდა ავხსნათ, რომ თემთა პალატის მუშათა დელეგაციამ თავის გამომშვიდობების წინ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები დაუსვა საკავშირო ხელისუფლების მთავარ ხელმძღვანელს ინგლის-საბჭოთა ეკონომიურ თანამშრომლობის შესახებ.

ამ კითხვებიდან, სადაც დელეგაცია სთხოვდა ამხ. რიკოვს კონკრეტიული პასუხი გაეცა ნაციონალიზაციაქმნილ ინგლისელ კაპიტალისტების ქონების ანაზღაურების შესახებ, იმ საქონლებისა და მანქანების დასახელების შესახებ, რომლის დაკვეთის განზრახვაც აქვს საბჭოთა მთავრობას ინგლისის მრეწველობასთან და სხვა, ნათლად გამოსჭვივოდა, რომ საპარლამენტო მუშათა დელეგაცია უმთავრესად გამოდიოდა საკუთარ ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებიდან. ჩვენ ვიცით, რამდენათ მწვავეთ სდგას ინგლისის მუშათა კლასის წინაშე უმუშევრობის საკითხი, რომლის გართულებასაც კიდევ უფრო ხელს უწყობს კონსერვატიულ მთავრობის ბრმა პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში.

გავლენიანი გაზეთი „მანჩესტერ გარდიენიც" კი, რომელსაც ვერავინ დასწამებს ჩვენს მიმართ კეთილმეგობრულ განწყობილებას, კონსერვატიულ მთავრობის ამგვარ სიბეცეს ინგლისის კომერციულ კატასტროფისკენ დაქანების პოლიტიკას უწოდებს.

ამხ. რიკოვმა თავის საპასუხო წერილში დელეგაციის მიმართ, ერთხელ კიდევ განიმეორა საბჭოთა მთავრობის მიერ ბევრჯერ გამოთქმული შეხედულება ინგლისთან დამოკიდებულების საკითხში.

ჩვენ მზად ვართ წავიდეთ ყოველგვარ მოლაპარაკებაზე, რომელიც კი მიზნათ ისახავს ინგლის-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის გაუმჯობესებას; ჩვენ მზად ვართ მოვაგვაროთ სადაო საკითხები ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებათა ყოფილ ინგლისელ მეპატრონეებთან იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდო ჩვენსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის შორის წარსული წლის 8 აგვისტოს; ჩვენ განზრახვა გვაქვს დაუკვეთოთ ინგლისის ფაბრიკა-ქარხნებს 150 მილიონ მანეთის მანქანები და საქონელი. ასეთია მოკლეთ ამხ. რიკოვის საპასუხო განცხადება.

არ ვიცით რამდენათ შესცვლის ამის შემდეგ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა თავის „კატასტროფიულ კომერციულ პოლიტიკას" ჩვენთან დამოკიდებულებაში. ხოლო, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ამის ნიშნები არა სჩანან.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდის" განცხადებით, რომელიც დღეს გადმოცემულია დეპეშათა სააგენტოს მიერ, „თუ ინგლისის მთავრობამ არ მიაქცია ყურადღება მთავრობის თავმჯდომარის ამ განცხადებას, ამით ის გააძლიერებს იჭვებს, რომ ინგლისი ლოკარნოს ხელშეკრულებას უყურებს, როგორც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბრძოლის იარაღს".

რაც შეეხება ლოკარნოს ხელშეკრულებას, აქ ჩვენთვის საიდუმლო დღემდისაც არაფერი იყო. სანამ კიდევ მისი შემომქმედნი შვეიცარიის პროვინციალურ ქალაქ ლოკარნოში შეიკრებოდნენ, ჩვენთვის უკვე სავსებით აშკარა იყო—ვის წინააღმდეგ და ვის ხარჯზე ემზადებოდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია შეთანხმების გამოსამუშავებლად. ინგლისის მთავრობა დღესაც არ ღალატობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ იზოლიაციისათვის თავის დაბადების დღიდანვე აღებულ ხაზს.

მაშინ, როდესაც საბჭოთა პოლიტიკის ხელმძღვანელები შემთხვევას არ უშვებენ, რომ დაამტკიცონ თავისი კეთილი განზრახვა ინგლისთან, ან სხვა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ეკონომიურ თანამშრომლობის დამყარების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედება მტკიცე ურთიერთი სარგებლობა, ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები იმ აშკარა განზრახვით, რომ ხელი შეუშალონ ამის განხორციელებას, არავითარ პროვოკაციულ გამოსვლებს არ ერიდებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მკითხველს ალბად ეხსომება კონსერვატიულ მთავრობის „ხაზინადარ" ჩერჩილის ცოფიანი თავდასხმები ჩვენს მიმართ. „სანამ მოსკოვში სხედან პოლიტიკურ ავაზაკების ბანდები, მანამ ცივილიზაცია და კულტურა დაზღვეული არ იქნება რაიმე ექსცესებისა და კატაკლიზმებისაგანო,—განაცხადა მან თავის უკანასკნელ სიტყვაში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. ჩერჩილს უკან არ რჩებიან კონსერვატიულ კაბინეტის სხვა პატივცემული მინისტრებიც.

ჩვენ, როგორც ამხ. რიკოვმა განაცხადა, განზრახვა გვქონდა 150 მილიონ მანეთის საქონელი და მანქანები დაგვეკვეთა ინგლისში. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენი სავაჭრო ოპერაცია ინგლისთან 30 მილიონში გამოიხატება. ამის მიზეზია ის ფინანსიური ბოიკოტი, რომელსაც ინგლისის ბანკები უცხადებენ ყველა იმ კომერსანტს, ვისაც კი განზრახვა აქვს რაიმე კომერციული კავშირი დაიჭიროს ჩვენთან. ცხადია ამ პოლიტიკის ტონის მიმცემი იგივე კონსერვატიული მთავრობაა.

მით უარესი მათთვის. ჩვენ ვიცით რა მუცლის გვრემაცა აქვთ ინგლისის კაპიტალისტებს, ჩვენ ვიცით რა აწუხებს დიდი ბრიტანეთის მესვეურებს. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ სიძულვილით დაბრმავებულმა უკუაგდო ეკონომიურ აუცილებლობით გამოწვეული ქვეყნის გადაუდებელი საჭიროება. ამ მხრივ სრულიად სამართლიანად შენიშნავდა პარლამენტის წევრი მარდი ჯონსი, რომელმაც განაცხადა, რომ „პოლიტიკურ ცრუმორწმუნეობით შეპყრობილი ინგლისი ხელიდან უშვებს თავის ვაჭრობის განვითარების საშუალებასო".

განაგრძოს ამ „ცრუმორწმუნეობის" გზით სვლა კონსერვატიულმა მთავრობამ. ჩვენ ამით ბევრს არ დავჰკარგავთ. დრო საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ მუშაობს. შეიძლება მეტი ტკივილებით, უფრო გვიან, მაგრამ მაინც შევძლებთ გამოსვლას ფართე ეკონომიურ განვითარების გზაზე. ხოლო ცხოვრების ლოღიკა, ეკონომიური ჩიხი, რომლისაკენაც მიექანება ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობა, დღეგრძელობას არ უქადის დიდი ბრიტანეთის დღევანდელ მესვეურებს.

X.

ლოკარნოს ხელშეკრულების დადების შემდეგ

ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის შესვლის საკითხი

ინგლისი არ შეუთანხმდა ხელშეკრულების დადების დროს ახალ შენებს

მცირე ანტანტის კონფერენცია განიხილავს ლოკარნოს ხელშეკრულებას

ლოკარნოს ხელშეკრულების საკითხს რეიხსტაგი მალე განიხილავს

რიკოვის წერილი

ლონდონი, 12 ნოემბერი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს რიკოვის წერილი საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე უოლხედისადმი ინგლისსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" ეხება რა წერილს, აცხადებს:

„თუ ინგლისის მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია საბჭოთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებას, იმ შემთხვევაში გაძლიერდება ეჭვები, რომ ინგლისის მთავრობა ლოკარნოს ხელშეკრულებას უცქერის ისე, როგორც საბრძოლველ იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

„ცივილიზაციის დასაცავი იარაღი".

ლონდონი, 12 ნოემბერი. სამხრეთ-აფრიკის ყოფილმა პრემიერმა სმეტსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის მიესალმა ლოკარნოს ხელშეკრულების დადებას, რაშიაც იგი ხედავს ევროპის ცივილიზაციის დასაცავ იარაღს საბჭოთა კავშირისაგან.

სმეტსმა თუმცა შიში გამოსთქვა იმ ვალდებულებათა გამო, რომელიც თავს იდო ინგლისის მთავრობამ და სამწუხაროდ აღიარა ის გარემოება, რომ ინგლისი არ შეუთანხმდა ხელშეკრულების დადების დროს ახალშენებს. ამის გამო სმეტსი ეჭვობს, რომ ყველა ახალშენები მიემხრონ ხელშეკრულებას და ფიქრობს რომ ლოკარნოს ხელშეკრულება შექმნის ახალშენების დამოუკიდებელი გამოსვლების პრეცედენტს საერთაშორისო პოლიტიკაში.

საგარანტიო ხელშეკრულება ბალკანეთზე.

ლონდონი, 12 ნოემბ. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებ შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების პროექტის წინააღმდეგ გამოდის სამხრეთ-სლავია, რომელიც არ თანხმდება სათანადო კონფერენციის მოწვევაზე და არ უნდა შეურიგდეს ბულგარეთს.

მცირე ანტანტის კონფერენცია.

ვენა, 12 ნოემბერი. მცირე ანტანტის სახელმწიფოთა კონფერენცია გაიხსნება ნოემბრის დამლევს პრაგაში.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია: ლოკარნოს ხელშეკრულების განხილვა. საბჭოთა კავშირის ცნობა და სხვა საკითხები.

ედუარდ გრეის განცხადება

ლონდონი, 12 ნოემ. მანჩესტერში მიტინგზე გამოვიდა ლორდ-გრეი.

შეეხო რა ლოკარნოს ხელშეკრულებას, გრეიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არის ერთად ერთი დიდი სახელმწიფო ევროპაში, რომელიც იმყოფება ლოკარნოში მიღწეულ დიპლომატიურ შეთანხმების გარეშე.

გრეიმ გამოსთქვა იმედი, რომ „რუსეთი გაიგებს, რომ იზოლიაცია მისი შეცდომის შედეგია". თუ რუსეთი დარჩა გარიყული სახელმწიფოების მიერ, ეს მოხდა იმიტომ, რომ მან უარი განაცხადა მათ საერთო ოჯახში შესვლაზე.

კლაინსის განცხადება

ლონდონი, 12 ნოემბ. მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა გულლში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

„გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში ნიშნავს იმას, რომ ამერიკას არ შეუძლია დარჩეს ლიგის გარეშე. ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში".

რეიხსტაგის სესია

ბერლინი, 12 ნოემბ. 20 ნოემბერს იხსნება გერმანიის რეიხსტაგის სესია. პირველი რიგის საკითხებში დაყენებულია იტალიისა და გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულების განხილვა. ლოკარნოს ხელშეკრულებათა განხილვა მოხდება 23 ნოემბერს.

მდგომარეობა ჩინეთში

მდგომარეობა პეკინთან სერიოზულია

პეკინი, 12 ნოემბერი. მდგომარეობა პეკინთან დღითი დღე სერიოზული ხდება. მუკდენის ჯარებმა დაიკავეს ტუნ-ჩოუ, პეკინის აღმოსავლეთით ფინ-უი-სიანის ჯარები, როგორც ამბობენ, თავდასაცავ სიმაგრეებს აშენებენ პეკინის დასავლეთით, რამდენიმე მილის მანძილზე ქალაქიდან.

[illegible] დახმარება

პეკინი, 12 ნოემბერი. შან-დუნის პროვინციიდან მიღებული ცნობის თანახმად მუკდენის ჯარები განაგრძობენ უკან დახევას ტიან-ცზინ-ცუკუსუს რკინისგზის ლიანდაგის მიმართულებით, მაგრამ თანაც ცდილობენ გაამაგრონ ხან-ჩუნ-ლინჩენის ხაზი, რომელიც უ-პეი-ფუს ჯარების მიერ არის დაჭერილი.

როგორც ხმები დადის, მუკდენის ჯარები მთლად დასცლიან შანდუნის პროვინციას.

მეორე სახალხო არმიის სარდალი ით-ვეი-ცზინი, როგორც ამბობენ, ჩჟილი-ხონანის პროვინციის საზღვრებზე [illegible] დაც მას თავი მოუყრია უკვე 50.000 კაცისათვის.

მანიფესტაცია იმპერიალისტურ ომების წინააღმდეგ

პარიზი, 12 ნოემბ., დროებითი ზავის ჩამოგდების წლის თავზე, პარიზის მახლობლად გაიმართა მანიფესტაცია იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ.

მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 25.000 მშრომელმა.

პარლამენტის წევრ-კომუნისტების კონფერენცია

პარიზი, 12 ნოემბ. ბრიუსელში გაიმართა პარლამენტის წევრ-კომუნისტების კონფერენცია, რომელზედაც საბაჟო პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის დეპუტატმა გერწლემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბაჟო ტარიფის საკითხის გადაჭრაში კომუნისტები უარყოფენ თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას და პროტექციონიზმს. საკითხის გადაჭრა გამოიხატება წარმოებაზე კანტროლის დაწესებაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კაშენმა, ტრენმა, მარტინმა და გერმანელმა კომუნისტმა შტეკერმა.

ლოკარნოს ხელშეკრულების საკითხის განხილვის დროს გერმანიის დელეგაციამ ხაზი გაუსვა იმ საშიშროებას, რომელიც საბჭოთა კავშირს მოელის ლოკარნოს შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ინგლისის პარლამენტის წევრმა საკლატვალამ აღნიშნა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება წარმოადგენს მომავალ ომების წყაროს.

პროფინტერნის პლენუმი

მოსკოვი, 13 ნოემბერი 1926 წლის 15 თებერვალს მოწვეულ იქნება პროფინტერნის მორიგი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგი: 1. აღმასრულებელ ბუროს ანგარიში, 2. პროფმოძრაობის უახლოესი ამოცანები, 3. ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ, 4. პროფმოძრაობის შესახებ ჩინეთში, 5. წყნარ ოკეანის პროფკავშირების ყრილობის შესახებ, 6. პროფმოძრაობა შეერთებულ შტატებში, 7. ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისათვის, 8. სოციალური კანონმდებლობა.

არჩევნები ჩეხო-სლოვაკიაში

[illegible] შესდგება ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის არჩევნები.

აქამდე დეპუტატთა პალატაში ითვლებოდა 294 წევრი, სენატში—150. ვინაიდან ამ ჟამად არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ სილეზიის მცხოვრებლები, ამიტომ დეპუტატთა რიცხვი გაიზრდება 300 კაცამდე.

არჩევნებზე საკითხი უმთავრესად იმას ეხება, თუ რამდენად შესძლებს მთავრობის ახლანდელი კოალიცია თავისი პოზიციების შენარჩუნებას. ეს კოალიცია შესდგებოდა 160 კაცისაგან, [illegible] პარტიულად იყოფოდნენ შემდეგნაირად: 35 სოციალ-დემოკრატი, 27 ნაციონალ-სოციალისტი, 22 ნაციონალ-დემოკრატი, 42 აგრარული პარტიის წევრი, 21 კათოლიკური სახალხო პარტიის წევრი. ყველა დანარჩენი პარტიები იმყოფებოდნენ ოპოზიციაში.

კომუნისტური ორგანიზაციის საარჩევნო აგიტაცია ამ ჟამად გაცილებით უფრო გაცხოველებულია, ვიდრე 1920 წლის არჩევნების დროს და მიმდინარეობს სრულიად უინციდენტოთ.

დანიის მუშათა დელეგაცია

ხარკოვი, 13 ნოემბ. 12 ნოემბერს ხარკოვში გამოიარა დანიის მუშათა დელეგაციამ ადამსენის მეთაურობით. დელეგაცია მიემგზავრება ეკატერინოსლავში.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ადამსენმა განაცხადა, რომ დელეგატებმა საუკეთესო შთაბეჭდილება მიიღეს მოსკოვში, ლენინგრადში. საბჭოთა კავშირის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

ადამსენმა განაცხადა, რომ დანიაში დაბრუნების შემდეგ დელეგატები შეეცდებიან პრაქტიკულად შექმნან პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტი.

საბჭოთა კავშირი და საწარმოო ძალთა განაწილება

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 13 ნოემბ. „იზვესტია" მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„მრეწველობის განაწილებას კავშირის ტერიტორიაზე აზის რამოდენიმედ რუსეთის ძველი ისტორიის ძველ ეკონომიურ ურთიერთობათადაღი. დღემდე ის თავს იყრის ოთხ მთავარ ოლქში: ცენტრალური სამრეწველო რაიონი, უმეტესად მანუფაქტურული, ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქი, უმთავრესად ლენინგრადის გუბერნია, ურალი და, დასასრულ, დონის რაიონი, მჭიდროთ დაკავშირებული „კრივოროჟიესთან". მრეწველობა, რომელმაც ფეხი მოიკიდა ისტორიულ მიზეზების გამო განსაზღვრულ ცენტრებში და გაიზარდა პოლიტიკურ ძალად, პოულობდა საკმაო საშუალებებს, რომ შეენარჩუნებია გაბატონებული მდგომარეობა და არ დაეშვა კონკურენცია. განსაკუთრებული სიფრთხილით ის სცდილობდა ჩაეხშო მრეწველობის წარმოშობა ისეთ ოლქებში, სადაც მას შეეძლო ეპოვა საუკეთესო დასაყრდენი ბუნებრივ პირობებში.

პროლეტარულმა რევოლიუციამ ბოლო მოუღო ყოველგვარ „დიდმპყრობელურ" ზრახვებს. რუსეთის და უკრაინის პროლეტარიატმა კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი ულრესად განმტკაცდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სულ ყველა საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში შეიქმნება მსხვილ სამრეწველო პროლეტარიატის საკმაო დიდი კადრი, რომელიც ჩააბამს სოციალისტურ აღმშენებლობაში იმ ეროვნებათა დიდ უმრავლესობას, რომლებიც დღემდე იმყოფებიან ისტორიული მოძრაობის გარეშე. ადგილობრივი სამრეწველო პროლეტარიატი ჩააბამს ამ მასებს აღმშენებლობის საქმეში და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ. მაშინ საბჭოთა კავშირი თავის ყველა ნაწილში შექმნის ურყევ სიმტკიცეს და ძლიერებას.

წინააღმდეგ მემამულეების და კაპიტალისტების რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკისა, მუშათა კლასი ყოველივე ძალღონეს იხმარს იმისათვის, რომ ჩააბას ეკონომიურ ცხოვრებაში ყოფილი „განაპირა მხარეები"—ციმბირი, შუა აზია, ამიერკავკასია, ჩრდილოეთი რუსეთი და ბელორუსია.

პროლეტარიატი—მშენებელი წინდაწინვე გადასწყვეტს, სად უფრო ხელსაყრელია ახალი მაღაროების, ფაბრიკების და ქარხნების შექმნა, საითკენ უნდა იქნეს მიმართული მუშა-ხელი და საზოგადოთ როგორ უნდა მოხდეს საწარმოო ძალთა განაწილება მთელს კავშირში. ის სავსებით გაანაღდებს კავშირის ახალ ეკონომიკაში იმას, რასაც მას აძლევს პოლიტიკური წესწყობილება. ის პირველი ჩაუყრის მტკიცე საძირკველს ამ პოლიტიკურ წესწყობილებას. ის მძიმე ლოდს დაადებს „დიდმპყრობელური რუსეთის" კუბოს".

უკანასკნელი ცნობები

სამთომადნო მუშათა საერთაშორისო გაერთიანების დელეგაცია.

პარიზი, 12 ნოემბერი. სამთომადნო მუშების საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომმა გადასწყვიტა გაგზავნოს მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმ პირობით, თუ დელეგაციას უფლება ექნება თვითვე ამოირჩიოს მთარგმნელი.

იტალიის ვალი ამერიკისადმი.

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. იტალიამ თავისი ვალი ამერიკისადმი უფრო კარგ პირობებში მოაწესრიგა ვიდრე ბელგიამ. მთელი ვალი პროცენტებით—2 მილიარდი და 42 მილიონი უნდა გადახდილ იქნას 6 წლის განმავლობაში. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წლივ უნდა გადახდილ იქნას ხუთ-ხუთი მილიონი დოლარი, მხოლოდ უკანასკნელ წელში ეს ციფრი ადის 8 მილიონამდი.

ინგლისის, ამერიკის და გერმანიის წარმოებათა პატრონების ტეხნიკური თანამშრომლობა

ნიუ-იორკი, 12 ნოემბ. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების საქმიან წრეებში ადასტურებენ იმ ცნობებს ბერლინიდან, თითქოს განზრახული იყვეს ინგლისის, ამერიკის და გერმანიის იმ წარმოებათა პატრონების შეთანხმება მჭიდრო ტეხნიკურ თანამშრომლობისთვის, რომლებიც აწარმოებდენ სამხედრო მასალების დამზადებას.

სომეხ-ლტოლვილთა ჩამოსვლა საბერძნეთიდან

ბათომი, 13 ნოემბ. 13 ნოემბ. საბერძნეთიდან გემ „ხარლამბოს"-მა ჩამოიყვანა 3.062 ლტოლვილი. მათ შორის 50 ობოლი.

საკავშირო რესპუბლიკ[illegible]

მოსკოვი, 13 ნოემბ. სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკავშირო რესპუბლიკების ხარჯთაღრიცხვა.

სახ. საგეგმო კომისიის საბიუჯეტო საფინანსო სექციის პროექტი ამიერკავკასიის ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალი დაახლოებით განისაზღვრება 33.800,000 მანეთით. გასავალი კი 56.000,000 მან.

გადასახადიდან შემოსავალს სექცია საზღვრავს დაახლოვებით 16 მილიონი მანეთით, არასაგადასახადო შემოსავალს—17.000,000 მანეთამდი.

გაერთიანებულ და ახალგაერთიანებულ უწყებებისა და დაწესებულებების გასავალი შეადგენს 32 მილიონი მანეთი, ფონდებისთვის—22 მილიონ მანეთამდი და არაჩვეულებრივი გადასახადი—1.700,000.

საგეგმო კომისიამ დაამტკიცა [illegible] ციის პროექტი.

ტერორი პოლონეთში.

კიევი, 12 ნოემბ. [illegible] პოლონეთის სატუსაღოებში მყოფ [illegible] პოლიტიკურებიდან ადგილობრივმა [illegible] რედაქციამ მთელი რიგი წერილები მიიღო.

პატიმრები იწერებიან, რომ პოლონეთში ტერორი დღითიდღე ძლიერდება. სატუსაღოებში სასტიკი პირობებია. სატუსაღო „წმინდა ჯვარი" საფლავია მათთვის, ვინც ხვდება აქ 4—5 კაცი ყოველ დღე კვდება ამ სატუსაღოში. ტუსაღებს ცივ კამერებში ძინავთ იატაკზე, ყველა დაკონკილია. გაზეთებს და წიგნებს არ იძლევიან.

ფრიც კარზენის წერილი

ბერლინი, 12 ნოემბ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი" ათავსებს ფრიც კარზენის წერილს შემდეგი სათაურით: „ახალი რუსეთი".

წერილის ავტორი, რომელ მაც 4 კვირას დაჰყო საბჭოთა კავშირში, ამბობს, რომ ის არა კომუნისტია, და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში არსებული დიქტატურა იცავს ფართო მშრომელ მასების ინტერესებს. მისი სიტყვით საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ქვეყნის კულტურულათ ასაღორძინებლათ.

კარზენი აღნიშნავს კომპარტიის რკინისებურ დისციპლინას. ის აღნიშნავს, რომ ეკლესიებში მოსიარულეთა რიცხვი ძლიერ შემცირდა და ბოლოს კარზენი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირი აღორძინების გზაზეა და დასავლეთ ევროპას ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს მისგანო.

[illegible] ტისადმი

ტოკიო, 12 ნოემბ. შესდგა კაბინეტის სასწრაფო სხდომა ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო. ცნობაა, რომ იაპონიის ფლოტს ნაბრძანები აქვს მზად იყვეს.

შეტაკება ინგლისის ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის

ლონდონი, 12 ნოემბ. ლონდონში გაიდ-პარკში მოხდა შეტაკება ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის. შეტაკებაში ჩაერია პოლიცია.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისელ კომკავშირელების ჩამოსვლა

ლენინგრადი, 13 ნოემბერი. გემ „არკოს"-ით ჩამოვიდა ლივერპულიდან 3 ინგლისელი კომკავშირელი, რომლებმაც ამასწინად დაიწყეს სამსახური გემზე. მათ შორის არის ცნობილ ინგლისელ კომუნისტის, კომინტერნის აღმასკომის წევრის სტუარტის შვილი.

ლივერპულიდან გამომგზავრების წინ პოლიციელებმა გაჩხრიკეს გემი, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

პოლიტიკურ ემიგრანტების ჩამოსვლა

ხარკოვი, 13 ნოემბერი. ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიიდან პოლიტიკურ ემიგრანტების ერთი ჯგუფი 35 კაცის რაოდენობით. მათ შორის უმეტესობას უკრაინელები შეადგენენ.

ისინი იძულებული გახდენ წამოსულიყვნენ ჩეხო-სლოვაკიიდან იმ სასტიკი რეპრესიების გამო, რომელსაც მიმართავენ იქ ყველა რევოლიუციონურად განწყობილ ელემენტების მიმართ. ემიგრანტები—მუშები რჩებიან სამუშაოდ ხარკოვის წარმოებებში, დანარჩენები დასახლდებიან სოფლებში.

კარახანის გამგზავრება ჩინეთში

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ამაღამ პეკინში მიემგზავრება გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში კარახანი.

ფინ-იუი-სიანის სამძიმრის დეპეშა ფრუნზეს გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ჩინეთის დიპლომატიურმა მისიამ მოსკოვში მიიღო გენერალ ფინ-იუი-სიანისაგან დეპეშა, რომელშიაც ის სთხოვს მისიას გადასცეს საბჭოთა კავშირის მთავრობას სამძიმარი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის—ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

ფინ-იუი-სიანის მისასალმებელი დეპეშა

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ჩინეთის დიპლომატიურმა მისიამ მოსკოვში მიიღო ფინ-იუი-სიანისაგან დეპეშა, რომელშიაც სთხოვს მისიას გადასცეს საბჭოთა კავშირის მთავრობას მისალმება ოქტომბრის რევოლიუციის მე-8-ე წლის თავის გამო და უსურვოს მას მეტი წარმატებები მომავალში.

ფასების დაკლების კამპანია

მოსკოვი, 13 ნოემბერი. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თავის ორგანოებს ადგილებზე გააძლიერონ ფასების დაკლების კამპანია და გააფართოვონ მუშაობა სამრეწველო საქონლის მოწესრიგების დარგში. დაწესებულ ფასების დამრღვევნი მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში. კამპანიას უნდა მიეცეს ფართო საზოგადოებრივი ხასიათი, საბჭოთა—პარტიულ აპარატის დახმარებით.

ჩეხიის რეაქციონური პრესის კამპანია

პრაგა, 12 ნოემბერი. იმის გამო, რომ ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთები კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის წინააღმდეგ პრაგაში, და ამგვარად სცდილობენ ჩათრიონ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა შინაურ საარჩევნო ბრძოლაში, საბჭ. კავშირის წარმომადგენლობამ მიაქცია ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ პრესის ერთი ნაწილი არღვევს დიპლომატიურ თავაზიანობის ელემენტარულ წესებს.

ლიტვის ეკონომიური დელეგაცია საბჭოთა კავშირში

კოვნო, 12 ნოემბერი. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა დარბაზობა ეკონომიური დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში აპირებს გამგზავრებას.

12 ნოემბერს მოსკოვში გაემგზავრენ: დელეგაციის თავმჯდომარე ლოკოვაიჩი, მდივანი მონტვილა და წევრები: პაკნისი, ვოშილიუსი სტეპანოვიჩი და შულცი.

თეთრი ტერორის ქვეყნებში

ზადება სახელმწიფო გადატრიალებისათვის პოლონეთში

ანეთში აღმოაჩინეს შეთქმულება დირექტორიის წინააღმდეგ

მონსტრაცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ ადმირალ ხორტის სამფლობელოში

ლონეთის პოლიციამ გაჩხრიკა საბჭოთა კავშირ. დაბრუნებული ჩეხო-სლოვაკ. დელეგაცია

პოლიტიკურ პატიმრების სიმშილობა პოლონეთის ციხეებში

პილსუდსკი გადატრიალებას ამზადებს

ლინი, 12 ნოემბერი. ვარშავის მიღებული ცნობების თანახმად პილსუდსკის მომხრეები, რომლებიც ოპოზიციაში უდგან ეხლანდელ მთავრობას, ამზადებენ სახელმწიფოებრივ გადატრიალებას. ორგანიზაციის სათავეში დგას პილსუდსკი, რომელსაც მხარს უჭერენ „ვიზვოლენიეს" (საშუალო და ღარიბ გლეხობის პარტიის) პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ჯგუფი, პილსუდსკის მიერ დაარსებულ [illegible] სამხედრო ორგანიზაციის ცალკეერთი ნაწილები.

შეთქმულებს განზრახული აქვთ მიიღონ სეიმი და მთავრობა და პილსუდსკი გამოაცხადონ დიქტატორად.

მემარჯვენეები სამხედრო საქმეთა მინისტრის გენერალ სიკორსკის დახმარებით, თავს უყრიან ვარშავაში საიმედო ჯარის ნაწილებს.

მკვლელობა ლუცკის ციხეში

ვარშავა, 12 ნოემბერი. სეიმის კომუნისტურ ფრაქციის მიერ იუსტიციის მინისტრის სახელზე შეტანილია შეკითხვა 147 პოლიტიკურ პატიმრის სიმშილობისა და ლუცკის ციხეში პოლიტიკურ პატიმრის ჩვალინსკის მოკვლის შესახებ.

შეკითხვაში ნათქვამია, რომ დაკითხვის დროს „ოხრანკაში" პოლიტიკურ პატიმრებზე დიდ ძალმომრეობას ხმარობენ. სატუსაღოს ადმინისტრაციის უდიერათ მოპყრობის გამო პატიმრებმა სიმშილი გამოაცხადეს. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა, ძალით კვებოს პატიმრებს და განკარგულება გასცა, სათითაოდ გამოიყვანონ პატიმრები დერეფანში. ყველა კამერებში დიდი აღშფოთება გამოიწვია ხსენებულმა განკარგულებამ. მაშინ ციხის მოდარაჯე რაზმმა დაიწყო სროლა კამერებში, რომლის დროსაც მოჰკლეს პოლიტპატიმარი—ჩვალინსკი. ამის შემდეგ ადმინისტრაციამ გამოიწვია კიდევ ჯარები.

ციხის ადმინისტრაციამ უარი უთხრა ჩვალინსკის ჭირისუფლებს მისი გვამის მიცემაზე.

პოლიტიკურ პატიმართა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა 5 დღის სიმშილობის შემდეგ.

როგორ შეხვდენ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას

მინსკი, 18 ნოემბერი. მიღებულია ცნობები, რომ ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ბრუნდებოდა, პოლონეთში გაჩხრეკილი იქნა პოლონეთის პოლიციის მიერ.

როგორც კი მატარებელი გადავიდა პოლონეთის საზღვარზე, მას გარს შემოერტყა პოლონელთა მცველი რაზმი. ოფიცერმა გასცა განკარგულება: „ადგილიდან არ დაიძრათ და ფანჯრებში არ გადაიხედოთ". ამ ბრძანებას დელეგატები არ დაემორჩილენ და განაგრძეს ფანჯრებიდან ცქერა და უკანასკნელ სალამს უძღვნიდენ საბჭოთა მოქალაქეებისადმი, რომლებიც დელეგაციას აცილებდენ.

სტოლბეცში ჩასვლისას პოლიციელები შეუდგენ დელეგაციის ნივთების დათვალიერებას. დელეგატებისაგან პოლიციელებმა მოითხოვეს წითელი დროშების ჩაბარება. დელეგატებმა განუცხადეს, რომ მათ არავითარი დროშები არ აქვთ, მაგრამ მათ მიაქვთ წითელი ცხვირსახოცები, თავსაფრები და ხელსახვევები. პოლიციელებმა მოითხოვეს ყველაფერ წითელი ნივთების ჩაბარება. დელეგატებმა პროტესტი განაცხადეს და სთქვეს, რომ ნივთებს არ ჩააბარებენ, რადგანაც წითელი ფერი პოლონეთში არ არის მოსპობილი. როდესაც პოლიციელებმა დაინახეს ასეთი წინააღმდეგობა, თავი დაანებეს წითელი ნივთების ჩამორთმევას და დაიწყეს კალათების და ჩემოდნების დათვალიერება."

ჩხრეკა უშედეგოთ დამთავრდა. პოლიციელებმა მოითხოვეს უბის წიგნები და შეეცადენ ჩამოერთმიათ ზოგიერთი დელეგატებისათვის ახალგ. კომინტერნის ნიშნები. მაგრამ დელეგატების ენერგიული პროტესტის გამო პოლიციელები ვერას გახდენ.

ოქროს კურსის დაცემა.

ვარშავა, 12 ნოემბ. პოლონეთში ფინანსიურ კრიზისის დაწყების გამო, კვლავ დაეცა ოქროს კურსი.

რუმინეთის „ოხრანკის" მუშაობა.

ვენა, 12 ნოემბ. რუმინეთის ოხრანკა ირწმუნება, თითქოს კომუნისტებს განზრახული ჰქონდათ მთელი რიგი ტერორისტული აქტების მოხდენა.

„ოხრანკა" იუწყება აგრეთვე, რომ აღმოჩენილია შეთქმულების ახალი ორგანიზაცია.

გალაცში ამას წინად მუშების დაპატიმრების შემდეგ დაიწყო მუშათა ორგანიზაციების დევნა. მთავრობის გაზეთი „ვიტორული" ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა აგენტებს, რომლებიც არალეგალურად ჩამოვიდენ რუმინეთში, განზრახული ჰქონდათ ტერორისტული აქტების მოხდენა რუმინეთის კომუნისტების ამოქმედების და რუმინეთში რევოლიუციის მოხდენის მიზნით. გაზეთი იუწყება, რომ რუმინეთის მთელ რიგ ქალაქებში გამოკრული იყო კომუნისტური მოწოდებები, რომლებშიაც ქება-დიდებით მოხსენიებულია დოფტანის ციხეში 56 დღის სიმშილობის შემდეგ გარდაცვლილ მაქს გოლდშტეინი.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 ნოემ. რემედსის მიერ ნიუ-იორკში მოწყობილ იქნა დიდი დემონსტრაცია თეთრი ტერორის წინამღმდეგ ჰუნგრეთში. დემონსტრაციაზე ჰუნგრეთის საკონსულოს მახლობლათ დაპატიმრებულ იქნა 38 კაცი.

შეთქმულება დირექტორიის წინააღმდეგ

პარიზი, 12 ნოემ. ბარსელონის პოლიცია იუწყება, რომ აღმოჩენილია შეთქმულება ესპანეთის დირექტორიის წინააღმდეგ.

შეთქმულებაში, პოლიციის განცხადების თანახმად, მონაწილეობას იღებენ არმიის მაღალი თანამდებობის პირნი.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

მემარცხენე ბლოკის საფინანსო რეფორმა

პარიზი, 12 ნოემბერი. პარლამენტის საფინანსო კომისიაში გაცხარებულ კამათის და მთავრობასა და ფინანსო კომისიის წარმომადგენელთა შორის გამართულ თათბირის შემდეგ, მემარცხენე ბლოკის მოსალოდნელი განხეთქილება თავიდან იქნა აცილებული.

მემარცხენე ბლოკის შემადგენლობაში შემავალ პარტიების შეთანხმე[illegible] ბანკნოტების ახალი ემისიის ნაცვლად აღდგენილი იქნება (ხელახლა დაიბეჭდება იმავე ნომრებით) ბანკნოტები, რომელიც დაიკარგენ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში—1,5 მილიარდი ფრანკის რაოდენობით; მოხდება ხაზინის ბონების კონსოლიდაცია, გარდა იმ ბონებისა, რომლებსაც ვადა უთავდებათ 8 დეკემბერს; სახელმწიფოს სასარგებლოთ გადარიცხული იქნება სამრეწველო და სავაჭრო წარმოებათა მოგების 15 პროც.

მდგომარეობა მაინც რთულია

პარიზი, 12 ნოემბერი. მიუხედავათ პენლევეს პროექტის გარშემო მიღწეულ შეთანხმებისა, საეჭვოა, რომ პენლევეს კაპიტულიაციით და სოციალისტების ღალატით გამოსწორებული იქნეს მდგომარეობა, რადგან მთავრობის ახალმა საფინანსო პროექტმა, რომელიც შეიცავს ფორმალურ დათმობას მემარცხენე ბლოკისადმი, კიდეც რომ შეჰკრიბოს ხმების უმრავლესობა პალატაში, იგი მაინც იქნება უარყოფილი სენატის მიერ, რომელმაც უკვე გამოააშკარავა თავისი დამოკიდებულება პროექტისადმი იმით, რომ საფინანსო კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა დუმერი და მომხსენებლად ბერანჟე; ორივე ესენი ყოველგვარ რადიკალურ საფინან[illegible]ნაალმდეგენი არიან.

საფინანსო პროექტი

პარიზი, 12 ნოემბერი. პენლევემ წარუდგინა პარლამენტის საფინანსო კომისიას საფინანსო პროექტი, რომელიც შედგენილია მემარცხენე ბლოკის შესწორებების მიხედვით.

ეჭვს გარეშეა, რომ საფინანსო კომისია მიიღებს ამ პროექტს, რომელიც 13 ნოემბერს წარედგინება პალატას.

პესიმისტური განწყობილება

პარიზი, 12 ნოემბერი. მიუხედავათ მიღწეულ შეთანხმებისა დეპუტატთა პალატის სოციალისტურ ფრაქციის რიგებში შემჩნეულია პესიმისტური განწყობილება, რადგან მათ იმედი არა აქვთ, რომ პენლევეს ახალი პროექტი მოწონებული იქნება სენატის მიერ.

რუმინიის კრონპრინცის მატარებელს ქვები დაუშინეს

ვენა, 12 ნოემბერი. რუმინიის გაზეთები იუწყებიან, რომ სადგურ კაპალუნგის ახლოს მატარებელს, რომელშიაც რუმინიის კრონპრინცი კარლი იმყოფებოდა, ქვები დაუშინეს. დაჭრილია პრინცის რამდენიმე მხლებელი.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 18 ნოემბ. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში [illegible] ლი[illegible]ოვის და პოლონეთის ჩემპიონის რუბენშტეინის თამაშობა 47 წუთის ვასვლის შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა. აგრეთვე უშედეგოთ დამთავრდა პარტიები შპილმანის და ბოგატირჩუკის, ზენიშის და რაბინოვიჩის, გოტგილფის და [illegible]. ტარტაკოვერმა მოუგო ვერლინსკის. ილიინ-ჟენევსკიმ—ზუბარევს.

ლასკერ—რომანოვსკის პარტია [illegible] თავრებულა.

აგრეთვე გადადებულია პარტია [illegible]. რეტი—ლევენფიშის თამაშობაც უშედეგოთ დამთავრდა.

მოსკოვი, 18 ნოემბ. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 12 ნოემბერს კაპაბლანკას და გრიუნფელდის თამაში უშედეგოთ დასრულდა.

შეიდემანი—მექრთამე

გერმანელ ნაციონალისტთა ორგანო „მიუნხენერ ნახრისტენ" იუწყება:

„გერმანელ სოციალ-დემოკრატების ბელადი შეიდემანი მარკის კურსის დაცემის დროს დიდ დახმარებას უწევდა მუხგოლცის სპეკულიანტურ ფირმას ქ. კასსილში, რისთვისაც მან ამ ფირმისაგან სხვადასხვა დროს დიდი თანხა მიიღო".

შეიდემანს დღემდი არ უარუყვია ეს ცნობა.

(„კრ. გ.")

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ყირიმის განთავისუფლების ხუთი წლის თავი.

მოსკოვი, 13 ნოემბ. ყირიმის თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლების ხუთი წლის თავის შესრულების გამო, ყირიმის ცაკმა გაუგზავნა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს რიკოვს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა დღითი-დღე ძლიერდება. შევდივართ რა ჩვენი რესპუბლიკის არსებობის მეექვსე წელში, ჩვენ კიდევ უფრო ერთგულად დავიცავთ ილიჩის ანდერძს და კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს".

პოლიგრაფიული მრეწველობის გასაუმჯობესებლად.

მოსკოვი, 13 ნოემ. პოლიგრაფიულ სამრეწველო დაწესებულებათა განახლების და ტეხნიკურად მოწყობის მიზნით მიემგზავრება გერმანიაში და ინგლისში პოლიგრაფტრესტის გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც განზრახული აქვს დაუკვეთოს იქაურ ფირმებს ტეხნიკური მოწყობილებანი.

პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა ჩეჩნეთში.

გროზნი, 18 ნოემბერი. სოფელ ახლანბეკოვსკში გაიხსნა ჩეჩნეთში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, გახსნას დაესწრენ მთელი სოფლის მცხოვრებლები და მახლობელ სოფლების დელეგაციები.

ძერჟინსკის ბრძანება.

როსტოვი, 13 ნოემბერი. ჩრდილოეთ-კავკასიის მრავალ ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ ძერჟინსკის ბრძანებამ გავლენა იქონია ფასების დაკლებაზე. ოლქებში ეწყობა კომისიები, რომლებიც შეამოწმებენ საწვრიმალო ფასებს ქალაქში.

ხე-ტყის გადამტანი გემი.

სევასტოპოლი, 13 ნოემბ. 14 ნოემბერს სევასტოპოლის სანაოსნო ქარხანაში საძირკველს ჩაუყრიან ხე-ტყის გადამტან გემს, რომლის წყალწყვაც იქნება 3.400 ტონი.

ფერად ლითონების სახ. წარმოების წარმომადგენელთა გაგზავნა საზღვარ-გარეთ.

მოსკოვი, 13 ნოემბ. ფერად ლითონების სახ. წარმოება საზღვარ-გარეთ აგზავნის მუშებისა და ინჟინერებისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც უნდა გაეცნოს თითბერ-სპილენძის დამმუშავებელ თანამედროვე საზღვარ-გარეთულ ქარხნების უკანასკნელ მიღწევებს.

ფართლეულით ვაჭრობის მოწესრიგება.

მოსკოვი, 13 ნოემბ. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატთან გამართულ თათბირზე გამოირკვა, რომ მრავალ არა სავაჭრო ორგანიზაციებს, მაგ. ბანკებს, დიდძალი ფართლეულობა მოეპოვებათ თავიანთ განკარგულებაში. თათბირმა აუცილებლათ სცნო, ბანკების ხელში მყოფი მთელი ფართლეულობა გადასცეს „ცენტროსოიუზს"—დაბალ საფეხურის კოოპერატივებზე გასანაწილებლათ. ამასთანავე თათბირმა დაავალა „ცენტროსოიუზსა" და საფეიქრო სინდიკატს, ათი დღის განმავლობაში მოაწესრიგონ, თუ რამდენი უნდა მიემატოს ფართალის ფასს კოოპერატივებში გაყიდვის დროს, ეს უნდა ჩამოყალიბდეს საბოლოოთ და შემდეგ დამატებითი პირობასავით დაერთოს გენერალურ ხელშეკრულობას.

ფინანსიური დახმარება მრეწველობას

მოსკოვი, 13 ნოემბ. ფინ. სახ. კომისართან მოლაპარაკების შემდეგ საბჭოთა რუსეთის სახ. უმაღ. საბჭო დასთანხმდა—მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის მრეწველობის ფინანსიურ დახმარების ანგარიშში გადასცეს საბჭოთა რუსეთის წარმოებას 8.180 000 მანეთი.

ბრძოლა საქონლის ნაკლებობასთან

მოსკოვი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს მოსკოვში შესდგა დისპუტი საქონლის ნაკლებობის შესახებ.

სამეურნეო ორგანოების და კერძო კაპიტალის წარმომადგენლებმა წაიკითხეს მთელი რიგი მოხსენებებისა საქონლის ნაკლებობის შესახებ.

სხდომა გახსნა ცენტროსოიუზის [illegible] რომელმაც აღნიშნა, რომ 1925—26 წელში დაგვაკლდება 500 მილიონი მანეთის საქონელი.

ვრცელ მოხსენებას მრეწველობის პერსპექტივების და საქონლის ნაკლებობის შესახებ აკეთებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კვირინგი. ის აღნიშნავს, რომ საქონლის ნაკლებობა არის ჩვენი მეურნეობის ზრდის შედეგი. მრეწველობა, თუმცა შეუჩერებლად ვითარდება, მაგრამ მაინც ვერ ეწევა მოთხოვნილების ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის სწრაფი გაუმჯობესების გამო. [illegible] ფასების საქმე შედარებით უკეთესად არის. საქონლის რაოდენობის გადიდებასთან ერთად, აუცილებლად მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები ვაჭრობის მოწესრიგების დარგში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების წინასწარი დაკვეთა

მოსკოვი, 18 ნოემბ. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაავალა შინავაჭრობის სახალხო კომისარს შეინმანს შეადგინოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს სახელით დაუგზავნოს საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ცირკულიარული წერილი, რომლითაც მათ დაევალებათ შემოიღონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წინასწარ დაკვეთის მეთოდი.

შრომის და თავდაცვის, საბჭომ აუცილებლად სცნო აგრეთვე, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკი და მისი ადგილობრივი ორგანოები იძლეოდენ საჭირო გარანტიას იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შესაძლებლად სცნობენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წინასწარ დაკვეთის შემოღებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

კომუნალური მეურნეობის მუშაობა

ოზურგეთი, 13 ნოემბ. კომუნალურმა მეურნეობამ დაამთავრა სოფ. უჩხობში რეგულიატორის აშენება, რომელიც მიმართავს წყალს ოზურგეთისა და ახლობელი სოფლების წისქვილების არხებისაკენ.

დაწყებულია გადამდებ სნეულებით ავადმყოფთათვის ბარაკის აშენება ოზურგეთის საავადმყოფოსთან.

ტყის ხანძარი

გორი, 13 ნოემბ. ახალქალაქისა და კავთისხევის რაიონში რუსის-საციხარისა და ოთისის აგარაკებში ცეცხლი გაუჩნდა ტყეს.

ხანძარი ტყეში

ოზურგეთი, 13 ნოემბერი. 11 ნოემბერს ვაკიჯვარის და ბახმაროს რაიონში გაუჩნდა ცეცხლი ტყეებს. ცეცხლმა მოიცვა 200 დესიატინაზე მეტი სივრცე. გლეხებისა და ადგილობრივი მილიციის ძალების საშუალებით შესაძლებელი გახდა ხანძარის ჩაქრობა ზარალი მცირეა.

სასამართლოს მუშაკთა თათბირი

ახალქალაქი, 13 ნოემბერი. სასამართლოს მუშაკთა თათბირმა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, გამოიტანა მთელი რიგი რეზოლიუციები.

რომ სასამართლო ორგანოები უფრო უკეთესად დაუკავშირდენ ფართე მასებს, გადაწყდა, რომ ერთ-ერთი სახალხო სასამართლო გადატანილ იქნეს რომელიმე სათემო ცენტრში.

დამცველთა კოლეგიის წევრის მოხსენების შემდეგ თათბირმა აუცილებლათ სცნო, მოხდეს კოლეგიის ძირითადი რეორგანიზაცია იმ მხრივ, რომ შეიცვალოს და შეივსოს მისი შემადგენლობა.

ახალი ქუჩა

ოზურგეთი, 13 ნოემბ. ოზურგეთში გაყვანილ იქნა ახალი ქუჩა—სადგურის მესამე ქუჩა. ქუჩა გადის იმ ადგილის გვერდით, სადაც უახლოეს მომავალში უნდა საძირკველი ჩაეყაროს აბრეშუმის ფაბრიკას.

აჭარისტანში

მიწათმოწყობის გეგმა

ბათუმი, 13 ნოემ. აჭარისტანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მიწათმოწყობის 5 წლის გეგმა. გეგმაში შეტანილია ქოროხის და ქედას მაზრების სოფლების გადამიჯვნა, 700 დესეტინა მიწის გამოყოფა ქობულეთის მაზრაში ახლად გადასახლებულ გლეხებისათვის და მიწის ფონდის დასაარსებლად უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის.

ზღვის ნაპირის გამაგრება

ბათუმი, 13 ნოემ. ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველომ დაამთავრა ა/წ. დაწყებული მუშაობა ზღვის სანაპირო რკინისგზის ხაზის გასამაგრებლად—ჩაქვა-მწვანე კონცხსა და ბათუმ შორის. მთელი მუშაობა დაჯდა 80.000 მან.

ბრძოლა ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ

ბათუმი, 13 ნოემ. ჯანსახკომი ხსნის მაზრებში 12 ვენეროლოგიურ პუნქტს, რისთვისაც გადადებულია 24.500 მ.

დაქირავებულ გლეხ ახალგაზრდობის კონფერენცია

ბათუმი, 13 ნოემ. საქ. ახალგაზრ. ლენინურ კომკავშირის აჭარისტანის კომიტეტის თაოსნობით ახლო მომავალში ბათუმში გაიხსნება დაქირავებულ გლეხ-ახალგაზრდობის კონფერენცია.

აფხაზეთში

დასასვენებელი სახლი მთაში

სოხუმი, 13 ნოემბ. გაგრაში მდებარე ოლდენბურგის ყოფილი სასახლე გადაეცა ადგილობრივ საკურორტო სამმართველოს დასასვენებელ სახლის მოსაწყობათ.

კერძო დამამზადებლები

სოხუმი, 18 ნოემბ. ბოლო დროს ძალიან გაიზარდა დასამზადებელი ოპერაციები კერძო კაპიტალის შემწეობით მზადდება დიდძალი კაკალი. დამზადება აწარმოებს ბამბის კერძო ფაბრიკებისთვის.

გაგრის ტყეების ექსპლოატაცია

სოხუმი, 13 ნოემბ. აფხაზეთის მეურნეობის უმაღ. საბჭომ ხელშეკრულობა დასდო ა.-კ. სახ. ვაჭრობასთან გაგრის ტყეების საერთო ძალღონით ექსპლოატაციის შესახებ.

უმუშევრები

სოხუმი, 13 ნოემბ. ამჟამად სოხუმში ითვლება რეგისტრაციაში გატარებული 800 უმუშევარი.

სომხეთი

კოოპერაციის ფესვების გამაგრება

ქვემო-ახტა, 18 ნოემბ. ბერძნულ სოფლებ—ქვემო-მიხაილოვკაში და ქვემო-ახტაში კოოპერატიულ კამპანიის ჩატარების შემდეგ კოოპერაციაში ჩაეწერა მცხოვრებლების 70 პროცენტი. აქედან 80 პროცენტმა უკვე შეიტანა თავის საწევრო გადასახადი.

აბრეშუმის წარმოება ხონის რაიონში

ხონი, 13 ნოემბ. მთელ დასავლეთ საქართველოში ხონის რაიონს უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი აბრეშუმის წარმოებაში. გასაბჭოების შემდეგ წარმოების ეს დარგი კიდევ უფრო მეტათ განვითარდა. მიმდინარე წელს მიღებულია 9.000 ფუთი ნედლი ყაჭი. შარშანდელთან შედარებით წარმოება გაიზარდა 50 პროცენტით. წელს აბრეშუმის ოპერაციებს აწარმოებს საზოგადოება „აბრეშუმი" რაიონულ მთ. მომხ. საზოგადოების შემწეობით. წარმოებაზე უმეტეს ნაწილათ მუშაობენ გლეხის ქალები. ყაჭის მოვაროვების დროს მუშაობდა 250 მუშა-ქალი. პირველი გადარჩევის შემდეგ სამუშაოზე დარჩა 38 ქალი. ეხლა კი გამომშრალ ყაჭის იტალიურ სისტემაზე გადასახარისხებლათ საჭირო გახდა მუშა-ქალების გამრავლება 196-ს. ამათგან—187 არის ხონიდან, 59 კი—თემებიდან. ჯერ კიდევ მეფობის დროს ხონში არსებობდა აბრეშუმის გამწენტი და დამრთველი ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 200 ქალი. ეს ფაბრიკა დაიკეტა ჯერ კიდევ რევოლიუციამდის. ახლად გაიხსნა ის გასული წლის აპრილში ადგილკომის მიერ—„ცეკავშირის" დახმარებით. ჯერ-ჯერობით მუშაობს მხოლოდ დასართველი განყოფილება. საპენტავ განყოფილებაში კი მანქანები დაზიანებულია და მათ შესაკეთებლად საკმაო თანხაა საჭირო. განზრახულია ფაბრიკის შეკეთება და უკანასკნელი სისტემის იტალიური დაზგების შეძენა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის

(კრიტიკული შენიშვნები ამხ. ფ. მახარაძის და სევასტი თალაქვაძის საისტორიო ნაწერების შესახებ)

კომპარტიის ისტორია ეს ოთხი-ხუთი წელიწადია მუშავდება რუსეთში. ეს არის კომპარტიის ძირითადი ისტორია. მაგრამ იმის შეგნობ-გასაგებად, თუ რა სახე და განსაკუთრებული ელფერი მიიღო ამ პარტიამ სხვადასხვა ქვეყანაში და ხალხში, საჭირო ხდება შემუშავდეს და შედგეს ამ ხალხების კომპარტიის ისტორიაც.

ერთი იმ ხალხთაგანი, რომლის მუშათა კლასის მოწინავე რაზმები ამ პარტიის პირველ რიგებში ჩადგენ, ქართველი ხალხიც არის.

ამიტომ საჭიროა შედგეს და შემუშავდეს საქართველოს კომპარტიის ისტორიაც.

როგორც ვიცით, ამ საჭიროებას ემსახურება საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო, ჟურნალი „რევ. მატიანე", საიდანაც გადმობეჭდილია ორი ზემოდ დასახელებულ ამხანაგის ნაშრომ-ნაწერი.

პირველი თვითონ ბელადია საქართველოს კომპარტიისა, ხოლო მეორე პარტიის წევრია, რომელსაც დაკისრებული აქვს პარტიის ისტორიისათვის მასალები აგროვოს და შეძლებისდაგვარად დაამუშაოს იგი.

მაშასადამე, ორივეს მოეთხოვება, როცა საქართველოს კომპარტიის ისტორიას გვიწერენ, გამოარკვიონ და აღნიშნონ ის ნიშანდობლივი თვისებებიც, რითაც ამ პარტიის სახე და ელფერი მისი დედა-პარტიის—რუსეთის კომპარტიისაგან განსხვავდება; გამოარკვიონ და აღნიშნონ პარტიის საქართველოს პირობებში განვითარების სხვაობა და ამრიგად ახსნან მისი ნაკლი ან ღირსება, რაც დედა-პარტიას არ აქვს.

ამაშია მთავარი აზრი და მნიშვნელობა ცალკე ერის კომპარტიის ისტორიისა, თვარა წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საჭირო აღარ იქნებოდა.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ზემოდ დასახელებულ ამხანაგების ნაშრომ-ნაწერს—„თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა" და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის"—უნდა ვთქვათ, რომ ორივე ეს ნაწერი ზემოთ დასახელებულ მეთოდოლოგიურ ღირსებას მოკლებულია.

მართალია ამხ. ფილიპე მახარაძე, როგორც ძველი მარქსისტი და გამოცდილი იდეოლოგ-ლიტერატორი ანალიზს უკეთებს ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ მხარეს და აქედან გამოყავს ჩვენი მუშათა კლასის შექმნის და მისი მოძრაობის აუცილებლობა, მაგრამ ის ამავე დროს სრულიათ უყურადღებოთ სტოვებს იმ საზოგადოებრივ-სოციალურ მოძრაობას, რასაც „ეროვნული მოძრაობა" ეწოდება.

ცხადია, თვით რუსეთში (ველიკოროსსია) ადგილი არ ჰქონდა ასეთ მოძრაობას, რადგან იქ იყო ეროვნული მედიდურება და „დიდმპყრობელობა" და არა ჩაგრული ერის „ეროვნული მოძრაობა". ამიტომ საჭირო იყო ჩვენს ისტორიკოსებს ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის და ჩვენი ისტორიის ეს განსაკუთრებული მხარე მეცნიერულათ გამოერკვიათ.

ამ მხრით, როგორც ვსთქვით ამხ. ფილიპეს ნაწერიც კოჭლობს. მაგალითად ამხ. ფილიპე მახარაძე სწერს:... „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობა გაჩნდა ჩვენში განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში"... და მერე ცოტა ქვევით განაგრძობს:... სოც.-დემოკრ. მუშათა მოძრაობას (ეს რუსეთში. რ. ქ.) წინ მიუძღვოდა რამდენიმე ეტაპი რევოლიუციონური მოძრაობისა. ლენინის განცხადებით... სრულებით არ ვუარყოფთ იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ დაგვიტოვეს წინანდელმა მოძრაობებმა"... (იხ. დასასრული ბროშიურის). ორივე ეს მტკიცება სწორია და მისაღები და ამიტომ ისინი მკვლევარს ავალებენ სწორეთ ასეთი მეთოდით მიუდგეს თავის საგანს.

თუ საქართველოს ს. დ. მუშათა მოძრაობა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში გაჩნდა, თუ ლენინისავე მტკიცებით „ჩვენ არ ვუარყოფთ იმ მემკვიდრეობას, რომელიც წინანდელმა მოძრაობებმა დაგვიტოვეს", მაშინ ფილიპე მახარაძეს თავის ნაწერ-ნარკვევში უნდა აუცილებლად აღენიშნა „ის განსაზღვრული ისტორიული პირობები", რომლებშიაც მისი სიტყვით ჩვენი ს. დ. მუშათა მოძრაობა გაჩნდა და კარგად დაეხასიათებია ის „მემკვიდრეობა", რომელიც ქართველ ხალხს (მისი წიაღიდან გამოსულ მუშათა კლასსაც) „წინანდელმა მოძრაობებმა" დაუტოვეს.

და მაშინ მკითხველისთვისაც გასაგები და ახსნილი იქნებოდა ის ერთი შეხედვით საოცარი მოვლენა, რასაც ფილიპე მახარაძე შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს... „ჩვენს მუშებში შედარებით (ალბად რუს. მუშებთან რ. ქ.) ჩქარა გაღვივდა და განვითარდა პოლიტიკური აწ კლასობრივი თვითშეგნება"... (იხ. მე-17 გვ.)

მაგრამ მკვლევარმა სწორეთ ამ „ისტორიულ პირობებს" და წარსულ მოძრაობის „მემკვიდრეობას" არ გაუწია ანგარიში, არ გაუკეთა ანალიზი და ამიტომაც მან შეცდომათა მორევში შეტოპა.

იგი სწერს: „ამ თვითშეგნების განვითარებას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი" ჩვენში: 1) მეფის მთავრობის მეტათ უხეშმა და ტლანქმა პოლიტიკამ მუშების მიმართ... 2) მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჩვენში და მარქსიზმის გაცნობა მოხდა თითქმის ერთდაიმავე დროს; ასე რომ მუშათა მოძრაობა საქართველოში თავიდანვე დაუკავშირდა მარქსისტულ თეორიას"... —(იხ. ბროშიურის მე-17 გვ.)

რამდენადაც მეორე გარემოება განსაკუთრებულია და დამახასიათებელი ჩვენ მუშათა კლასის მოძრაობისა, იმდენათ პირველი საერთოა და ერთნაირათ მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის. მე მგონია, რომ არავითარი განსხვავება არ ყოფილა მეფის მთავრობის პოლიტიკაში საქართველოსა და რუსეთის მუშების მიმართ „უხეშობისა და სიტლანქის" მხრით. მუშათა მოძრაობასთან ბრძოლაში რუსეთის მთავრობის მხრით ჩვენში თუ რაიმე განსხვავება იყო, ეს მხოლოდ იმ მხრით, რომ აქ მუშას ებრძოდენ არა მარტო როგორც მუშას, არამედ როგორც „ინოროდეცს". მაშასადამე პირველი გარემოება—უხეშობა და „სიტლანქე",—როგორც საქართველოს მუშათა თვითშეგნების „განვითარების" ხელის შემწყობი, მოსატანი არაა.

ხოლო, რაც შეეხება მეორე გარემოებას, თითქმის ერთდაიმავე დროს ჩვენში ადგილი ჰქონდა მუშათა კლასის ჩამოყალიბების და მისი მოწინავე წარმომადგენლების მიერ მარქსიზმის გაცნობას—სრულ სინამდვილეს შეიცავს და მას მართლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მუშათა კლასისათვის ჩვენებურ საზოგადოებრივ მიმართულებათა ორიენტაციის საკითხში.

მაგრამ მარტო ეს გარემოება მაინც ვერ ახსნის იმას, თუ ქართველმა მუშებმა, ამ გუშინდელმა გლეხებმა რუსის მუშა პროლეტარებთან შედარებით რატომ უფრო ჩქარა, უფრო ინტენსიურათ, და უფრო მასიურათ შეითვისეს რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა.

ამ კითხვაზე ჩვენ ამხ. ფილიპე მახარაძის ნაწერი-ნარკვევი ვერაფერს გვეუბნება.

რაც შეეხება ამხ. სევასტი თალაქვაძის წიგნაკს, რაც გაცილებით მეტი მასშტაბით და პრეტენზიებით არის დაწერილი, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ თუმცა ავტორი ცდილა ამ კითხვაზე პასუხი მოეცა, მაგრამ ის კიდევ უფრო იბნევა და საკითხს სრულიათ შეუფერებლათ უდგება.

ის თავის „შრომის" დასაწყისიდანვე თითქო ცდილობს გამოარკვიოს, თუ როგორი იყო ქართული საზოგადოება 1850 წლიდან 1870 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი შემოიჭრა და სახალხო მეურნეობა კაპიტალისტურ გზაზე შედგა.

ავტორი სრულიად საბუთიანად და სწორი დებულებით იწყებს:

„ერთა შორის ბრძოლის ისტორიულმა კანონებმა საქართველო,—ამიერ კავკასიის ეს კულტურული ცენტრი—მე 19 საუკუნიდან მჭიდროთ დაუკავშირეს დიდმპყრობელი რუსეთის ერის ბედს".

და მეორე შემდეგი აბზაცით ამას სრულიად შეუფერებელ და გაუმართლებელ დებულებას უმატებს.

„რევოლიუციური მოძრაობის დასაწყისს და პარტიების წარმოშობას საქართველოში ამიტომ ისეთივე ისტორიული წარსული აქვთ, როგორიც მათ რუსეთში ჰქონდათ". (იხ. საქართველ. კომპარტიის ისტორიისთვის" გვ. 5).

ავტორს ჰგონია: რაკი „ერთა შორის ბრძოლის კანონმა საქართველო რუსეთის ერის ბედს დაუკავშირა", ამიტომ საქართველოს რევოლიუციური პარტიების წარმოშობის ხასიათი და პროცესიც, ისეთივეა, როგორიც არის რუსეთის (ველიკორუსიის) პარტიების. ეს კი აშკარა შეცდომაა.

სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენებური „საქართველოს სარევოლიუციო პარტიის", სოციალ-ფედერალისტური (ნამდვილად ნაციონალისტური) პარტიის წარმოშობის ისტორია მაინც აშკარათ ღაღადებს, რომ ჩვენში ზოგი პარტიის წარმოშობის ერთი მთავარი მომენტთაგანი ეროვნული მოძრაობა იყო, რასაც რუსეთის არც ერთი პარტიის წარმოშობაში ადგილი არ ჰქონია.

ავტორს ჰგონია: რაკი რუსეთშიც და საქართველოშიაც რევოლიუციური მოძრაობა „ანტი-მონარქისტიული იყო", ამიტომ რევოლიუციური პარტიები იქაც და აქაც ერთ და იმავე მიზანს ისახავდენ, ამ პარტიებს აქაც და იქაც ერთნაირი წარსული ჰქონდათ.

ჩვენთვის კი აშკარაა, რომ საქართველოს ანტი-მონარქისტულ პარტიას—ნაციონალ-ფედერალისტურ პარტიას მიზნათ საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა ჰქონდა დასახული.

როგორც ვიცით საქართველოს სოციალ-დემოკრატიაც რევოლიუციური ანტი-მონარქისტული პარტია იყო, მაგრამ ის საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას მიზნათ სულაც არ ისახავდა.

პროგრამით მისი მიზანი იყო: რუსეთის ხალხთან ერთად რუსეთის თვითმპყრობლობის დამხობა და „სრულიად რუსეთის დემოკრატ. რესპუბლიკის" დაარსება.

მაგრამ რუსეთის ოქტომბრის (პროლეტარული) რევოლიუციის გამარჯვებამ გამოააშკარავა, რომ სინამდვილეში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანი არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა იყო, არამედ მასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება, ე. ი. **საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა**. ამ მხრით იგი სოციალ-ფედერალისტებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა.

ამხ. ფილიპე მახარაძესაც და სევასტი თალაქვაძესაც ჰგონიათ, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობის იდეურობისათვის მხოლოდ ნაროდნიკობას და „ობშჩინას" ჰქონდა მნიშვნელობა.

არა, ნაროდნიკულ იდეებს, როგორც თვითონ ფილიპეც აღნიშნავს, იმ შემთხვევაშიც არ ექნებოდათ ის გასავალი ქართველ ხალხში, როგორც ეს იმ იდეებს რუსეთში ჰქონდა, თუნდაც მარქსისტულ იდეების გავრცელება მუშათა წრეებში დაგვიანებულიყო.

პატარა საქართველოში ხალხმა ბატონყმობის გაუქმებისთანავე გადალახა თემური ზღუდეები და კერძო მესაკუთრეობის განმტკიცებას შეუდგა: ის უაღრესათ წვრილ მესაკუთრეობის იდეოლოგიით გაიჟღინთა ასეთ ხალხიდან გამოსული მუშათა კლასი წვრილი მესაკუთრეს ფსიხოლოგიით უფრო იყო გამსჭვალული, ვიდრე თემურის.

ამით აიხსნება, რომ ჩვენში ნაროდნიკულმა იდეებმა სამოცდაათიან წლებშიაც კი ფეხი ვერ მოიკიდეს და მისი მატარებელნიც მალე „გადაგვარდენ".

ამნაირათ ასახსნელია, თუ რატომ ისე ადვილათ ჩაქრა ჩვენში ნაროდნიკული „მოძრაობა" და ისე უმნიშვნელო შეიქნა მისი იდეური გავლენა ჩვენს მუშათა მოძრაობაში, მაშინ, როდესაც ეროვნულმა იდეამ ჩვენში სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის (მენშევიკურის) ნაციონალისტურ პარტიათ გარდაქმნაც კი შესძლო მისი იდეოლოგიური (მარქსისტული შემეცნების თვალსაზრისით) სისუსტის და ჩვენი ქვეყნის სოციალურათ განუვითარებლობის გამო.

რით აიხსნება ეს?

ამაზე, ვიმეორებ, არც ერთი ავტორი კრინტს არ ძრავს; თითქო ეს სასტიკათ აკრძალული იყოს.

ნამდვილათ კი ეროვნული საკითხის ნათლად გამორკვევა და მისი პრაქტიკულათ ჯეროვანი გადაჭრა კომპარტიას ჯერ იმ დროიდანაც აქვს მიზნათ დასახული, როცა იგი ს. დ. მუშათა პარტიის რევოლიუციურ ფრაქციას წარმოადგენდა. (მოიგონეთ ბოლშევიკების 1905 წ. ეროვნული პროგრამა).

ამნაირათ ამ საკითხისადმი სრული უყურადღებობა ორივე ავტორის ნაშრომ-ნაწერის ნაკლს წარმოადგენს. ხოლო სხვა მხრივ ისინი ერთი მეორეს შორდებიან და თვითეული მათგანი სხვადასხვა იდეიურ ღირებულებას შეიცავს.

შევეხოთ მათ ცალცალკე.

ამხ. ფ. მახარაძის—„თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა"-ს გამო.

ეს სტატია, როგორც ვიცით, გამოიწვია თბილისის კომპარტიული ორგანიზაციის 30 წლის თავის დღესასწაულის გადახდის განზრახვამ. ამ მიზნით შედგა „განსაკუთრებული კომისია", რომელმაც ამხ. ფილიპე მახარაძეს მიანდო „თბილისის ორგანიზაციის დაარსების წინა ხანის გაშუქება", ე. ი. ისტორიულად გამორკვევა იმისი, თუ როგორ და როდის

პარტიული ცხოვრება

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტიული კონფერენცია

თბილისის კომიტეტის მოქმედების ანგარიში

(ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება)

ჩემი მოხსენება შეეხება თბილისის ორგანიზაციის მოქმედების 11 თვის პერიოდს, დაწყებული მე-5 პარტიულ კონფერენციიდან, რომელიც გაიმართა შარშანდელი წლის დეკემბერში, და გათავებული დღევანდელ დროით.

ჩემი მოხსენება ძალიან უნდა ყოფილიყო გაადვილებული იმ გარემოებით, რომ ჩვენ განზრახული გვქონდა წინასწარ დაგვერიგებია დაბეჭდილი ანგარიში რუსულ და ქართულ ენაზე კონფერენციის დელეგატებისათვის იმ მიზნით, რათა მათ საშუალება ჰქონებოდათ წინასწარ გაცნობოდენ მოხსენებას. სამწუხაროთ ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო, რაც ამ საკითხში გამოაშკარავდა, ჩვენ მხოლოდ დღეს შევსძელით ანგარიშის დარიგება რუსულ ენაზე; ქართულ ენაზე ანგარიში მზად იქნება მხოლოდ ხვალ. ამის გამო დელეგატებს საშუალება არ ჰქონდათ წინასწარ გაცნობოდენ საანგარიშო მოხსენებას. მიუხედავათ ამისა, მე აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემს ამოცანას არ შეადგენს შევეხო ჩვენი მოქმედების ყველა წვრილმანებს. მე ვფიქრობ, რომ უფრო მიზანშეწონილი და სწორი იქნება გავაკეთო თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მოქმედების საერთო მიმოხილვა და არ შევეხო ყველა წვრილმანებს, რომელსაც ამხანაგები გაეცნობიან დაბეჭდილ ანგარიშიდან. აი ამიტომ მე დავკმაყოფილდები ჩვენი მუშაობის საერთო მიმოხილვით. აღვნიშნავ იმ მიღწევებს და ნაკლულოვანებებს, რომელიც ჩვენ გვაქვს, და მომავალი მუშაობის პერსპექტივებს.

აგვისტოს ავანტიურის ნაშთების ლიკვიდაცია.

[illegible] ამხანაგებო, ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საკმაოთ ძნელ პერიოდში, რომელიც თქვენ ყველამ კარგად იცით. ეს იყო აგვისტოს იმ ავანტიურის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და რომელსაც ერთგვარი დაღი უნდა დაესვა მთელი ჩვენი შემდეგი მუშაობისათვის. ამ მენშევიკურ ავანტიურის, აგვისტოს გამოსვლების შემდეგ ჩვენ უნდა გამოგვეყენებია ის გაკვეთილები, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ ამბებიდან და სათანადოთ დაგვეყენებია ჩვენი მუშაობა.

აი ამიტომ საქართველოს მთელი კომუნისტური პარტიის პირველ და უმთავრეს ამოცანას, რომელიც გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ წარსული წლის ოქტომბერში საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმზე,—და განსაკუთრებით თბილისის ორგანიზაციაში, როგორც ყველაზე მოწინავე და „დედა ქალაქის“ ორგანიზაციაში,—შეადგენდა აგვისტოს ავანტიურის ნაშთების ლიკვიდაცია, ამ დამძიმებულ ატმოსფერის გაფანტვა, რომელიც შეიქმნა ამ გამოსვლების შემდეგ.

მენშევიზმის სამი სახე

აქ ჩვენ უნდა შევჯახებოდით, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ ბრძოლის საკითხებს, ანტისაბჭოთა ფრონტის მდგომარეობას და იმ ტენდენციებს, რომელიც არსებობს ანტისაბჭოთა პარტიებსა და, უმთავრესად, მენშევიკებს შორის. აგვისტოს ავანტიურის შემდეგ ჩვენ უნდა გაგვეთვალისწინებია მენშევიზმის სამი სახე. მენშევიკების პირველი ჯგუფი—ესენი არიან ანტისაბჭოთა აქტიური ელემენტები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, იმ სასტიკ რეპრესიების შემდეგ, რომლისათვისაც ჩვენ უნდა მიგვემართა მათთან ბრძოლის დროს, დაეტყოთ მეტი გახილება და მეტი აქტივობა საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ესენი იყვენ ყველაზე მტრულად განწყობილნი, ყველაზე შეურიგებელნი საბჭოთა წესწყობილების მიმართ, და, ცხადია, ისინი აგვისტოს გამოსვლების შემდეგ უნდა ყოფილიყვენ მტრულად განწყობილნი ჩვენდამი. ისინი შეეცადენ გადაეხალისებიათ თავისი არალეგალური რიგები, მაგრამ შეენარჩუნებიათ თავიანთი ორგანიზაცია.

მეორე ჯგუფი—ეს ისინი, რომლებსაც უნდა გადაესინჯათ თავისი ტაქტიკა, სამხედრო დარბევის გამო და, რა თქმა უნდა, კი არ უარეყოთ მენშევიზმი, არამედ განაგრძოთ მენშევიკური ხაზი, მხოლოდ ახალი ფორმით; მათ ისე უნდა დაეყენებიათ მუშაობა, რათა განეხორციელებიათ ძველი მიზნები, მხოლოდ ახალი გზით, ახალი საშუალებებით. ეს არის რევიზიონისტული ჯგუფი, რომელიც აშკარად მტრულადაა განწყობილი ჩვენს წინააღმდეგ.

მესამე ჯგუფი—ეს ის ამხანაგები, რომელთა შორის მოხდა გარდატეხა აგვისტოს გამოსვლების შემდეგ. ეს [illegible] შემჩნეული იყო როგორც ქალაქში, ისე სოფლად, [illegible] დატეხა მშრომელთა მასებს შორის აგვისტოს გაკვეთილების შემდეგ.

ამისდამიხედვით ჩვენ უნდა გვებრძოლა პირველ ორ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომლებიც რჩებოდენ შეურიგებელ პოზიციაზე და გვეწარმოებია გაბედული ბრძოლა როგორც მებრძოლ მენშევიზმის, ისე იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობდენ ახალ პირობებთან შეგუებას. მაგრამ ჩვენ ამავე დროს უნდა გამოგვეყენებია მერყეობა და გარდატეხა მშრომელ ელემენტებს შორის და არა მარტო გამოგვეყენებია, არამედ თვით მოგვეყვარა მათთვის ჩვენს ორგანიზაციაში, ჩვენი დროშის, საბჭოთა დროშის, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ამხ. ძამანაშვილის ჯგუფი

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ამხანაგებო, რომ მაშინ შემჩნეული იყო მიმდინარეობა მუშებს შორის, განსაკუთრებით თბილისში, მუშათა ამ ცენტრში, პირველ რაიონში.

ოქტომბერში დაარსდა მუშების ჯგუფი ამხ. ძამანაშვილის მეთაურობით, რომელმაც განაგრძო მუშაობა მენშევიკური პარტიის შემდეგ დასაშლელად, და ჩვენ მიერ მუშათა ახალი კადრის დასაპყრობად. ჩვენ ზოგჯერ გვითქვამს, რომ ესენი არიან მუშების უკანასკნელი ფენები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩვენს პარტიას. ეს სავსებით სწორი არ არის. ეს მუშების უკანასკნელი ფენები კი არ არიან, არამედ ესენი არიან იმ მუშების ახალი ჯგუფები, რომლებსაც არ შეეხო მენშევიკურ პარტიისაგან ჩამოშორების ტალღა 23 წელს. ერთ წელიწადზე მეტია, რაც მუშაობს მუშათა კომისია, რომელმაც დაიწყო მუშაობა თბილისში და განაგრძო იგი საქართველოს მაზრებში. მან ჯამი გაუკეთა თავის მუშაობას თათბირზე და ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი წარმატებანი ამ მხრივ.

ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ მუშა-მენშევიკების აქტიური მოწინავე ნაწილი, რომელიც განზე იყო გამდგარი ჯერ კიდევ აგვისტოს გამოსვლების დროს, 25 წელს უკვე იმყოფება საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ და დაუახლოვდა კომუნისტურ პარტიას. ეს დიდი მიღწევაა არა მარტო მოწინააღმდეგის ძალების განადგურების, არამედ ჩვენ მხარეზე სოც.-დემოკრატიულ მუშების, ე. ი. ჩვენი მოწინააღმდეგეთა ბანაკში მყოფ მუშების დაპყრობის მხრივ ეს ამოცანა წარმატებით გატარებულია ცხოვრებაში და მე ვფიქრობ, რომ მომავალშიაც საჭიროა ამ ხაზის განგრძობა.

გაუგებრობას ბოლო მოეღო

ამ ხაზის გატარების დროს თბილისის ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ გაუგებრობას. შემჩნეული იყო ამ საკითხის არა სავსებით სწორი გაგება ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრების მხრივ. ადგილი ჰქონდა [illegible] არამეგობრულ განწყობილებას იმათ მიმართ, რომელნიც ასე გვიან მოდიოდენ ჩვენთან. აი ამიტომ არა ერთხელ ყოფილა დასმული ეს საკითხი საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტშიაც, რაიონებშიაც და უჯრედებშიაც იმ მიზნით, რათა პარტიის წევრთა მთელ მასას შეეთვისებია სწორი ხაზი ამ საკითხში. ამ განმარტებითი ხანგრძლივ მუშაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ჩვენ სისწორით გადავსწყვიტეთ ეს პრობლემა და უკვე ეხლა ჩვენ შორის რაიმე გაუგებრობას ამ მხრივ ადგილი აღარ აქვს. აღარ არსებობს უთანხმოება იმის გამო, როგორ უნდა მოვეპყრათ იმ მუშებს, რომლებიც პირს იბრუნებენ ჩვენსკენ. მუშების ნაწილი, რომელმაც საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი მენშევიკურ იდეოლოგიასთან, ჩვენ უნდა მივეღო ჩვენს რიგებში. ასეთების რიცხვი უდრიდა 250 კაცს, სხვები ჩვენ გავგზავნეთ საბჭოთა სამუშაოზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი იმყოფება ჩვენი პარტიის ახლოს და კავშირს არ სწყვეტავს ჩვენთან. ამ მუშაობას მოჰყვა უსათუოდ კარგი შედეგები და ამჟამად ჩვენს მუშათა უბნებში და რაიონებში ძნელად ნახავთ ისეთ მენშევიკ-მუშებს, რომლებიც მტრულად იყონ განწყობილი ჩვენი პარტიისადმი. რაც შეეხება მენშევიკურ მუშების სიმპატიების მოპოებას, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები.

მუშაობის ახალი ფორმები.

ეხლა ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა გამოვიმუშაოთ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. იმ ძველმა ფორმებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დღემდის,—სახელდობრ მუშათა კომისიებმა, უკვე მოსჭამეს თავისი დრო. ეხლა საჭიროა ახალ ფორმებზე გადასვლა. ეს საკითხი დასმული იქნა ჩვენს წინაშე მენშევიკების თათბირის შემდეგ, რომელსაც ამას წინად ჰქონდა ადგილი. თვით მუშათა კომისიების რწმუნებულებმა წამოაყენეს საკითხი იმის შესახებ, რათა მომხდარი ყოფილიყო ამ კომისიების ლიკვიდაცია. მათ თვით უნდა [illegible]შალათ თავისი თავი და დაეყენებიათ საკითხი პარტიასთან კავშირის ახალი ფორმის შესახებ: ცეკა დაეთანხმა ამ აზრს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მუშათა კომისიის ლიკვიდაცია. მან აგრეთვე მიზანშეუწონლად სცნო გაზეთ „ახალი გზის“ არსებობა.

ცეკამ ამავე დროს მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება ყოფილ მენშევიკებს შორის მომუშავე განყოფილების მოწყობის შესახებ. ასეთი განყოფილება უნდა მოეწყოს როგორც ცეკასა, ისე თბილისის კომიტეტთან და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებთან. ჩვენი მუშაობის ხაზი ისეთია, რომ მუშების ის მასა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩვენს რიგებში, მაგრამ საბოლოოდ ჩამოშორდა მენშევიკებს, დაუმორჩილოთ ჩვენს გავლენას და ახალი განყოფილების მუშაობის საშუალებით [illegible] მათთან. ამგვარ[illegible] ჩვენი მუშაობ[illegible] მართულებით არ სწყდება, მაგრამ მას ეძლევა ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომელიც შეეფერის დღევანდელ პირობებს.

თბილისის ორგანიზაციის ზრდა

აი ის შედეგები, რომელიც ჩვენ გვაქვს ყოფილ მენშევიკებს შორის მუშაობის დარგში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ორგანიზაციამ მოახერხა მუშათა კლასის ყველა ფენების დაპყრობა. რომ ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტი არსებობს, რომ ეს არ არის ცარიელი სიტყვა,—ამას ამტკიცებს თბილისის ორგანიზაციის ზრდა. თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენს ორგანიზაციას, დავინახავთ, რომ იგი განუწყვეტლივ იზრდება: გასაბჭოების მომენტში ჩვენს ორგანიზაციაში იყვენ ცოტა წევრები და კანდიდატები. თუ მაშინ ჩვენ გვყავდა ათასამდე წევრიდა კანდიდატი, დღეს, უკანასკნელ ცნობების თანახმად, რომელიც ჩემს ხელთ არის, თბილისის ორგანიზაციაში იმყოფება 5.882 წევრი და 2,780 კანდიდატი; მაშასადამე სულ 6.502 წევრი და კანდიდატი. აქედან ჩვენს მაზრაზე მოდის 626 კაცი, ხოლო დანარჩენი მასა—7.876 წევრი—ქალაქზე. ამნაირად, ჩვენ გვყავს დაახლოვებით 8 ათასი წევრი და კანდიდატი თბილისის ორგანიზაციაში.

ეს მნიშვნელოვანი ზრდა არა მარტო რიცხვობრივად, არამედ თვისობრივადაც უნდა იქნას გამართლებული.

სოციალური შემადგენლობა

თუ ჩვენ შევხედავთ ჩვენს ორგანიზაციას სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით, ე. ი. რამდენია იქ მუშები, უნდა ვსთქვათ, რომ მდგომარეობა სრულიადაც არ უარესდება, არამედ ძველ დონეზე სდგას და ერთგვარი ტენდენციაც ემჩნევა გაუმჯობესებისაკენ. თუ გასულ წელს თბილისის ორგანიზაციაში ითვლებოდა 71 პროც. მუშებისა, წრეულს მუშები შეადგენენ 72 პროცენტს. როგორცა სჩანს მუშური შემადგენლობა აწეულა 1 პროცენტით.

ჩვენი ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა ქალაქად შემდეგნაირია: მუშები—71,7 პროც., გლეხები—6 პროც., მოსამსახურენი—22,3 პროც. მაშასადამე აქ მოსამსახურეთა პროცენტი კი არ იზრდება მუშების ხარჯზე, არამედ ხდება მუშათა შემადგენლობის სისტემატიური ზრდა.

თუ ავიღებთ ჩვენი ორგანიზაციის ეროვნულ შემადგენლობას, მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ იქ არის ისეთივე ეროვნული შემადგენლობა, როგორც პროფკავშირებში: ჩვენ პარტორგანიზაციაში ქართველობა შედგენს 38,9 პროც., სომხობა—26,7 პროც., რუსობა—20,2 პროც., თურქობა—2,6 პროც., დანარჩენი ეროვნებიანი—11,6 პროც. როგორცა ხედავთ, სამი უმთავრესი ეროვნება, რომელიც შეადგენს მუშათა მასსებს, თბილისის ორგანიზაციაში სწორათ არის გამოხატული.

მუშების მოქცევა კომუნისტურ გავლენის ქვეშ

ეხლა საინტერესოა თვალი გადავავლოთ, თუ კომუნისტებისა და კომკავშირელების გავლენა როგორ ძლიერდება მუშათა კლასზე. არის თუ არა აქ რაიმე მიღწევანი? თუ ჩვენ ავიღებთ მთელ რიგ საწარმოვო დაწესებულებებს ჩვენს რაიონებში, მაშინ დავინახავთ შემდეგ ციფრებს, რომლითაც თვალსაჩინო ხდება, თუ როგორია კომუნისტებისა და კომკავშირელების გავლენა საწარმოვო დაწესებულებებზე: ლენინის რაიონში არის სულ 8.085 მუშა. აქედან 1730 ე. ი. 19,5 პროც. შედის კომპარტიაში. 692 ე. ი. 8,5 პროც. შედის კომკავშირში. სულ ორთავე ორგანიზაციაში შედის 28 პროც. არსენალის რაიონში არის 3839 მუშა; აქედან კომუნისტები არიან (18 წარმოებიდან)—1123 ე. ი. 28,5 პროც. კომკავშირელები—523 ე. ი. 13,6 პროც. სულ—42,1 პროცენტი.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონში პარტიისა და კომკავშირის წევრები შეადგენენ 44,3 პროც. ქალაქის რაიონში—28,5 პროცენტ.

სხვათა შორის თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო იმას, თითქოს ლენინის, ამ ყველაზე მეტათ მუშურ რაიონში, მუშათა მასსები შედარებით ნაკლებ არიან მოქცეული ჩვენს გავლენის ქვეშ. ეს იმით კი არ აიხსნება, თითქოს იქ სუსტად სწარმოებდეს მუშაობა, არამედ იმიტომ, რომ აქ მუშები მრავლათ არიან. აქ 8.000-ზე მეტი მუშაა. ეს კი თითქმის იმდენსავე შეადგენს, რამდენსაც სამი დანარჩენი რაიონი; ასე, რომ 28 პროცენტი სრულიადაც არ ჩაითვლება მცირე რაოდენობათ. წინააღმდეგ, ყველაზე მეტი გამარჯვება ჩვენი პარტიის გავლენის მხრივ შემჩნეულია ლენინის მუშურ რაიონში.

ამგვარად საშუალოდ რომ ავიღოთ თბილისში კომპარტიისა და კომკავშირის გავლენა მუშათა მასებზე—წარმოებებში, გამოვა 33,7 პროცენტი.

აი ის ციფრები, რაც თვალსაჩინოთ ხდის ჩვენი პარტორგანიზაციების გავლენას მუშათა მასებზე.

მუშაობა საბჭოთა მიმართულებით

ეხლა გადავიდეთ ჩვენს მუშაობაზე საბჭოთა მიმართულებით. თებერვალში მოხდა თბილისის საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებმა ჩაიარეს ვენი საბჭოთა მუშაობის გაცხოველების ლოზუნგით და უპარტიოების ჩაბმით საქმიან მუშაობაში. აქ ჩვენ უეჭველათა გვაქვს დიდი მიღწევანი. თუ თბილისის მეოთხე მოწვევის საბჭოში ითვლებოდა 20 პროც. უპარტიო, ეხლა ეს შეადგენს 34,2 პროც. როგორც სჩანს, თითქმის ორჯერ გაიზარდა უპარტიოთა რიცხვი თბილისის საბჭოში. მუშები შეადგენენ [illegible]—55,5 პროც. ეხლა [illegible] —59,6 პროც.

რაც შეეხება საბჭოს მუშაობის გაცხოველებას, აქ დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სექციურ მუშაობას.

ჩვენ წინეთაც გვქონდა სექციები, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ესენი იყვენ მკვდარი დაწესებულებანი, რომელთაც არავინ არ ეკარებოდა და არც იღებდა რაიმე ცოცხალ მონაწილეობას. ეხლა სულ სხვა სურათია: ამ მოკლე ხნის ე. ი. 7 თვის განმავლობაში იყო 42 სხდომა სხვადასხვა სექციებისა, მათ შორის სამხედრო სექციისაც, რომელიც ახლად დავაარსეთ. ამ ხნის განმავლობაში ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა კომუნალური სექცია, რომელიც იხილავდა ქალაქის საბჭოს მუშაობის მთავარ დარგებს. თბილისის საბჭოს შემადგენლობა ამ სექციებში წარმოადგენს—60 პროც. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი, მაგრამ წარსულთან შედარებით ეს მაინც შესამჩნევი წარმატებაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოახლოვებულ ახალ არჩევნებზეც ჩვენ მოვახერხებთ მთელი ძალ-ღონის მოხმარებას და შევსძლებთ შემდეგშიაც განვაგრძოთ ეს ხაზი: გავაძლიეროთ უპარტიონი 40 პროცენტამდის და თუ შეიძლება მეტიც. აგრეთვე საბჭოში გავიყვანოთ რაც შეიძლება მეტი უბრალო წევრები, როგორც პარტიული, ისე უპარტიო. ეს იმ მოსაზრებით, რომ უფრო გაცხოველდეს მუშაობა, რადგან დაუსწრებლობის პროცენტი ყველაზე მეტათ მოდის იმათზე, ვინც ზედმეტათ არის დატვირთული მუშაობით.

მრეწველობის მდგომარეობა

გადავიდეთ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის განხილვაზე. ეს საკითხი განსაკუთრებით უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ ამჟამად, როდესაც ჩვენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დავაყენეთ მრეწველობის გაფართოვების ამოცანა, რომ ამით გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა, ვინაიდან, ცხადია, თუ ეს ძირითადი ბაზა არ გვექნა, თუ ჩქარის ტემპით არ განვავითარეთ მრეწველობა, საშუალება არ გვექნება წარმატებით გადავსჭრათ ჩვენი პარტიის წინაშე დასმული საკითხები.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშაობის გარკვეული ნაკლი, ეს წინადაც გამოსჭვივოდა და წითელ ძაფად გადიოდა ყველა ჩვენს პარტიულ კონფერენციებზე—იყო ის, რომ ჩვენ ძალიან მცირე ყურადღებას ვაქცევდით ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს; უფრო პოლიტიკური ხასიათის საკითხებით ვიყავით დაინტერესებული. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყო იმ მომენტის განსაკუთრებული თვისებებით, რომელსაც მაშინ განვიცდიდით, მაგრამ მაინც გარკვევით უნდა ითქვას—ჩვენს მრეწ[illegible] ვაქცევდით. ეხლა კი ამის დაშვება აღარ შეიძლება, ვინაიდან ჩვენი მრეწველობის ბედ-იღბალის საკითხის გადაუჭრელად და გარეშე ძლიერი და ცოცხალი ინტერესისა ამ ძირითადი საკითხისადმი ყველა პარტიული ორგანიზაციების მხრით, ჩვენ ვერ მივაღწევთ მნიშვნელოვან წარმატებას ჩვენი მოღვაწეობის ყველა დარგებში.

რა თქმა უნდა, როდესაც მრეწველობის საკითხს ვეხებით, ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი ქართული მრეწველობის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელი ეს მრეწველობა, რომელსაც განაგებს უმაღლესი სამეურნეო საბჭო, უმეტეს ნაწილად მოთავსებულია თბილისში, ჩვენ მხოლოდ 10 ძირითადი ტრესტი გვაქვს, რომლებიც ასე თუ ისე ნაყოფიერად მუშაობენ, და ეს მათი მუშაობა უმთავრესად ხდება [illegible]ლისში. მაგალითად მრეწველ[illegible] თამბაქოსი, ტყავეულობის, ზეთის და საპნის, არყის სახდელი, სახერხი ქარხნები,—ყველაფერი ეს თბილისში არსებობს და ჩვენ მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ მრეწველობის ამ დარგებს.

ჩვენი მიღწევები

რაგვარი მიღწევები გვაქვს ჩვენ აქ? თუ ავიღებთ ეკონომიური ორგანიზაციების მიერ მოცემულ ციფრებს, ჩვენ შემდეგ სურათს მივიღებთ: თუ წინად 4.400 მუშა იყო ჩაბმული იმ მრეწველობაში, რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განაგებს, ეხლა არის 6.000 მუშა. როგორც ვხედავთ, მომატება საკმაოდ მნიშვნელოვანია.

თუ ავიღებთ იმ პროდუქციის ციფრებს, რომელნიც ბაზარზე გამოაქვთ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო დაწესებულებებს, შემდეგი ცნობები წარმოგვიდგება თვალწინ: თუ ომის წინა დროის მანეთებზე ვიანგარიშებთ, 23—24 წელში დამზადებულია 4.823.000 მანეთად ღირებული პროდუქცია, 24—25 წელში 5.962.000 მან., თუ ამგვარსავე ტემპს მივიღებთ დარჩენილი კვარტალისთვისაც, გამოვა 7,5—8 მილიონის პროდუქცია; რაც იძლევა 55—60 პროც. მომატებას გასულ წელთან შედარებით. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი სინამდვილის პირობებში დიდი მიღწევა არის. თუ საკავშირო ციფრებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ იქ მომატება არის მსხვილ წარმოებაში 64 პროც. საშუალოში—55 პროც. ხოლო წვრილში—30 პროც.

ახალი ტეხნიკური ბაზა

ჩვენი მრეწველობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისეთი სისწრაფით იზრდებოდეს, როგორც საკავშირო მრეწველობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ გეზი აღებული გვაქვს იქითკენ, რომ გაუთანასწორდეთ მას და ამ დარგში ჩვენ მოგვეპოვება მნიშვნელოვანი მიღწევები. შემდეგი ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მ[illegible] მრეწველობის გა[illegible] გზით ვიაროთ. უმთავრესად საჭიროა ჩვენი ქარხნების ტეხნიკის გაუმჯობესება, ვინაიდან მათი მოწყობილობა წარმოუდგენლად ძველია და ამგვარადვე ძველია მათი ტეხნიკა. თუ დავათვალიერებთ ჩვენს ქარხნებს და სამრეწველო დაწესებულებებს—ეს გარემოება იმ წამსვე გვეცემა თვალში. ჩვენ მეტად ჩამორჩენით და საჭიროა ჩვენი ქარხნები ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოვაწყოთ.

უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ყურადღება მრეწველობისადმი, ვიშოვოთ საჭირო სალსარი იმისათვის, რომ მოვაწყოთ მისი მექანიზაცია. მექანიზაციის გზას ჩვენ უკვე დავადექით; მაგალითად, ტყავეულობის ტრესტის დაწესებულებანი, ყოფილი ადელხანოვის ქარხანა, უკვე გადავიდა წარმოების მექანიზაციაზე,

---

ჩაისახა და წარმოიშვა თბილისის ს.-დ. მუშათა რევოლიუციური ორგანიზაცია.

აქ საიუბილეო კომისიისათვის უმთავრესად საჭიროა იმ თარიღის გამორკვევა, რომლის მიხედვითაც მან მომავალი დღესასწაულის დრო უნდა დაასახელოს.

ცხადია, აქ ს.-დ. ორგანიზაციის ჩასახვის ის მომენტი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, როცა თბილისში პირველად შედგა ს.-დ., მუშებისა და ინტელიგენტებისაგან ისეთი ჯგუფი, რომელმაც იკისრა ერთი მხრით ს.-დემოკრატიული იდეების თბილისის მუშათა შორის გავრცელება, ხოლო მეორე მხრით ახლათ იღძრული მუშათა სტიქიური მოძრაობის შეძლებისდაგვარათ ხელმძღვანელობა და რომელიც ამ მიზნით რეგულიარულათ იკრიბებოდა, რა თქმა უნდა საიდუმლოთ, ფარულად თავის კრებაზე რევოლიუციური დადგენილებები გამოჰქონდა.

რა პირობებში, ვისგან და როდის, სად შედგა ასეთი ჯგუფი თბილისში? რითი აღნიშნა მან თავისი ს.-დ. რევოლიუციური მოქმედების პირველი ნაბიჯი?

რას გვეუბნება ამხ. ფილიპე მახარაძის ნარკვევი—სტატია ყველა ამ კითხვებზე?

აი რას:

1896 წლის დასაწყისში, სწერს ამხ. ფილიპე, პირველათ გავეცანი მესამე დასელთა ჯგუფს, რომელიც ს. ჯიბლაძის ირგვლივ იკრიბებოდა.... ესენი იყვნენ თითქოს მომზადებული ახალგაზრდები, მაგრამ მარტო თავის თავზე ზრუნავდენ, ე. ი. თვითგანვითარებისთვის (იმ ჯგუფის უმრავლესობა მართლაც ასეთი იყო. რ. კ.).... მე ვეკითხებოდი ყველას ამხ. არაქელ ოქუაშვილის შესახებ, რომელსაც მე 1887 თუ 8 წლიდან ვიცნობდი... მე მწამდა, რომ არაქელ ოქუაშვილის საშუალებით ჩვენი ამხანაგები დაუახლოვდებიან თბილისის მუშებს... 1896 წელს, არ მახსოვს რომელ თვეში, მე დავიწყე მუშაობა ჟურნალ „კვალი“-ს რედაქციაში... აი სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი შეხვედრა არაქელასთან... მასთან მე გავიცანი ზ. ჩოდრიშვილიც. მე ვფიქრობდი ამათი საშუალებით მუშების წრის შედგენას პოლიტიკური ეკონომიის ანბანის შესასწავლათ... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უნდა ავზარგებულიყავ თბილისიდან და მინდოდა გადამეცა ისინი ს. ჯიბლაძისათვის... მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამათ უკვე წრე ჰქონებოდათ და კონსპირაციის მოსაზრებით თურმე მე მიმალავდნენ. (იხ. ამხ. ფილიპეს წიგნაკი გვ. 28).

ამხ. ფილიპეს განცხადება სრულიათ ადასტურებს იმ ჩემს მოსაზრებას, რომელიც მე არაქელას მიერ მუშების წრეში ამხ. ფილიპეს მიწვევის შესახებ ჟურნ. „რევოლიუც. მატიანე“ 1925 წ. № 1 (2-ში) გამოვთქვი (იხ. აღნიშნული ჟურნ. გვ. 149).

ამაზე ამხ. სევასტი თალაქვაძე შენიშნავს, ვითომ ეს ჩემი მოსაზრება „ლოღიკური შეუსაბამობა და შეცდომა[illegible]“. (იხ. „რევ. მატ.“ № 1 (2) გვ. 150). აქ ამხ. სევასტი სწერს:

„ძველი მისი (ამხ. ფილიპეს) ნაცნობი მუშები—არაქელა და ზაქრო—შეხვდნენ ვარშავიდან ჩამოსულ ძველ ნაცნობს—ფილიპე მახარაძეს 1896 წლის დასაწყისში. ამის უფლება, როგორც ორგანიზაციის წევრთ, მათ ჰქონდათ „მორალურადაც“ და „იურიდიულათაც“. აქ ამით არავითარი კონსპირაცია არ ირღვეოდა მათ მიერ. შეხვდენ ისინი ფილიპეს, მაგრამ მაშინვე, პირველ ხანებში, პირველ შეხვედრისთანავე კი არ გაუმხელიათ ფილიპესთვის ორგანიზაციის არსებობა და მისი მუშაობა“ (იხ. „რევოლიუციის მატიანე“ № 1 (2) 1925 წლ. გვ. 149).

აქედან გამოდის ვითომ მე ვფიქრობდე, რომ არაქელას და ზაქროს არც „მორალურათ“ და არც „იურიდიულათ“ უფლება არ ჰქონდათ ვასო ცაბაძის „ნებადაურთველათ“ შეხვედროდენ ამხ. ფილიპეს და გაემხილათ მისთვის თბილისში უკვე არსებული ს.-დ. ორგანიზაციის მუშაობა.

როგორც მკითხველი ხედავს, მე აქ არც „მორალური“, არც „იურიდიული“ და არც არავითარი იმ დროინდელი „უფლება“ მხედველობაში არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, როგორც რევოლიუციონერ-მარქსისტ-კომუნისტს.

ანგარიშგასაწევია მხოლოდ კონსპირატიული მოსაზრება, როგორც ამას თვითონ ამხ. ფილიპე აცხადებს—„კონსპირაციის მოსაზრებით თურმე მიმალავდენ“-ო. ამ „დამალვისათვის“ ამხ. ფილიპე არც უსაყვედურებს მათ. რევოლიუციონერისათვის კონსპირაციის უფლება ყველა სხვა უფლებაზე მაღლა სდგას. ეს უნდა ესმოდეს ყოველ რევოლიუციონერს.

ამასთან, როგორც თვითონ ამხ. ფილიპეს გადმოცემით ვიცით, კონსპირაციის ამ შემთხვევაში არა მარტო იმ ჯგუფის ინტერესები მოითხოვდა, რომელსაც არაქელა და ზაქრო ეკუთვნოდენ, არამედ—კიდევ უფრო თვითონ ამხ. ფილიპეს „ნახევრათ ლეგალური მდგომარეობაც“ (იმ დროს იგი ჯერ კიდევ ჟანდარმერიის საიდუმლო მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა). მხოლოთ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ამხ. ფილიპეს ძალიანაც „უნდოდა“ მუშათა წრეში მეცადინეობა, რასაც მას ს. ჯიბლაძის რჩევა—„დე, მაგი (ფილიპე) იჯდეს თავის ოთახში, იკითხოს და როგორც თეორეტიკი მარტო (აქ „ქართული“ ამხ. სევასტისაა) თეორიული საკვები მიაწოდოს ორგანიზაციასო“—ვერ დაუშლიდა, თუ რომ ზემოთ დასახელებული ნახევრათ არა ლეგალური მდგომარეობა არ ყოფილიყო.

ამას ამხ. ფილიპე თვითონვე აცხადებს ზემოთმოყვანილ სიტყვებში, საიდანაც ნათლათ სჩანს, რომ იგი „მუშათა წრეში სამეცადინოთ“ არ წასულა. ამხ. სევასტი კი ამხ. ფილიპეს დაჟინებით გზავნის „მუშებთან სამეცადინოთ“ და მერე არა ერთ წრეში, არამედ „წრეებში“.

იგი სწერს:... „ამ რიგათ ვ. ცაბაძეს ეძლევა შემთხვევა წაიყვანოს ფილიპე მახარაძე მუშათა არალეგალურ წრეებში სამუშაოთ“. (იხ. რევოლიუც. მატიანე“-ს № 1 (2) გვ. 152).

მე იმაზე აქ არაფერს ვიტყვი, თუ რათ დასჭირდა ამხ. სევასტის ასეთი სიცრუის შეთხზვა (დე, ამას თვითონ მკითხველმა დასდოს მსჯავრი) ვაცხადებ მხოლოდ, რომ ამხ. ფილიპეს შესახებ მე ბევრჯერ შევკითხვივარ ვასო ცაბაძეს (რადგან ვეჭვობდი: იქნებ მე ვერ შევნიშნე მეთქი) და ყოველთვის მისგან უარყოფითი პასუხი მიმიღია. ამასვე დაამოწმებენ თვითონ ამხ. არაქელა, ვანო და გიორგი, რომელთა მეთაურობით მაშინ „მუშათა წრეები“ დგებოდა. მე მგონია, რომ ამასვე დაამოწმებს თვითონ ამხ. ფილიპე მახარაძეც. ამის შემდეგ, მე აღარ ვიცი, რა ფასი უნდა ჰქონდეს ამხ. სევასტი თალაქვაძის მიერ შეთხზულ „შენიშვნებს და ისტორიებს“.

მაგრამ დავანებოთ თავი ამხ. თალაქვაძის „შენიშვნებს“, მით უფრო, რომ შემდეგ წერილში მას ცალკე უფრო ვრცლად შევეხები, მიუბრუნდეთ თვით ამხ. ფილიპეს ნარკვევს.

ის ემყარება უმთავრესად ვასო ცაბაძის მოგონებას და მუშათა ს. დ. ორგანიზაციის თბილისში ჩასახვას ასე აგვიწერს:

„...1894 წლის ოქტომბრის თვეში ს. ჯიბლაძე და ვასო ცაბაძე წასულან ჩვეულებრივ კრებაზე, სადაც ლაპარაკი და მსჯელობა ყოფილა მარქსის ფილოსოფიაზე, აქ გაუცვნიათ მათ ვინმე სტანისლავ რენიგერი. ამ რენიგერის საშუალებით ვასო ცაბაძე გაეცნო ერთ პატარა ჯგუფს მარქსისტებისას, რომელსაც გადაეწყვიტა თბილისის მუშებში მუშაობის დაწყება. ეს ჯგუფი შედგებოდა სულ ოთხი კაცისაგან: „სტანისლავ რენიგერი“ („იუსტინე“) თედორე აფანასიევი, მ. კლიმიაშვილი და კოკი. ამ ჯგუფის საშუალებით პირველი წრე მუშებიდან დაარსებულია დაახლოვებით იმავე წლის (1894 წ.) ნოემბერში. (წრეში ითვლებოდა 6 კაცი). წრე შესდგომია სისტემატიურ მუშაობას, როგორც თვითგანვითარების, ის მუშებში პროპაგანდის გაწევის მიზნით...

დამოუკიდებლათ ამ წრისა 1893 წელს თბილისის რკ. გზ. სახელოსნოებში შემდგარა მუშების წრე (6 თუ 7 კაცი), რომელშიაც შედიოდენ მარტო რუსები. ვ ყიასაშვილის გადმოცემით 1894 წელს ზაფხულში რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეებისაგან შემდგარი წრე (4—5 კაცისაგან).

ასე რომ 1894 წელს ხელმძღვანელ ჯგუფის გარდა თბილისში დაარსებულა კიდევ 4 წრე, რომელიც ერთნაირ სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა“.

ქვევით ამხ. ფილიპე განაგრძობს: „საქმე დაწყებული 1894 წ. მიწურულში ჩქარა ისევ გაფართოვდა და გაიზარდა, რომ უკვე 1896 წლის დასაწყისში როგორც გადმოგვცემს ამხ. გიორგი ჩხეიძე, თბილისის რკინისგზის სახელოსნოებში შესდგა უკვე ორი ძლიერი წრე, ანუ უჯრედი. ამ წრეს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მთელი სახელოსნოს მუშებისათვის იმათ ბრძოლაში მთავრობის წინააღმდეგ“...

„აქედან ჩვენ ვხედავთ, დაასკვნის ამხ. ფილიპე, რომ 1894—96 წწ. განმავლობაში მუშათა-მარქსისტულ წრეების შედგენა-მოწყობაში მომხდარა ერთნაირი შერჩევა და გადაჯგუფ-გადმოჯგუფება. ყოველ შემთხვევაში ზემოთ დასახელებული ორი წრე გახდა მთელი თბილისის ორგანიზაციის, და არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს და შემდეგ მთელი ამიერკავკასიის ორგანიზაციების დედა-ბოძად“... აქედან დასკვნა: „ასე რომ 1896 წლის დასაწყისში იწყებენ რევოლიუციონურ მოქმედებას უკვე საკმარისად მომზადებული მარქსისტული წრეები ანუ უჯრედები.... („იხ. ამხ. ფილიპე მახარაძის წიგნაკი „თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა“-ს გვ. 28-32).

მაშასადამე, ამხ. ფილიპეს გამორკვევით თბილისის ორგანიზაციის ჩასახვის თარიღათ 1896 წლის დასაწყისი უნდა მივიღოთ, ასე რომ 30 წლის თავი შესრულდება 1926 წლის დასაწყისს. და თუ შევძლებდით იმ რევოლიუციური ნაბიჯის დათარიღებას, რომელიც ამ ს. დ. რევოლიუციურ ჯგუფს ამ 1896 წლის დასაწყისში პირველათ გადაუდგამს, მაშინ ჩვენ ის დროც განსაზღვრული გექნებოდა, რა დროსაც საქართველოს კომპარტიამ ეს დღესასწაული უნდა გადაიხადოს. ამის ცდას კი ჩვენ ამხ. ფილიპეს ნარკვევში ვერ ვხედავთ, რაც მის ნაკლს წარმოადგენს.

ამ ნაკლის შესავსებათ კი ჩემის აზრით საკმაო იყო მხედველობაში მიეღო მას ვ. ცაბაძის მოგონება, სადაც ეს თარიღიც აღნიშნულია, სხვა დოკუმენტი ამაზე არ მოიპოება.

ვასო ცაბაძე სწერს: „...1895 წლის დამლევს ჩვენ უკვე გვყავდა მოწინავე მუშათა კონტიგენტი, რომელიც ხელმძღვანელ ჯგუფს დიდ დახმარებას უწევდა და მუშათა ფართო წრეებში დიდ აქტიურ მუშაობას აწარმოებდა (იხ. „რევ. მატ.“ № 3 1923 წლ.).

„ხოლო 1896 წლის ზაფხულზე—განაგრძობს ვასო,—გარდა რკინის გზის დეპოს სახელოსნოსი, ფართო კავშირი გვაბამით თბილისის თითქმის ყველა თამბაქოს ფაბრიკის მუშებთან... ამ ფაბრიკებში გაფიცვები წინადაც ყოფილა, ხოლო გაფიცვას არასოდეს ისეთი ფართე, ხანგრძლივი და მტკიცე ხასიათი არ ჰქონია, როგორც 1896 წ. ჩვენმა ჯგუფმა აქ პირველად აიღო თავის თავზე ამ გაფიცვების ხელმძღვანელობა... გაფიცვა მოხდა შემდეგ ფაბრიკებში: ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვის და სხ. გაფიცვა დაიწყო ივლისის პირველ რიცხვებში... გაფიცვა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტი. კუკიის სასაფლაოს იქით ღამ-ღამობით ხდებოდა გაფიცული მუშების დიდი კრებები, რომელზეც სისტემატიურათ ესწრებოდა 100-200 კაცამდე. ამ კრებებზე ხელმძღვანელი ჯგუფი ეწეოდა ფართო აგიტაციას—როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკური ხასიათის... გაფიცვაში გაფიცულების მხრივ ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდენ: გიორგი აზნაუროვი, სანდრო ბაჟიაშვილი, ვანო მანჯავიძე და თათარი ახათა... მიუხედავათ გაფიცვის დამარცხებისა, გაფიცულ მუშებსა და ჩვენ შორის სამუდამო კავშირი მოეწყო. გაფიცული მასსა ძალიან მალე დადგა ჩვენი გავლენის ქვეშ... ჩვენ აქ პრაქტიკულად დავრწმუნდით იმაში, რაც კარგათ ვიცოდით თეორიიდან. თუ წრეები საშუალებით წლებია საჭირო მუშებში კლასობრივი თვითშეგნების შესატანათ—გაფიცვების წყალობით ეს შეგნება სულ რამდენიმე დღეს ხდება“.

„1896 წლის დამლევს უკვე სისტემატიურათ იკრიბებოდა და მეცადინეობა სწარმოებდა დაახლოვებით 25 მუშათა წრეში“... (იხ. „რევ. მატ.“ მე № 5, 1923 წლ. გვ. 178 და 180).

ასე აგვიწერს ვასო ცაბაძე თავის მოგონებაში თბილისის ორგანიზაციის პირველ ჩანასახს—პირველ ხელმძღვანელ ს.-დ. ჯგუფის „რევოლიუციური მოქმედების“ განვითარების პროცესს.

აქედან ნათლად სჩანს შემდეგი: 1894 წლის დამლევს თბილისში შემდგარი ს.-დ. ჯგუფი, რომელიც ყველაფრით მზათ იყო მუშებში ს.-დ. პროპაგანდის გასაწევათ, 1895 წელს საკმაოთ ფართოვდება და მუშებისგან აწყობს რამდენიმე ისეთ წრეს, რომელთა წევრებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ხელმძღვანელ ჯგუფს. ხოლო 1896 წლის ზაფხულზე ეს ჯგუფი იმდენათ მოღონიერებული-მომზადებულია, რომ ის გაბედულათ ხელმძღვანელობას უწევს მუშათა „ფართო და ხანგრძლივ“ გაფიცვას. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვიწრო წრეებში მოქმედებიდან ფართე მასსებში მოქმედებაზე გადადის. სიტყვით პროპაგანდასთან ერთად საქმით პროპაგანდას, ე. ი. აგიტაციას აწარმოებს. ვიწრო პროპაგანდიდან ფართე მასიურ აგიტაციაზე გადადის. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მომენტია რევოლიუციურ ორგანიზაციის ცხოვრებაში და მე მგონია უმჯობესი იქნებოდა სადღესასწაულო-საზეიმო მოამენტათ ეს დრო მიგვეღო. მით უფრო, რომ ამისი თარიღი არავისთვის საეჭვო არაა.

1896 წლის ივლისი, აი ეს თარიღი.

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის თავი ამ ორგანიზაციის გაჩენის მომენტიდან ერთერთს უნდა [illegible] ფარდოთ: ან მისი პირველ[illegible] მძღვანელი ჯგუფის პირველ[illegible] როცა მან ს.-დ. მუშური ბრ[illegible] კა მოაწყო და მუშათა პირო- პროპაგანდო წრე შეჰქმნა. მე[illegible] 1894 წლის ნოემბერი) [illegible] აწერილი მისი მასი[illegible] გამოსვლა (ე. ი. [illegible] გატარებული [illegible]სი). მე მგონია, [illegible]ით ნაკლები, ვიდ[illegible] უფრო მნიშ[illegible] კიდრე 1923 წლის იმა[illegible] სახიშნავი [illegible] მიღებ[illegible] რომ [illegible]

[illegible]პერაციის ურთიერთობა

[illegible]ის კოოპერაციის ეროვნულმა საბჭომ [illegible] კავშირის კოოპერატიულ ორგანიზაციებ[illegible]ის შესახებ. ამ ურთიერთობას ექნება მხოლ[illegible]ლ სავაჭრო ოპერაციების ხასიათი.

ტრესტის ფაბრიკაშიაც [illegible] მოვლენასა აქვს ადგილი. თუ [illegible] ამ გზით ვივლით, მო- [illegible] წელში ჩვენ გვექნება მიღწე- [illegible] არა მარტო მუშაობის აღდგე- [illegible] ბრივ, არამედ ჩვენი მრეწვე- [illegible] ის ახალი ნიადაგზე დაყენების [illegible]

ზე. [illegible] ლება არ აღნიშნოს აქვე ხელმძღ[illegible], რომ ზოგიერთი [illegible] ნაგების მხრივ არ არის [illegible] დაფასებული ეს საკითხადა [illegible] ერთგვარი გულგრილობადამი.

[illegible] ლაპარაკობენ: „რა მრეწველობა აქვს ჩვენ: საპნის, სპირტის და [illegible], ტყავის წარმოება, თამ[illegible] წარმოება და მეტი არაფერი“ [illegible], რასაკვირველია, არ არის [illegible] ინდუსტრია, არ არის ისეთი [illegible] წველობა, სადაც მუშათა კლასს [illegible] ძლება სწრაფი ზრდა და განვითარება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში [illegible] მრეწველობას, რომელიც არის [illegible] პირობებში, რამდენადაც მცირე და [illegible] არ უნდა იყოს ის,— ჩვენ უნდა ჩავჭიდოთ ხელი, რადგან მრეწველობის გარეშე არ არსებობს ქვეყნის ნამდვილი განვითარება. ჩვენ ყოველი მხრით ხელი უნდა შეუწყოთ მის განვითარებას, მის გაუმჯობესებას.

მეტი ინტერესი ჩვენს მიღწევებს

ჩვენი ამოცანა უნდა მდგომარეობ[illegible] იმაში, რომ განვავითაროთ ეს [illegible] წველობა სწორი გზით იმისა[illegible], რათა შევქმნათ ჩვენი რევოლუციის მუშური კერები, პროლე[illegible] ული სიმაგრეები. საქართველოში ჩვენ გვაქვს ერთი ასე თუ ისე მუშური ცენტრი—ეს არის თბილისი [illegible] რომელიც წარმოადგენს არა მარტო [illegible] ქართველოს და ამიერ-კავკასიის [illegible] ა-ქალაქს, არამედ აგრეთვე ჩვენი [illegible] ული მრეწველობის ცენტრს. ცხადია, რომ მუშების რაოდენობის გადიდება და მრეწველობის გაფართოება წარმოადგენს ჩვენი პარტიის და ჩვენი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს შეგნებული უნდა გვქონდეს. ჩვენი მთავარი ლოზუნგია: „ნაკლები წუწუნი, ნაკლები გულგრილობა და მეტი ცოცხალი, და საქმიანი ინტერესი იმ მიღწევებისა და ნაკლოვანებებისადმი, რომლებიც გვაქვს ჩვენ ფაბრიკებში და ქარხნებში“. ამ ლოზუნგს ჩვენ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვათ, რომ ის სავსებით შეიჭრეს ჩვენი პარტიული მა[illegible] ართო წრეებში, ზევიდან [illegible] ზევით.

უკანასკნელ დროს პარტიულ წრეებში, მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით, წამოიჭრა საკითხი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო თბილისის და საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასი[illegible] მასშტაბით; სახელდობრ საკითხი მრეწველობის ცალკე დარგების ერთმანეთთან კიდევ უფრო დაკავშირების შესახებ ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკაში, ისეთი მომწესრიგებელი ცენტრის შექმნის შესახებ, რომელიც შეიტანდა ერთგვარ გეგმიანობას და სისტემას ჩვენს სამეურნეო მუშაობაში. მე ვლაპარაკობ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნაზე. ამას ჩვენ გვკარნახებს ცხოვრება იმ მხრივ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შემდეგშიაც წარმატებით განვავითაროთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ძლიერება იმ ორგანოს გარეშე, რომელიც შექმნის სამეურნეო ბაზას ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის. და ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ყველაზე საინტერესო იქნებოდა გავცნობოდით აქ თბილისის, როგორც დედა-ქალაქის, ორგანიზაციის აზრს და აგრეთვე ბაქოს ორგანიზაციისას, რომელთა შეხედულებებს ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა საოლქო ორგანოებმა. რაც შეეხება ამ საკითხს, ამას ჯერ კიდევ სადისკუსიო ხასიათი აქვს; საბოლოო გადაწყვეტილება ამის შესახებ არ არსებობს. ჩვენ მოვისმენთ ამ კონფერენციაზე სპეციალურ მოხსენებას მრეწველობის შესახებ და მაშინ საშუალება მოგვეცემა დაწვრილებით შევჩერდეთ ციფრებზე, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგების მდგომარეობას, და აგრეთვე შევუდგეთ ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს საკითხის გადაჭრას. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ ტენდენცია ისეთი მომწესრიგებელი ორგანოს შექმნისა არის და მან, გარდა პოლიტიკური საძირკვლისა, რომელიც გვაქვს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, უნდა შექმნას კიდევ სამეურნეო [illegible] ზა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა[illegible]. აი ამიტომ თბილისის ორგა[illegible] მ აუცილებლად სერიოზული [illegible] ბა უნდა მიაქციოს ამ სა[illegible] ა სთქვას თავისი გავლენია-[illegible]

შეძლ[illegible] მიმშ[illegible] როცა სა[illegible] ისტორიის [illegible] და აღნიშნ[illegible] ებებიც, რ[illegible]

[illegible] ელფერი [illegible]ური მეურნეობა

რუსეთის კომპარტიაზე [illegible] ჩვენს კომუ[illegible] დებაჲ გამოარკვიონ [illegible]. აქ ჩვენ გვაქვს პარტიის საქართველოს [illegible] შემდეგი განვითარების სხვაობა და [illegible] ილენი, საახსნას მისი ნაკლი ან ღირსება[illegible] და დედა-პარტიას არ აქვს. ჩვენ

ამაშია მთავარი აზრი და მნიშვნელობა ცალკე ერის კომპარტიის ის-

მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ რონოდების რაოდენობა იზრდება თვიდან თვემდე. თუ ჩვენ 24 წელს გვქონდა 62 რონოდა, ეხლა გვაქვს 99, რაც უდრის მათი რიცხვის 50 პროცენტზე მეტად გაზრდას. 16 წელთან შედარებით ჩვენ მივაღწიეთ 86,8 პროცენტს. თუმცა ჯერ კიდევ ომის წინანდელ ნორმამდე არ მივსულვართ, მაგრამ ყოველშემთხვევაში უკვე უახლოვდებით მას. მუშა-მოსამსახურეების რაოდენობა 16 წელთან შედარებით ჩვენში გაიზარდა 14 პროცენტით: 16 წელს ტრამვაიზე მუშაობდა 1,075 მუშა-მოსამსახური, ეხლა კი მუშაობს 1,238. 24 წელს მუშა-მოსამსახურეების რიცხვი უდრიდა 977-ს, ასე, რომ გასულ წელთან შედარებით, მათი რაცხვი გადიდდა თითქმის 25 პროცენტით. თუ ავიღებთ ჩვენი მიღწევების ციფრებს და შევადარებთ წარსულ 1924 წელს, მივიღებთ ასეთ მომატებას: შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16,6 პროცენტით, საერთო შემოსავალი—21 პროცენტით, და ერთი თანამშრომლის შესანახი ხარჯები—25,8 პროცენტით. ეს ტრამვაის მეურნეობაში. საზოგადოთ ტრამვაი შემოსავლიანი წარმოებაა, რომელიც აძლევს ჩვენს ქალაქს მნიშვნელოვან შემოსავალს.

მაგრამ ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშაობას, რომელიც ეხლა სწარმოებს ლიანდაგის და სხვა მოწყობილობის შესაკეთებლათ: ეს მოწყობილობა დაძველდა, გაცვდა და საჭიროა მისი საფუძვლიანი შეკეთება და გამოცვლა. ეს მუშაობა კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ტრამვაის.

რაც შეეხება წყალსადენს, ჩვენ აქაც გვაქვს მიღწევები, რომლებიც გამოიხატება შემდეგ ციფრებში: შრომის ნაყოფიერება წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 4,6 პროცენტით, საერთო პროდუქციის ღირებულება—31 პროც. და ერთი თანამშრომლის შენახვა—10 პროც.

ელექტრონის სადგურებმა თავისი ნაყოფიერება 24 წელთან შედარებით გაადიდეს 25,3 პროცენტით, საერთო პროდუქციის ღირებულება 8,3 პროც. და ხარჯი ერთი თანამშრომლის შესანახავათ 18,2 პროც.

რა შეეხება აბანოებს, 24 წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს შრომის ნაყოფიერების გადიდება 13,9 პროც. საერთო შემოსავლის გადიდება 37 პროც. და ერთი თანამშრომლის ხარჯის გასავალი უდრის 35 პროც.

ამ, ამხანაგებო, ის მიღწევები, რომლებიც გვაქვს ჩვენს კომუნალურ მეურნეობაში.

ბინის საკითხი

უნდა გითხრათ, რომ ეს ყველაზე უფრო მძიმე საკითხია, რომელიც აინტერესებს თბილისელ მუშებს და უნდა აინტერესებდეს ჩვენს თბილისის ორგანიზაციასაც; ეს საკითხი შეეხება საბინაო აღმშენებლობას. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენში დიდი საბინაო კრიზისია. ეს არ არის ახალი მოვლენა, მას ადგილი აქვს არა მარტო ჩვენში, არამედ ყველა დედა-ქალაქებში, მათ რიცხვში მოსკოვშიაც. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასე, მაგალითად, მომავალ წელში მოსკოვის საბჭოს ბიუჯეტიდან 52 მილიონი მანეთი მოხმარდება საბინაო აღმშენებლობას. თბილისის საბჭომ კი თავის ბიუჯეტში ვერ შესძლო 2 ან 3 მილიონი მანეთის გადადება ამ დიდი საქმისათვის. ამავე დროს აშკარაა, რომ უპირველეს ყოვლისა მუშებს უნდა მიეცეთ ეს ბინები; აი, ამიტომ როდესაც ამბობენ, რომ თბილისის ბიუჯეტი მეტათ დიდია, რომ იქ მრავალი მილიონებია აღნიშნული,—ავიწყდებათ, რომ თბილისის პროლეტარიატმა ამ თითქოს დიდი ბიუჯეტიდან აქამდე ვერ შესძლო ორი მილიონი მანეთის გადადება ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ მხოლოდ იმიტომ, რომ უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენის გამო არ რჩება თანხები ისეთი მნიშვნელოვანი მუშაობისათვის, როგორიც არის მუშათა ბინების აშენება, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის განვითარება.

მორიგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მომავალ წელში მაინც გამოვნახოთ რაიმე დამატებითი თანხები და გავადიდოთ საცხოვრებელი ბინების სივრცე და ამით შევამსუბუქოთ საბინაო კრიზისი, რომელიც მეტათ მწვავეა ქალაქში. საბინაო სივრცის შემცირება გამოიწვია იმანაც, რომ ამ ბოლო ხანებში გაძლიერდა ქალაქში ჩამოსვლა სოფლებიდან. აი, ამხანაგებო, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე. მე ვფიქრობ, რომ თბილისის ორგანიზაციამ და ჩვენმა კონფერენციამ უნდა მოგვცეს სათანადო დირექტივები, რომ ჩვენ საბინაო აღმშენებლობის სფეროში გვქონდეს მეტი მიღწევები, ვიდრე ეს აქამდე იყო.

თბილისის ბიუჯეტი

თუ ჩვენ გადავალთ ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტის ციფრებზე, უნდა ვსთქვათ შემდეგი: აქ, რასაკვირველია, წარსული წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის გადიდება. წარსული 24—25 წლის ბიუჯეტი შედგენილი იყო 12.997.000 მანეთის რაოდენობით. ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ქალაქში განისაზღვრებოდა 11,5 მილ. მანეთით, მაზრაში კი—572,000 და რაიონებში—203 ათასი მანეთით. ამრიგათ, ჩვენ გვქონდა 12 მილიონიანი ბიუჯეტი, რომელიც თითქმის უკვე გამართლებულია, რადგან წარსული წლის 9 თვის განმავლობაში ჩვენი შემოსავალი უდრიდა 9 მილ. მანეთს, რაც უდრის იმ თანხის 97 პროცენტს, რომელიც აღნიშნული იყო ბიუჯეტში.

ჩვენი გასავალი უდრიდა 7.911.000 მანეთს, რაც შეადგენს იმ თანხის 85,8 პროცენტს, რომელიც უკვე აღნიშნული იყო.

რაც შეეხება 1925—26 წლის ბიუჯეტს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ აქ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. ჩვენი ბიუჯეტის საერთო თანხა უდრის 26.000.000 მანეთს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ 26 მილიონში შედის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აშენება, რომლისთვისაც მომავალ წელში საჭიროა კიდევ 6 მილიონი მანეთი. ამ თანხაშივე შედის ჩვენი ელექტრო-ქსელის გადაკეთება და კომუნალური წარმოებები, რომლებიც გადაყვანილნი იქნებიან სამეურნეო ანგარიშზე. ამრიგად, თუ ბიუჯეტს გამოვაკლებთ ამ ციფრებს, მაშინ დარჩება ქალაქის ფინანსიური შემოსავლის ნამდვილი ციფრები. შემოსავალი უდრის 10,5 მილიონს, გასავალი კი 11,5 მილიონ მანეთს. ასე, რომ რჩება ერთ მილიონამდე დეფიციტი, რომელსაც ნაწილობრივ დაფარავს შემოსავალი კომუნალური წარმოებებიდან, რომლებმაც თავისი მოგების განსაზღვრული ნაწილი უნდა გადასდონ ბიუჯეტის გასამაგრებლათ.

„ზაჰესის“ აშენება

რაც შეეხება „ზაჰესის“ აშენებას, უნდა ითქვას, რომ ეს არის არა მარტო დიდი სამეურნეო, არამედ პოლიტიკური დასაწყისიც და მისი მნიშვნელობა განიზომება არა მარტო თბილისით, არამედ მთელი საბჭოთა კავშირით. ჩვენ უგრომოთ დავიწყეთ მუშაობა, იმედი გვქონდა რა, რომ ის დაჯდებოდა სულ 2 მილიონი მანეთი, მაგრამ, როგორც ეს ხშირათ ემართებათ ჩვენს ელექტრო-საამშენებლო ხარჯთაღრიცხვებს, აღმოჩნდა, რომ ეს ზაჰესი წავიდა „ვოლხოვსტროის“ გზით და ორი მილიონი მანეთი, რომელიც ხარჯთაღრიცხვით იყო ნავარაუდევი, 16 მილიონამდე ავიდა.

აი, ამიტომ ჩვენ ჩვენი ქალაქის და მისი რაიონების ელექტროფიკაციის საქმე, რომელიც უეჭველად წაქეზების ღირსია, უსათუოდ უნდა დავამთავროთ მომავალ წელში.

დღევანდლამდე დახარჯულია უკვე 10 მილიონი მანეთი. დანარჩენი 6 მილიონი უნდა მივიღოთ უახლოეს წელში. როგორ უნდა მივიღოთ ის? რასაკვირველია, ამ თანხების დიდი ნაწილი, ოთხ მილიონ მანეთამდე, ჩვენ მიერ მიღებული იქნება მოსკოვიდან.

დანარჩენი 2 მილიონი მანეთი ჩვენ როგორმე უნდა გავიჭიროთ და აქ ვიშოვოთ, ნაწილობრივ თბილისის აღმასკომის ბიუჯეტიდან, ნაწილობრივ დახმარების სახით საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობებისაგან.

ამრიგათ, 6 მილიონი მანეთი უეჭველათ გამოძებნილი უნდა იქნეს უახლოესი დროის განმავლობაში, რომ დავამთავროთ ზაჰესის აშენება. უნდა ითქვას, რომ მუშაობა ინტენსიურათ მიდის. ამხ. ქიქინაძის სიტყვით, მუშაობის 40 პროც. უკვე შესრულებულია და აპრილში მთელი საამშენებლო მუშაობა დამთავრებული იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალ წელში ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური დამთავრებული იქნება, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს მივიღოთ იაფი და ნორმალური ელექტრო-სინათლე.

კოოპერაცია

ეხლა გადავდივარ კოოპერაციის საკითხზე. მუშკოოპის მუშაობას ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდით კოოპერატიულ კომისიაშიაც, რომელიც დაარსებული იყო თბილისის კომიტეტთან, პრეზიდიუმშიაც, თბილისის კომიტეტის პლენუმზედაც. უნდა ითქვას, რომ აქ მუშაობა მოიკოჭლებს და ძალიანაც მოიკოჭლებს. მუშაობა, რომელიც საჭიროა ჩვენს პირობებში, არ არის. თუ ავიღებთ ციფრებს წევრთა რაოდენობის შესახებ, რაოდენობა დიდია. შარშან კოოპერატივის წევრთა რიცხვი ნაჩვენები იყო 26,000-ით, მაგრამ როცა მოხდა ხელახალი რეგისტრაცია, აღმოჩნდა, რომ 26 ათასიდან ნახევარიც არ ყოფილა. ხელახალი რეგისტრაცია ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ციფრები, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, მოწმობენ, რომ მუშკოოპში თბილისში ითვლება დაახლოვებით 12—13 ათასი წევრი და მაზრაში—3.000. მაზრაში ძველი მდგომარეობა დარჩა, იყო 3.000 და არის იგივე სამი ათასი. მუშკოოპის ხელახალ რეგისტრაციაში გატარებულ წევრებიდან მხოლოდ 8.000 წევრმა მიიღო საწევრო ბილეთი, დანარჩენებს კიდევ არ მიუღიათ.

კოოპერატიული საზოგადოებრიობა

კოოპერაციის საკითხი ჩვენს წინაშე წამოიჭრა მაისში რწმუნებულთა არჩევნების დროს. ჩვენ დავინახეთ, რომ კრებებს თითქმის არავინ ესწრებოდა. ადგილი ჰქონდა დიდ გულგრილობას და ჩვენ საჭიროთ ვსცანით გაგვეუქმებია ეს არჩევნები, დაგვენიშნა ხელახალი რეგისტრაცია, რადგან არავითარ კოოპერატიულ აქტივობას არ ნიშნავს ის, რომ გვქონდეს მუშკოოპის რამოდენიმე დუქანი და გყავდეს ქაღალდზე 26,000 წევრი. აი ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ მივიღოთ ყოველივე ღონისძიება, რათა განვავითაროთ კოოპერატიული საზოგადოებრიობა, რათა კოოპერაციაში ჩაბმულ იქნენ რაც შეიძლება მეტი წევრები და პირყოვლისა პარტიულები. ამ მიზნით ჩვენ უნდა დაგვეინტერესებია კოოპერაციის წევრები მატერიალურად, რომ ყოფილიყო რამე განსხვავება კერძო დუქნებსა და მუშკოოპს შორის, მატერიალური დაინტერესების გარეშე უპარტიო მუშები არ ეცდებიან გახდნენ კოოპერატივის წევრებად.

განვიხილეთ რა ეს საკითხი, ჩვენ საჭიროდ ვსცანით დაგვეწესებია ზოგიერთი შეღავათები განსაზღვრულ საქონელზე 3 პროცენტის რაოდენობით. მაგრამ ეს არ სჭრის საკითხს. თუ ავიღებთ სავაჭრო ბრუნვის ციფრებს, დავინახავთ, რომ ეს ციფრები შეუჩერებლად იზრდება. სავაჭრო ბრუნვა გადიდებულია ორჯერ წარსული წლის სავაჭრო ბრუნვასთან შედარებით, მაგრამ ასეთი გადიდება არ მოწმობს ჩვენი კოოპერაციის სალ გადახრას, რადგან ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დიდ მაღაზიებისა, რომლებიც კარგად ვაჭრობენ, მაგრამ რომ შევეკითხოთ მათ, როგორია მათი მოგება, გამოჩნდება, რომ ისინი ვაჭრობენ არა მოგებით, არამედ ერთგვარი წაგებითაც. არც იმის პერსპექტივაა, რომ მომავალ წელსაც არ იქნება წაგება. ეს აიხსნება როგორც დიდი დანართი ხარჯებით, ისე აპარატის მოუწესრიგებლობით, მისი მოუქნელობით.

ყველაფერ ამის შედეგია ის, რომ კოოპერაცია მუშაობს არა ისე, როგორც ის უნდა მუშაობდეს ჩვენს პირობებში.

აი ამიტომ, ამხანაგებო, მომავალში ჩვენ მოგვიხდება განსაკუთრებით სერიოზული ყურადღების მიქცევა ჩვენი კოოპერაციის მუშაობისათვის. მისი მთავარი ნაკლი, გარდა იმ დეფექტებისა, რომლებიც [illegible] ნული იყო, მდგომარეობს იმაში, რომ კოოპერაციას არ გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები. მთელი მისი [illegible]—ეს არის ნასესხები ფული, და ამიტომ კოოპერაცია ვერ ახერხებს ამ წრიდან გამოსვლას. აი რატომ არის აუცილებელი დახმარება სახელმწიფოს მხრივ. დახმარება, რომელიც გაწეულია ჯერ ჯერობით, არ არის საკმარისი, ამიტომ თბილისის კოოპერაცია ამჟამად მოიკოჭლებს. ახლო მომავალში მოხდება რწმუნებულთა ახალი არჩევნები და მაშინ თბილისის ორგანიზაცია აუცილებლად უნდა შეეცადოს ერთგვარი შესწორების შეტანას ჩვენი კოოპერაციის მუშაობაში.

საწარმოო თათბირები

ეხლა, ამხანაგებო, მე გადავდივარ ჩვენი პროფკავშირების მუშაობაზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერ შევძელით პროფკავშირების მუშაობის მნიშვნელოვნათ გაცხოველება. აშკარაა, რომ პროფკავშირების მასიურ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ეხლა კულტურულ-სამეურნეო აღორძინებასთან დაკავშირებით. რა ფორმებს იღებს ეს მუშაობა ჩვენში?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საწარმოო თათბირები, რომლებიც მრავალ მუშებს აბამენ წარმოების პროცესში და აცხოველებენ მათში წარმოებისადმი ინტერესს. ჩვენში ამ საწარმოო თათბირების მუშაობა მოწესრიგებული იყო. რასაკვირველია იყო დეფექტებიც, რომლებიც მდგომარეობდენ ჯერ ერთი იმაში, რომ ეს თათბირები ხშირად ვერ იყვნენ სათანადოთ მომზადებული: ზოგჯერ იღებდენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იყო. მეორეც—ამ საწარმოო თათბირების წევრები ანგარიშს არ უწევდენ მუშების მასას და მრავალი გადაწყვეტილებები და წინადადებები, რომლებიც გამოჰქონდათ,—არ სრულდებოდა; ამასთანავე არავინ თვალყურს არ ადევნებდა ამ დადგენილებების შესრულებას, ეს, რასაკვირველია, ასუსტებდა მუშების ინტერესს საწარმოო თათბირებისადმი. თუ მუშების სერიოზული წინადადებები, რომლებიც მათ შეაქვთ თათბირებზე, არ სრულდება, მაშინ მათ ეკარგებათ ყოველგვარი ინტერესი საწარმოო თათბირებისადმი. აი, ამიტომ, ეს დეფექტები მომავალში აღმოფხვრილი უნდა იქნენ. ჩვენ გვაქვს ციფრი, რომელიც ამტკიცებს, რომ ასეთი წინადადებების 50 პროცენტი გატარებულია ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ არის სწორი. 50 პროც. განხორციელება არ შეიძლებოდა, თუ 20—30 პროც. იყო განხორციელებული. ეჭვს გარეშეა, რომ ეს აშკარათ გაბერილი ციფრია. ჩვენს სამეურნეო მუშაკებს წინადადება უნდა მიეცეთ, რომ ისინი მეტი ყურადღებით მოეკიდონ საწარმოო თათბირების მუშაობას.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გადარჩევა.

რაც შეეხება ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, უნდა ვსთქვათ რომ ეხლა სწარმოებს ამ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გადარჩევის კამპანია. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვაქვს ციფრები, რადგან გადარჩევა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებში ჩაბმული იქნეს პროფკავშირების დემოკრატია, რომ ამ არჩევნებში გამოაშკარავდეს საქმიანი კრიტიკა. უნდა ვეცადოთ, რომ ამ კომიტეტებში ჩაბმული იქნენ რაც შეიძლება მეტი უპარტიო ელემენტები, რომ ამ არჩევნებს არ ექნეს წმინდა ფორმალური ხასიათი, რომ ამ არჩევნებმა მიაღწიონ განსაზღვრულ შედეგებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესების მხრივ.

შრომის ხელფასის პოლიტიკა

რაც შეეხება ხელფასს და შრომის ხელფასის პოლიტიკას, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი მრეწველობის ზრდასთან. თუ ჩვენ გვაქვს ჩვენი მრეწველობის საერთო აღორძინება, აშკარაა, რომ ეს იწვევს აუცილებლობას გადიდებული იქნეს შრომის ხელფასი. უნდა ითქვას, რომ შრომის ხელფასის პოლიტიკა უნდა დაუკავშირდეს წარმოებას. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს არა ხელფასის ხელაღებით გადიდებაში, არამედ იმაში, რომ ჩვენს წარმოებებს დარჩეთ ერთგვარი მოგება, რომელიც მოხმარდება მათ შემდგომ გაუმჯობესებას, ამას გარდა, ჩვენ საშუალება უნდა გვქონდეს გავადიდოთ შრომის ხელფასი ისე, რომ ის დაუკავშირდეს ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგების ზრდას. ჩვენ აგრეთვე უნდა მოვახერხოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ხშირათ ფიქრობენ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების აუცილებლობას. მაგალითისათვის მე ავიღებ გრეხილი ავეჯის პატარა ფაბრიკას. იქ უეჭველად გადიდებულია შრომის ნაყოფიერება და ყურადღება არა აქვს მიქცეული სკამების თვითღირებულების შემცირებას.

პროდუქციის გაიაფება

ერთმა კომუნისტმა, რომელიც იქ ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტში მუშაობს, წარმოადგინა სამუშაო ხელფასის გადიდების მოთხოვნილება. ვინაიდან წინად სკამები ნაკლები კეთდებოდა, ეხლა კი მეტს ვაკეთებთო და ამიტომ შესაძლებელია ხელფასის გადიდებაო. მაგრამ ამხანაგმა ალბად ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ეს სკამები წინადაც 6 მან. 50 კ. ჯდებოდა და ეხლაც 6 მან. და 50 კ. ჯდება, და ჩვენ არ შეგვეძლო მომხმარებლისათვის შემცირებულ ფასში მიგვეწოდებია ისინი. ამგვარად ამხანაგმა ვერ ასწონ-დასწონა ის გარემოება, რომ აქ საკითხი მარტო პროდუქციის გადიდებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ ვეცადოთ ეს პროდუქცია უფრო ნაკლებ ფასებში გაიყიდოს. როდესაც კომუნისტი, იმის მაგიერ, რომ საწარმოო დაწესებულების მუშებს მეთაურობდეს მასებისათვის ჩვენი სამუშაო ხელფასის პოლიტიკის გათვალისწინების საქმეში, მათ კუდში აღმოჩნდება იმ მხრივ, რომ თვითონ ექცევა მუშათა არა ჯანსაღი ნაწილის გავლენის ქვეშ,—ეს არ არის დასაშვები მოვლენა. ასეთ მოვლენებს აქვთ ხოლმე ადგილი თბილისის სამრეწველო დაწესებულებებში და ამგვარი კომუნისტები ანარქიული გამოსვლის ნებას აძლევენ ხოლმე თავის თავს. ვიმეორებ, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები. თუ უპარტიო მუშებს შეიძლება მოთმინებით განუმარტოთ ჩვენი სამუშაო ხელფასის პოლიტიკა და თუ შესაძლებელია ვეცადოთ, რომ მათ გამოარკვიონ ჩვენი წარმოების მდგომარეობა, რათა ხელაღებით არ მოითხოვონ ხელფასის გადიდება, კომუნისტების მიმართ კი ჩვენ გვაქვს უფლება მოვსთხოვოთ მათ, რათა ისინი არ აჰყვენ ასეთ განწყობილებას, ამგვარი კომუნისტებისადმი ჩვენ გვაქვს უფლება მივიღოთ უაღრესად რეპრესიული ზომები.

აუცილებლად საჭიროა, რომ მეტად სერიოზული ყურადღება მიექცეს სამუშაო ხელფასის პოლიტიკას, სატარიფო საკითხებს და სანორმო მუშაობას. ხანდახან სამეურნეო მუშაკს უსაყვედურებენ, რომ მას ნორმები მაღალი გამოჰყავს, ხოლო განაკვეთებს კი ამცირებს.

სამეურნეო მუშაკი, პროფესიონალისტი და პარტია

აქ გამოდის ის, რომ ვითომც სამეურნეო მუშაკი-კომუნისტი დაინტერესებული იყოს არ მისცეს მუშებს ის, რაც მათ ეკუთვნით. ნამდვილად კი ეს არ არის ასე. პირიქით, ის ცდილობს, რომ ეს მეურნეობა სათანადო სიმაღლეზე იდგეს და მოგვცეს მაქსიმუმი იმისა, რის მოცემაც მას შეუძლია, მთელი მუშათა კლასის და არა ამა თუ იმ სამრეწველო დაწესებულების ინტერესის თანახმად.

ის მართალია სავსებით, ხოლო სხვა თვალსაზრისზე მდგომი ამხანაგები არ არიან მართალი. აქ იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა გაატარონ ყველა ჩვენმა ამხანაგებმა სწორი პოლიტიკა სამრეწველო დაწესებულებებში, ვინაიდან ერთია სამეურნეო დარგის მუშაკი, რომელიც დაინტერესებულია იმაში, რომ წარმოება განავითაროს, მეორეა ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც იცავს საწარმოო დაწესებულების პროფესიონალურ ინტერესებს, და მესამეა კომუჯრედის მდივანი, რომელიც ხელმძღვანელობს მთელს ამ საქმეს და აძლევს მას სწორ მიმართულებას. თუ მოხდება არევ-დარევა სამეურნეო მუშაკის, პროფესიონალისტის და პარტიულის როლებში, ეს გამოიწვევს არა სწორ ეფექტს. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ორი გადახრა ემჩნევა — ერთი მხრით სამეურნეო ინტერესებისაკენ, როდესაც პროფესიონალისტი აღარ არის პროფესიონალისტი და თითქოს სამეურნეო მუშაკად იქცევა, ხოლო მეორე მხრით, როდესაც ის შესაძლებლად ხდის პროფკავშირის ინტერესების დაპირისპირებას მუშათა სახელმწიფოსადმი.

არ არის სწორი არც ერთი და არც მეორე გადახრა. ჩვენს ამოცანას შეადგენს შევკრათ ეს მუშაობა ისე, რომ კომუნისტებიც, სამეურნეო მუშაკებიც და პროფესიონალისტებიც ყოველთვის თავიანთ ადგილებზე იყვნენ და ატარებდენ იმ პოლიტიკას, რომელიც ჩვენი პარტიის მიერ არის გათვალისწინებული.

დამოკიდებულება სპეციალისტებთან

ეხლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა სპეციალისტებზეც ვსთქვათ.

ამ საკითხს უნდა შევეხოთ ჩვენი პროფკავშირების მუშაობასთან დაკავშირებით, რადგან აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ გადახრასთან თბილისის ორგანიზაციაში.

უკანასკნელ დროს, როგორც ყველას მოეხსენება, ცენტრმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. როგორც თქვენ გეხსომებათ, სპეციალისტების საკითხი დასმული იყო და გადაწყვეტილი რ. კ. პ. ცეკაში. ეს საკითხი იმ მხრივ იყო დაყენებული, თუ როგორ მოეწყოს საქმე, რომ სპეცებს შეეძლოთ მუშაობა ნორმალურ ამხანაგურ პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოთ.

თბილისის ორგანიზაციაში არსებული გადახრა გამოიხატება იმაში, რომ ერთგვარი არამეგობრული ან მტრული განწყობილება ემჩნევა სპეცებს მუშაობისადმი. რასაკვირველია, სპეციც არის და სპეციცა. სპეცი სპეცს არა ჰგავს. ეს ჩვენ ყველამ ვიცით, მაგრამ თვით იმ სპეცებისადმი, რომლებიც იჩენენ მუშაობის უნარს, იყო არასასურველი და მტრული დამოკიდებულება. იყო ხოლმე რაღაცა სურვილი, რომ ჩამოეშორებინათ ისეთი სპეცი, რომელიც ზოგჯერ არც ისე ლოიალურათ ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლებას, და იმის ადგილას დაეყენებინათ, შეიძლება ჩვენდამი ლოიალურათ განწყობილი, მაგრამ ყოვლად უილაჯო მის წინაშე მდგომ საკითხების გადაწყვეტაში. ამგვარი ტენდენცია მაგალითად ემჩნეოდა წყალსადენზე.

თბილისის კომიტეტიდან ჩვენ დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ ჩვენი პატივცემული რაიონული ამხანაგები როგორმე დაგვეჯერებინა, შეეცვალათ თავიანთი შეხედულება. იმათ უნდოდათ განთავისუფლებულიყვნენ ისეთი სპეცისაგან, რომელიც ყოვლად საჭირო პირს წარმოადგენს ამ საქმეში. შეიძლება ის არ იყო ლოიალურ დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაგრამ იმას ესმოდა თავისი საქმე და საჭირო იყო მისი იქ დარჩენა. როცა შეეცადენ ის მოეხსნათ და შეეცვალათ ის კომუნისტით, საქმეც შეფერხდა.

(დასასრული ხვალ)

ეკონომიური ცხოვრება

ახალი ქარხნების გახსნა

ამიერ-კავკასიაში მრეწველობის აღორძინებლად 1925—26 საანგარიშო წლის განმავლობაში განზრახულია დაიხარჯოს 15.600.000 მანეთი. ამ თანხით გათვალისწინებულია მთელ რიგ ახალ სამრეწველო წამოწყებათა დაწყება.

მაგალითად, გადაწყვეტილია წელს აგებულ და მოწყობილ იქნეს 4 კონიაკის ქარხანა, 1 სომხეთში, 1 აზერბეიჯანში და 2 საქართველოში (ზესტაფონში და ლიუქსემბურგში). თამბაქოს მრეწველობაში განზრახულია არსებული ფაბრიკების გაფართოება და მოწყობა ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვით.

საფეიქრო მრეწველობის დარგში განზრახულია ახალი საქსოვი ფაბრიკების აგება და არსებულთა მოწყობა.

ტყავის მრეწველობაშიაც განზრახულია შემოღებულ იქნეს მექანიური მუშაობის მეთოდი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე ქიმიურ მრეწველობას. ამ მიზნით განზრახულია ქუთაისში გაიხსნას სალებავების ქარხანა და ერევანში ქიმიური ქარხანა.

სოფ. კავთისხევში (გორ. მ.) აგებულ იქნება ცემენტის ქარხანა. გარდა ამისა უკვე დაწყებულია მუშაობა საქართველოში კარტონისა და ქაღალდის ქარხნების ასაგებათ. აღნიშნული ქარხნები ყოველწლიურათ (მაგ. ქაღალდის) დაამზადებენ 1 მილ. ფუთ ნაწარმოებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში წარმოების გაუმჯობესებას, მოწყობილი იქნება ახალი მაღარო.

ეკონომიური ქრონიკა

— **სავაჭრო დაწესებულებათა აღრიცხვა.** ა/კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა თბილისის, ბაქოს, ბათუმის, სოხუმის და ნახიჩევანის სახელმწიფო, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა აღრიცხვას.

— **ძვირფასი ბეწვეულობა.** ა/კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის ცნობით 1924—25 წელს ა/კავკასიაში შეგროვდა 438,915 მანეთის ძვირფასი ბეწვეულობა და ჯაგარი.

— **კვერცხის დამზადება.** საქართველოში წელს დამზადებული იქნება 4 მილიონამდე ცალი კვერცხი.

— ა/კ. კოოპერატიულმა კავშირმა გადასწყვიტა კოოპერატივების საჭიროებისათვის საზღვარგარეთიდან გამოიწეროს 250 ტონა გოგირდი 30 ათასი მან. ღირებულების.

— **თხილის დამზადება.** ცეკავშირმა დასავლეთ საქართველოში დაამზადა 25,000 ფუთი თხილი, 7—8000 ფ. გატანილი იქნება ამერიკაში.

— **შაქარი ა/კავკასიისათვის.** ა/კ. კოოპერატიულ კავშირმა შაქრის ტრესტთან დასდო ხელშეკრულება ა/კავკასიისათვის 500,000 ფუთი შაქრის მიწოდების შესახებ.

პური ამ.-კავკასიისათვის

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა საბჭ. კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის პურის განყოფილების გამგე ამხ. **კაფიევს**, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ოქტომბრის დასაწყისში პურის შემოტანაში ცოტაოდენ დაგვიანებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ უკვე მიღებულია სათანადო ზომები და მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება.

კერძოთ სახელმწიფო ბანკი, რომელსაც სურს მთლიანად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება პურის ფქვილზე, გარდა საკუთარი პროდუქტებისა, ჩრდილოეთ კავკასიის ბაზარზე ჰყიდულობს ფქვილს, განსაკუთრებით, დაბალი ხარისხის პურის ფქვილს, რადგან ასეთ პურზე წელს მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა.

მესამე ხარისხის პურზე მოთხოვნილების გადიდება აიხსნება იმით, რომ სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში ჩრდილოეთ-კავკასიის ბაზრის განსაკუთრებული პირობების წყალობით, ჩვენში არ ყოფილა შემოტანილი ხორბლის საკმარის რაოდენობა და გლეხობა თავის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს მესამე ხარისხის ფქვილით.

გარდა ამისა სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებული რაიონები, მესამე ხარისხის ფქვილის შედარებით სიიაფის გამო, არ ეტანება მაღალ ხარისხის ფქვილს.

ამის გამო სახელმწიფო ბანკმა მიიღო სასწრაფო ზომები ჩრდილოეთ კავკასიიდან მესამე ხარისხის ფქვილის დიდი პარტიების მისაღებად. ერთი პარტია უკვე მიღებულია და გაიგზავნა კახეთში, დანარჩენი პარტიები გაიგზავნება მახლობელ დღეებში.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ქალაქებს, ისინი სავსებით დაკმაყოფილებული არიან. ფქვილის მიწოდება გრძელდება.

სახელმწიფო ბანკის განყოფილებების გახსნის შემდეგ პური პირდაპირ კოოპერატივებს ეგზავნებათ და ეს ხელს უწყობს ზედნადებ ხარჯების შემცირებას.

სახელმწიფო ბანკის ჭიათურის განყოფილებას აქვს ფქვილის დიდი მარაგი.

ბამბის მთავარ სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად სახ. ბანკი აგზავნის ხორბალს უშუალოთ ბამბის მთავარ სამმართველოს მისამართით მებამბეობის რაიონებში.

სპეციალური დანიშნულების ხორბლის გადმოტვირთვა ადგილებზე სწარმოებს გაძლიერებულის ტემპით; ეს ხელს შეუწყობს ბამბის დამზადების წარმატებით დამთავრებას.

ჩაქვის მამულის გამოკვლევა

გამოკვლევამ აღმოაჩინა საქმეების უწესრიგოდ წარმოება, სახელმწიფო თანხების მითვისება ფლანგვა და მთელი რიგი სხვა ბოროტმოქმედებანი მამულის გამგის და ზოგიერთ თანამშრომლების მხრიდან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გადამწყვეტი ზომები მიიღო დამნაშავეთა წინააღმდეგ.

გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ მოიხსნას თანამდებობიდან და პასუხისგებაში იქნენ მიცემული მამულის გამგე ბოროტმოქმედების ჩადენისა და ხელისუფლების სახელის გატეხისათვის. ყველა მასალები ამ საქმის შესახებ გადაეგზავნება აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს.

კოლეგიამ ამასთანავე დაადგინა მოიხსნას თანამდებობიდან მამულის ბუხჰალტერი და ის შეცვლილ იქნეს კვალიფიციური მუშაკით. ამას გარდა პასუხისგებაში იქნებიან მიცემული ყველა ის პირები, რომლებმაც მიითვისეს მუშების შრომის ხელფასი. ამიერიდან შრომის ხელფასი დარიგდება ცენტრალურ სალაროდან. მუშები დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებული უნდა იქნენ კუთვნილი ხელფასით.

კოლეგიამ წინადადება მისცა მამულის მმართველობას დაუყოვნებლივ გამოასწოროს ყველა ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ბუხჰალტერიაში.

ვ.

სამეურნეო ორგანოების დავალიანება

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის მიხედვით)

იმ კოოპერატივების და სამეურნეო ორგანოების მუშაობა, რომლებიც საქონელს ამზადებენ სოფლად, დაკავშირებულია ავანსების გაცემასთან. გლეხებმა, რომლებიც ნედლი მასალის განსაზღვრულ რაოდენობას ამზადებენ, თავის დროზე უნდა მიიღონ ანგარიში.

პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მრავალი ორგანიზაციები ხშირათ არ ასრულებენ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დავალიანებული არიან კოოპერატივები და სამეურნეო ორგანოები გლეხების მიმართ.

გამოირკვა, რომ დავალიანებას ადგილი აქვს. ზოგიერთმა სამეურნეო, სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანოებმა დაუშვებელი დამოკიდებულება გამოიჩინეს გლეხობის მიმართ, რაც ზარალს აყენებს საგლეხო მეურნეობას და სახელს უტეხს სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს გლეხთა მასების თვალში.

აუცილებლობათ არის ცნობილი: საბოლოოთ მოსპობილ იქნეს დავალიანება გლეხებისადმი სამეურნეო ორგანოების მხრიდან, წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოსპოს დავალიანება და მომავალში არ დაუშვას ასეთი. ამასთანავე წინადადება მიეცა გეგმათა გარეშე ინსპექციას თვალყური ადევნოს იმას, რომ თავის დროზე იქნეს მიღებული ცნობები დავალიანების შესახებ, შეამოწმოს ისინი, დააგროვოს და გადაგზავნოს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

ოლეტარებო ყველა ქვეყნ

კომ

უთშაბათი, 19 ნ

ცნო-
ქციების ულობის ცილობრივი ამარებლო დ ელემენტე- კოოპერაც რიგებიდან და რის ს იდან დათხოვნილ ამიელებით, რომელთაც ათ სათანადო პოლიტორგანოე- რეკომენდაცია.

2. ცალკე თანამშრომელთა თო- ტმოქმედების წინააღმდეგ წარმა- ბითი ბრძოლის წარმოების მიზ- თ, აუცილებლათ იქნეს ცნობილი:

ა) შემადგენლობის პერიოდულათ ნახლება თანამშრომლების ერთი დგილიდან მეორეზე გადაყვანის შუალებით.

ბ) მილიციის გაჯანსაღების საქ- ში ჩაბმული უნდა იქნენ მუშკო- ები და გლეხკორები.

გ) დაუყოვნებლივ პასუხისგებაში ქნენ მიცემული ის თანამშრომლე- ი, რომლებიც შენიშნული არიან როტმოქმედებაში.

დ) იმის გამო, რომ მილიციის ასაჯანსაღებლათ, სხვა ღონისძიებებ- ან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნე- ლობა აქვს მათ მატერიალურ უზრუნ- ველყოფას, აუცილებლათ იქნეს ცნობილი მილიციის ყველა მუშაკე- ბის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. ა) მილიციის მუშაკების კვალი- ფიკაციის ამაღლების მიზნით, საჭი- როთ იქნეს ცნობილი სათანადო ზომების მიღება იმისათვის, რომ მათ შეითვისონ თავისი მოვალეობა და აგრეთვე ძირითადი საბჭოთა კანონიერება.

ბ) აუცილებლად იქნეს ცნობილი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება სისტემატიურათ.

გ) წინადადება მიეცეს საბჭოთა მუშაკების პროფკავშირს გააძლიეროს მ-შაობა მილიციის ორგანოებში.

4. საჭიროთ იქნეს ცნობილი გამოკიდილი პარტიული აქხნაგების გაგზავნა მილიციაში და

5. დაევალოს პროკურატურას გააძლიეროს თვალყურის დევნება მილიციის ორგანოების მუშაობისათვის.

საბჭოთა სასამართლო

ანანოვის საქმე

ამასწინად აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ მოქ. ანანოვს ფულის სისტემატიური მითვისებისა და გაფლანგვისათვის გადაუწყვიტა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. ბრალდებულმა კასაცია შეიტანა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საოლქო სასამართლოს განაჩენი დაადასტურა. ბრალდებულმა უზენაეს სასამართლოს დადგენილებაზე კასაცია შეიტანა ამავე სასამართლოს პლენუმზე, რომელმაც უარყო უზენაეს სასამართლოს დადგენილება და საქმე ხელმეორედ გასარჩევად დაუბრუნა საოლქო სასამართლოს ახალ შემადგენლობას. ამ უკანასკნელმა გუშინ ხელმეორედ გაარჩია მოქ. ანანოვის საქმე და დაადასტურა თავის წინანდელი განაჩენი, რომლის ძალით მოქ. ანანოვს გადაწყვეტილი აქვს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მფლანგველი რუბენ კალაკოზოვი.

რუბენ კალაკოზოვი იყო საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშების უფროსი. მან მიიღო ინჟინერ პირადოვისაგან 300 მანეთი სპეც-ტანსაცმელების საყიდლათ.

სანამ სპეც ტანსაცმელების საყიდლათ. წავიდოდა, კალაკოზოვი შეძიდა რესტორანში „ყელის ჩასასველებლად". რესტორანის ატმოსფერამ, არღანის ხმამ და ღვინომ პირდაპირ თავდავიწყებამდე მიიყვანეს რუბენი.

რესტორანიდან კალაკოზოვს „კაზინოში" მოუნდა შესვლა. შევიდა „კაზინოში", გადაავლო თვალი მოთამაშეებს, შეხედა ფული კალოსავით იყო შეყრილი. კალაკოზოვი პირდაპირ დაიპყრო ერთმა აზრმა: „მოდი სცადე ბედი, რუბენ, იქნება მთელი კაზინოს ფული შენს ხელში გადმოვიდეს. წადი შემდეგ იყიდე სპეც-ტანსაცმელებიც და რაც გინდა სულო და გულო".

ერთი ხელი, ორი ხელი და რუბენიც გაიწმინდა ყოველგვარი უწმინდურებისაგან. ტრამვაის ბილეთის ფულიც აღარ დარჩენია.

ამის შემდეგ მან ამოჰყო თავი სისხლის სამართლის მილიციაში, ხოლო იქიდან სახალხო სასამართლოში.

კ—ი.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

— ბა სამშენმა ქალ. ბანკს ია 20 ათასი ფუთი სახურავი ლი.

— ეთილ-მოწყობის განყოფი- გადასწყვიტა გაასწოროს და ართოოს მოლოკანის ქუჩა.

— თბ. აღმასკომის სანიტ-ტექნიკური სექცია ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კანალიზაციის მოსაწყობათ ქალაქში.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **მეაბრეშუმეობისათვის.** ა | ქ. ცენტრ. აღმასკომის დადგენილებით საქ. მიწათმოქ. სახ. კომისარიატი თბილისში იწვევს ა | ქ. და შუააზიის საბრეშუმო სადგურების გამგეთა ყრილობას.

— **შპალების დამზადება.** მიწათმოქ. სახ. კომ. სატყეო განყოფილება ა | ქ. რკინისგზებისათვის შეუდგა თელავის მაზრაში 100 ათასი ცალი შპალის დამზადებას.

შრომის კომისარიატში

— სახ. საუზრუნველყოფო დაზღვევის სამმართველოში კომისარიატმა თავის მუდმივ წარმომადგენლად დანიშნა ამხ. გრ. ჯულელი.

— შრომის ბირჟასთან არსებულ შრომის კოლექტივების სარევიზიო კომისიაში წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. ამაშუყელი.

— ქუთაისის შრომის ინსპექციის სამაზრო კამერას დაექვემდებარა სამტრედიის რკინისგზელ უმუშევართა საკორესპონდენტო პუნქტი.

ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში

— **ფ.-ტელეგრაფის კანტორების შეკეთება.** ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა საფუძვლიანათ შეაკეთა ბათუმის და ბორჯომის ფ.-ტ. კანტორები.

— უბედურ შემთხვევათა აღრიცხვის წარმოება თბილისსა და ბათომში დაევალა შრომის დაცვის განყოფილებას და სოც. დაზღვევის სამმართველოს.

— **შემნახველი სალაროები.** ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის დაწესებულებებთან ამჟამად არსებობს 266 შემნახველი სალარო.

სხვადასხვა

— მთელ ქალაქს ყოველდღიურათ სჭირდება 7 ათასი ფუთი გამომცხვარი პური.

— **ბუხჰალტერიის სახელმძღვანელო.** გამოვიდა სახ. საბუხჰალტერო კურსების ლექტორის ზაქ. ინწკირველის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ბალანსი, მისი შედგენა და ანალიზი".

შემთხვევები

— **მკვლელობის განზრახვა.** 12 ნოემბერს, დღით, კომუნალურ ქუჩაზე მამუდ ბაგირ ალახვერდი ოღლიმ განიზრახა თათრული შაზხანა თოფით ალი ახმედ ოღლის მოკვლა.

ბავშვის გადმოვარდნა. 12 ნოემბერს, 19 თებერვლის ქ. № 6 მეორე სართულიდან გადმოვარდა 4 წლის ბავშვი, ბენიამა ლაჩინოვი და სასიკვდილოთ დაშავდა.

— **დაჭრა.** 12 ნოემბ. პლეხანოვის პრ. № 12 სახლში არამ ხოჯიანცმა დანით მძიმედ დასჭრა უცნობი ქალი და თვითონ მიიმალა.

— სინდიკატის მაღაზიიდან ბამბის რიგი № 2 მიხაკ პეტროსოვმა მოიპარა 25 ცალი ცხვირსახოცი. ქურდი ივე შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 12 ნოემბ. გაქურდეს სოვტორგფლოტის საწყობი. ქურდები რიცხვით ქუჩის 11 ბიჭი შეპყრობილნი არიან.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** დღეს, შაბათს საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში ამხ. მირიან ხუხუნაშვილი წაიკითხავს მოხსენებას კინოზე.

ხელოვნება

ქართული აკადემიური დრამა
„ჰამლეტ"

ქართული აკადემიური დრამის საზამთრო სეზონი გაიხსნა ვ. შექსპირის უკვდავი „ჰამლეტით".

ამ წარმოდგენაში მთავარ ინტერეს იწვევდა ახალგაზრდა მსახიობი უშანგი ჩხეიძე, რომელიც პირველათ გამოდის ასეთ საპასუხისმგებლო როლში.

აქ ძალაუნებურად გინდა შეადარო უშანგი ჩხეიძე მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის არტისტს მ. ა. ჩეხოვს, რომელმაც რუსეთში მთელი გარდატეხა მოახდინა ჰამლეტის განსახიერებაში.

ჩეხოვმა გადალახა გაბატონებული შაბლონი და ახალი სული შთაბერა დანიის სევდიან პრინცს.

ასეთივე ბედი ეწვია საქართველოში უშანგი ჩხეიძეს. მანაც დაარღვია ტრადიცია, უარყო ტრაფარეტული ფორმები და ახალი სხივებით შემოსა ჰამლეტის ღრუბლიანი სახე. მაგრამ უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი სხვაა და ჩეხოვის კიდევ სხვა.

ჩეხოვმა ჰამლეტის მთელი ტრაგედია მის [illegible] გადაიტანა, სიმძიმის ცენტრი მან ჰამლეტის ავადმყოფობას დააკისრა და ყოველგვარი საღი აზროვნების და მოქმედების უნარი დაუკარგა მას. მისი ჰამლეტი ნევრასტენიკია, უიმედო მელანქოლიკი, რომელიც ნაზი ყვავილივით იჭკნობა ადამიანთა ვნებათა ღელვის ქარიშხალის ქვეშ.

ჩვეულებრივ ასევე ასახიერებდენ ჰამლეტს ქართულ სცენაზე. ასეთი იყო ლადო მესხიშვილი, ასეთია გიორგი დავითაშვილიც.

უშანგი ჩხეიძემ ახალი შუქით გაანათა ჰამლეტი. მან მის დასნეულებულ არსებაში გამოძებნა საღი ადამიანის დამახასიათებელი ელემენტებიც და ფიცხლად დანიელი მეფისწულის მთელი ტრაგედია ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში გაატარა.

მისი ჰამლეტი არ არის აბსტრაქცია; ის სცოცხლობს და მოქმედობს ისევე, როგორც ჩვენ, რადგან ყოველი მაყურებელი მასში ხედავს თავისი სულის ნაწილს, თავისი მიყუჩებული გრძნობების აზმაურებას.

ჰამლეტი—უშანგი ნაზი და გულჩათხრობილია, რადგან მასში მსოფლიო სევდის დაუსადგურებია, ის გაბედული და მტკიცეა, რადგან შურისძიებისთვის ემზადება, ამავე დროს მასში ძლიერია თვალთმაქცობა და სიყალბე, რადგან მისი სკეპტიციზმი გონებას ურევს მას.

ასეთ ადამიანურ გრძნობათა ჭიდილში აქვს გამართული მთელი როლი უშანგი ჩხეიძეს და მისი ბრწყინვალე გამარჯვებაც ამაშია.

რა მშვენიერია, მაგალითად, მისი პირველი გამოჩენა სცენაზე. მაღალი კიბიდან ნელა ეშვება ფერმკრთალი, ღონემიხდილი ადამიანი და გრძნობ, რომ ეს შავი ფიგურა მაგრათ დაიჭერს ხელში ასეულ მაყურებელთა სულის ძაფებს და თავის გრძნობათა მორევში ჩაითრევს მათ.

რა გრძნობით, რა ინტონაციით და სახის გამომეტყველებით იყო წარმოთქმული ცნობილი მონოლოგი—„ყოფნა, არ ყოფნა". აბა დააკვირდით აქ მის თვალებს! ჰამლეტი—უშანგი სივრცეს მიშტერებია, მისი სახე და შუბლი დანაოჭებულა, ტუჩებს რაღაც ირონიული ღიმილი უკაწრავს, თვალები კი ამღვრეულა და გამოფიტულა, თითქოს გონების უძლურებით გამოწვეული ტანჯვა სახეს გადაკვრიაო.

მთელი როლი გამართულია თავიდან ბოლომდე. მიმიკა, ინტონაცია, ჟესტიკულაცია—გაზომილი, შესწავლილი და შესისხლხორცებულია.

რა უყოთ, თუ ზოგიერთ დეტალებს დამუშავება აკლია, თუ ალაგ-ალაგ მსახიობს ხმა ვერ დაუმორჩილებია—ყველაფერი ეს წარმავალი და ადვილათ გამოსასწორებელია.

საერთოდ, უშანგი ჩხეიძის დებიუტი ჰამლეტის როლში—ეს ნამდვილი დღესასწაული იყო როგორც პირადათ მისთვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

დანარჩენი შემსრულებლების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

აკ. ვასაძეს სჩანს ალღო აულია კლავდიუსის როლისთვის, მხოლოდ ბოლომდი ვერ დაუმუშავებია ის. შესრულებაში არის მეტათ საინტერესო მომენტები, მაგრამ მთლიანად როლი ვერ არის გამთბარი შინაგანი წვით. თავისი გრიმით მსახიობი უფრო ნერონს მოგვაგონებს.

ნიკო გოცირიძის პოლონიუსი გაშარჟებულია. წარმოუდგენელია, რომ დანიის მეფეს ასეთი ცერცეტა მრჩეველი და შინაკაცი ჰყოლოდა. მართალია, პოლონიუსი ეშმაკი და თვალთმაქცია, მას თავის მოკატუნებაც ეხერხება, სადაც მეფის ერთგულების დამტკიცებაზე მიდგება საქმე, მაგრამ თავის ოჯახში, თავის შვილებთან პოლონიუსი კეთილი და ჭკვიანი მამაა. ნიკო გოცირიძემ კი ვერ გამოყო ეს ორი მომენტი. მაგალითად, უფერულათ ჩატარდა ის სცენა, სადაც პოლონიუსი დარიგებს აძლევს უცხოეთში მიმავალ ლაერტს. ამ დარიგებიდან კი სჩანს, რომ პოლონიუსი არც ისეთი ქარაფშუტა ყოფილა, როგორც გოცირიძე ხასიათებს. აქ მეტი სიღინჯე იყო საჭირო.

ოფელია—ერიკო ანჯაფარიძის საუკეთესო ქმნილებაა. ოფელიას ტრაგედია აქ მოცემულია უბრალო, მაგრამ ძლიერ ხაზებში.

კარგებია: ლაერტი—ა. ხორავა და გერტრუდა—ელ. დონაური.

დავით ჩხეიძის ჰორაციო მშრალია. საჭიროა მეტი გრძნობა და უკეთესი მიმიკა.

ეპიზოდიური როლები გაწვრთნილ მსახიობების ხელშია.

დადგმის შესახებ უნდა ითქვას, რომ კ. მარჯანიშვილს არაფერი არ დაუკლია იმისათვის, რომ პიესა მისაწყენი არ ყოფილიყო. სურათები მოხერხებულათ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ერთი და იმავე მოწყობილებიდან რამოდენიმე სურათის დეკორაციები იშლება მაყურებლის წინაშე. ამასთანავე მსახიობები შებორკილი არ არიან ზედმეტი მოწყობილობით და ბუტაფორიით და მათ ნიჭს ფართო გასაქანი ეძლევა.

ჩვენის აზრით, საჭირო არ იყო მამის აჩრდილის სცენის პირველ პლანზე გამოტანა. ამით აჩრდილის ილუზია იკარგება და მის მაგივრათ ჩვენ ხორცსხმულ ადამიანს ვხედავთ. ზედმეტია აგრეთვე ეთნოგრაფიული ელემენტის შეტანა მესაფლავეთა სცენაში.

შ. ბ—ძე.

პ. ირეთელის იუბილე

დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება პ. ირეთელის იუბილე. ირეთელი ეკუთვნის იმ მცირე გამონაკლისებს, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებენ და არას ამბობენ ამის შესახებ.

მეოთხედი საუკუნე ამ ეკლიან გზაზე მოღვაწეობის, ციხე, ციმბირი, ყოველმხრივი შევიწროება... ვის არ ახსოვს მისი „დამარცხებულნი"! ეს პიესა გადასროლილი ყუმბარა იყო, მან ღრმა გავლენა მოახდინა თვითმპყრობელობის კლანჭებში მომწყვდეულ მშრომელებზე. მუშათა კლასმა შეიყვარა „დამარცხებულნი"... ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ეს პიესა ასე ხშირად იდგმებოდა მუშათა უბნებში...

დღეს, ალბად მოვლენ „დამარცხებულები" და შესძახებენ: „სალამი ჩვენო მეგობარო, გაიხარე, ჩვენ გამარჯვებულები ვართ!" ლანძარი.

„რემედასი"

— გამოვიდა ჟურნალ რემედასის № 11 შემდეგი შინაარსით: 1. ლენინი (სურათი), 2. ნათელი ოქტომბერი და რემედასის ამოცანები—გ. მუშიშვილი, 3. ოქტობრის რევოლუცია და რემედასი—ა. რუხაძე, 4 ორი ბანაკი—ა. ჯიჯაძე, 5. „გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს"—ა. მარ[illegible], 6. გეგმიანი მუშაობა—ი. კიზირია, 7. რევოლუციონერების დევნა უცხოეთში—გ. წულეისკირი, 8. ოქტომბერი (ლექსი)—გ. დ[illegible], 9 ევროპის მუშავ, დროშა [illegible]—შ. ჯანბერიძე, 10. ოქტომბრის დღეებში (ინსცენიროვკა)—ს. ერ--ლი, 11. თეთრი ტერორი—კ. გ--სკი, 12. საბჭოთა[illegible]—კ. მ—დის, 13. წერილი ქაირიდან—კ. პატიერე, 14 ჩვენ გვჯერა—ს. ნურია, 15. დრუზების აჯანყება, 16. საპროტესტო რეზოლიუციები, ამხ ლანცუცკის ხელ ახალი გასამართლების გამო, 17. წერილები ადგილებიდან, 18. რემედასის სამი თვის მუშაობის გეგმა და ქრონიკა.

— **„ჯადოსნური წიგნაკი".** კინოკომედია „ჯადოსნური წიგნაკი" მიდის ორშაბათს, „გლეხის სასახლეში", სამშაბათს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში და ოთხშაბათს ცენტრალურ მუშათა კლუბში. შესვლა უფასოა კავშირის წევრებისათვის ოჯახობით.

— **საღამო.** დღეს, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული საღამო.

— **ცირკში.** კვირას, დღით, გაიმართება დიდი საბავშვო წარმოდგენა.

— **ცეკვის სტუდია.** მოცეკვავე ქალი ნინო კლეინტი-მირიმანოვისა ახლო ხანში ხსნის ქართული ცეკვის სტუდიას.

— **ოპერის** თეატრში დღეს, წარმოდგენილი იქნება „დუბროვსკი" ბოკოვის, გუნაძის, ისეცკის და სხ. მონაწილეობით.

მუშათ [illegible] ტრიბუნა

ასეთი კინოსურათი მუშებს დიდ სარგებლობას მოუტანს.

8 ნოემბერს ჩვეულობრივ გაზეთების მუშკორესპონდენტებს კინოაპოლოში გაუჩვენეს ახალი სურათი „ჯადოსნური წიგნაკი". როგორც სურათის ავტორი, აგრეთვე რეჟისორი და მსახიობნიც მადლობის ღირსნი არიან, რადგან მათ სავსებით და ნათლად გადმოგვცეს მუშათა ცხოვრების სხვადასხვა მომენტები. ამ სურათში უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ისეთ მოვლენებზე, როგორიც არის ლოთობა, მუშათა მასის შეუგნებლობა, პროსტიტუცია და სხვა. სხვათა შორის, არ დავიწყებია ავტორს ქალთა უფლების საკითხიც: მამაკაცის ეგოისტობა, ლოთი მუშის საშინელი ოჯახური მდგომარეობა და მფლანგველი დიასახლისის უკულმართობა. ეს ყველაფერი ისე ნათლად და ცოცხლად არის გადმოცემული ეკრანზე, რომ ბევრმა შეუგნებელმა მუშამაც შეიძლება თავის თავიც კი იცნოს იქ და გაკიცხოს კიდეც თავისი უმგვანო და საძაგელი ყოფა-ცხოვრება.

ამ სურათში, გატარებულია ისეთი აზრიც, თუ რა ბედნიერებას განიცდის ის მუშა, რომელიც თავს ანებებს სამიკიტნოებს და უბრუნდება თავის ოჯახს. ამის მიზეზი კი არის სახელმწიფო შემნახველი სალაროები, სადაც შეგნებული და ოჯახის მოყვარული მუშა ინახავს თავის წვლილს და გონივრულად ახმარებს თავის საქმეებს.

სურათი მეტად საგულისხმიეროა და მას ექნება მუშათა მასისათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ვაშა მის ავტორს და შემსრულებლებს!

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ბიურო.

მისაბაძი მაგალითი

31 ოქტომბერს ამხ. ლენინის სახელობის ტყავტრესტის კლუბში ცეკვის მასწავლებელმა ხელოვანთა კავშირის წევრმა მოქ. სტ. სარქისოვმა დასდგა საღამო მე-3 საინვალიდო სახლის სასარგებლოდ. საღამოდან შემოვიდა წმინდა შემოსავალი 432 მანეთი და 10 კაპ. რაოდენობით. აღნიშნული თანხა გადაეცა ინვალიდთა სახლს ინვალიდთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რის გამოც [illegible] ქისოვს.

მესამე საინვალიდო სახლის ადგილკომი.

რაშია საქმე

მე ვმუშაობდი დაწყვლად ფიზიკურ ობსერვატორიაში 7 წლის განმავლობაში და ვასრულებდი ჩემს მოვალეობას პირნათლად, რაზედაც მაქვს სათანადო საბუთები. მაგრამ ამ ოთხის თვის წინად ახლად მოსულმა ობსერვატორიის დირექტორმა ხუციშვილმა პირად შეხედულებით დამითხოვა, რაც ახსნა იმით, თითქოს მე შრომის უნარს მოკლებული ვიყავ. ნამდვილად კი ექიმებმა ეს არ სცნეს. ჩემი დათხოვნის შესახებ მივეცი განცხადება შრომის კომისარიატს. აღვნიშნავ, რომ ხუციშვილი, რომელიც ეხლა ციხეში ზის, პოლიტიკურ არასაიმედო პიროვნებას წარმოადგენდა და მე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში დაინტერესებული არ მოვეპრიანე და დამითხოვა.

შრომის ორგანოებს ვთხოვ გამოარკვიოს სინამდვილე.

ნინო მანველოვა.

კიდევ ერთი მსხვერპლი

12 ნოემბერს, დღის 4 საათზე მეოთხე სახელმწიფო თუთუნის ქარხნიდან პირველ ქარხანაში საბარგო ავტომობილით გადაზიდეს ბაბინები. ტვირთის გადმოლების დროს ქარხნის ეზოში კედლის ძირას მიმდგარი იყო კარის დარაჯი ამხ. არაქელა ოსიპოვი და გულდამშვიდებით პურს სჭამდა. ამ დროს შოფერმა ავტომობილს სწრაფად უკან დაახევინა და საბრალო მუშა ზედ კედელზე მიაჭყლიტა. დაშავებული იქვე ქარხნის გვერდზე აფთიაქში შეიყვანეს და დახმარება აღმოუჩინეს; შემდეგ ცოცხალ-მკვდარი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის უკვე გარდაიცვალა.

საბრალო მუშას დარჩა ოთხი პატარა შვილი და ცოლი. იმედია თამბაქოს ტრესტი მის დაღუპულ ოჯახს უყურადღებოდ არ დასტოვებს და აღმოუჩენს შესაფერ დახმარებას.

ასეთი უბედურება თითქმის ყოველდღე მეორდება. არ იქნა, ბოლო ვერ მოეღო შოფერების თავხედობას.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ამოსდონ მათ თავაშვებულობას.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

მადლობის ღირსია

რკინისგზაზე მსახურობს „დ.-ტ. ჩეკას" თანამშრომელი ამხ. ხატი წულუკიძე. ის მთელ ღამეს გვინახავს სადგურ ნავთლუღში რომ იცავდა წესრიგს და ხალხსაც ზრდილობიანად ეპყრობოდა, პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას, ამისთვის მუშები და გლეხები უძღვნის მას მუშურ მადლობას.

მუშკორი ალ. ბ—ლი

გამოგზავნილი წერილებიდან

— **სამტრედიის რკინისგზელ მუშათა კლუბში.** აღნიშნულ კლუბში 1 ნოემბერს გაიხსნა საზამთრო სეზონი ამხ. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი"-თ, წარმოდგენას დაესწრო დიდძალი მუშა-მოსამსახურე. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. მოთამაშენი თავიანთ როლებს ძალზე კარგად ასრულებდენ.

ხელკორი.

— **ჩვენც ადამიანები ვართ.** „ზაჰეს"-ში მუშაობს სად. გრაკალის რაიონიდან ჩამოსული გლეხკაცობა (1000 კაცამდე). ესენი შაბათობით მუშათა მატარებლებით ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში, მაგრამ ვაი ამისთანა მოგზაურობას!

როცა მუშები კვირა-საღამოთი ბრუნდებიან სამუშაოზე მათ სადგურზე უხდებათ მატარებლისთვის დაუსრულებელი ცდა. ამ სადგურზე ათენებენ ჩვენი მუშები. აქ დასასვენებელი ადგილიც კი არა აქვთ და მეორე —არაქათ გამოლეულები უბრუნდებიან სამუშაოს. ეს ყოველმხრივ საზიანოა და საზარალოც, ამიტომ საჭიროა მოაწესრიგოთ მუშათა მატარებლის მიმოსვლა ან და სად. გრაკალზე ააშენოთ მუშებისათვის დროებითი ბაქანი, სადაც ისინი დაისვენებენ.

მოსამართლე.

— **მოუმატეთ სტიპენდია.** ქართ. ცენტრ. მუშფაკის სტიპენდიანტ-მსმენელებს დაურიგეს სტიპენდია ოქტომბრის 16-ს: ძველ მსმენელთ—19 მანეთის და ახლებს კი—20 მანეთის რაოდენობით. მიღებული ფულებიდან ზოგს 4 და ზოგს ხუთი მანეთიღა დარჩა, დანარჩენი თანხა კი ვალებში წავიდა; ბევრი მათგანი იძულებულია ტანსაცმელი გაჰყიდოს, რომ თავი შეინახოს. სტიპენდიის ნაწილი, რომელიც უკვე უნდა მოეცათ, დღესაც არა გვაქვს მიღებული.

ვან-მელი.

— **ხიდია საჭირო.** მე-7-ე სამ. უბანში ჩინგიდის და ქართლის ქუჩის შუა არის ერთი დიდი ხევი. წვიმების დროს ამ ხევში წყალი და ტალახი დგება და ხალხს ამ ხევით არ გაევლება.

მუშკორი ალ—ბლი.

— **ჩვენც მოგვეცით წითელი სასადილო.** მე-7 ე უბანში ბრმების სკოლიდან დაწყებული, ვიდრე კახეთის შოსემდის არა გვაქვს არც ერთი წითელი სასადილო და მიკიტნები ტყავს აძრობენ მუშებს და გლეხებს. ამ სამიკიტნოებში მუშა და გლეხი ფლანგავს თავის ნაოფლარს.

მუშა ალ—ბლი.

წერილები სოფლიდან

„ტარიელ"... ქარჩავა
(ცაიში, ზუგდ. მ.)

ქარჩავა ცნობილი ცაიშელი გმირია. თვეს ისე არ გაუშვებს, რომ „რჯულზე" არ გაილეშოს და სოფელში ერთი ვაი-უშველებელი არ ასტეხოს.

გაზეთებშიც არა ერთხელ იყო მოთავსებული წერილები ცაიშელ გმირის შესახებ, მაგრამ ამან ქარჩავა კიდევ უფრო გაათამამა. რას ამბობთ, ხუმრობა საქმე ხომ არაა, ქარჩავას გვარი გაზეთში დაიბეჭდა. ფეხზე ჰკიდია—მას აგინებდენ თუ ლანძღავდენ. საქმე ისაა, რომ ქარჩავას საქმენი საგმირონი მთელ საქართველოს ემცნო და მისმა სახელმა რესპუბლიკანური პოპულარობა მოიხვეჭა.

ალბათ ამით აიხსნება მისი მორიგი თავხედობა, რომელმაც თავის სისაძაგლით სრულიად დაავიწყა ცაიშელ გლეხებს ქარჩავას ძველი მოქმედება. 6 ნოემბერს მან მთელ სოფელს ასწრო დიდი ოქტომბრის უქმე და ეს დასწრობა ისეთ ფორმებში გამოიხატა, როგორც ეს ქარჩავას ვაჟკაცობას შეშვენოდა.

ამ დღეს ის მაინც რაღაც აჩრეულ გუნებაზე იყო. „ღვთის წყალობა" „ღვთის" რისხვათ ეჩვენებოდა. მიზანში ამოიღო ერთი ცაიშელი გლეხი. რაღაც უბრალოზე ყალილა აუტეხა. შეშინებულმა მოპირდაპირემ იცოდა რა ბიჭიც იყო ბატონი ქარჩავა, და აურზაურის ატეხას ისევ თავის მორიდება ამჯობინა. ცაიშელი ტარიელი ამან სულ გააგიჟა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მოწინააღმდეგე ველარსად აღმოაჩინა. ბრაზისაგან გული ისე გაუსივდა, რომ ლამის ხე და შენობები კბილით დაღრღნა.

ბოლოს, რომ ვერარაფერი გააწყო, იძრო რევოლვერი და იქაურობა გააქოხა. შეშინებული გლეხები თავ-ქუდმოგლეჯილნი მოგლეჯილნი კლდე-ორღეებისაკენ გარბოდენ. ვინ იცის, ქარჩავას რევოლვერს იქნებ არა ერთი უდანაშაულო სოფლის მცხოვრები ემსხვერპლა. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს ამ ქვეყნად, და მით უფრო ცაიშელ ტარიელის ტყვიების მარაგს. გამხეცებულ გმირს ტყვიები შილე გამოელია.

მაგრამ ამან ის სრულიადაც არ დააღონა. ცაიში ხომ ქვები ბლომად მოიპოვება. ქარჩავამაც მარდათ ჩააგო რევოლვერი ბუდეში და ქვების სეტყვა დააყენა. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა ერთი თავგამეტებული გლეხი, რომელმაც გაბედა გაგიჟებულ ქარჩავასთან მისვლა. სცდილობდა როგორმე დაეშოშმინებია გრძნობადაკარგული რაინდი.

მაგრამ ქარჩავამ ისეთი უთაქა მას მკერდში ქვა, ხომ დედის რძე წაარწყევინა.

ბევრი რამ გაკვირვებია ამ ქვეყნად და მით უფრო ცაიშში. მაგრამ ვერ გაგვიგია ერთი რამ: როგორ ხდება, რომ ასეთ არამზადებს იარაღის ტარების უფლება ენიჭებათ?

გაქვავებული ღმი.

ალანიები არ ცხრებიან
(ქვალონი, ზუგდ. მ.)

ჩვენს სოფლიდან ამას წინათ დაიბეჭდა კორესპონდენცია აქაურ ვაჭრების, ძმებ ალანიების შესახებ. „კომუნისტის" ის ნომერი, რომელშიაც ეს კორესპონდენცია იყო, ყუმბარასავით გავარდა. ძმებს ალანიებს სიბრაზისგან ჯაგარი ყალყზე დაუდგათ.

როგორც ეს საზოგადოთ ასეთ შემთხვევაში ხდება, ხელათვე შეუდგენ „დამნაშავის" ძებნას. ბევრი იხტუნეს და იწრიალეს, მაგრამ უხილავი „ტინტილა", რომელიც ხელს აწერდა კორესპონდენციაზე, შეგნებულად სდუმდა. სხვანაირათ კი, სავაჭროს დავთრებში მისი ვინაობის გამორკვევა ხომ არ შეიძლებოდა.

ბოლოს, როდესაც წერილის ავტორის ძებნამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, ალანიები გულში ხელის ცემით გამოდგნენ თავიანთ დუქნის კარებთან და გულში ხელის ცემით გაიძახიან: „თავს ლაფს დავასხამ ჩემს გამამხელს", „დედის ვუტირებ ჩემი პატიოსნების შეურაცხმყოფელს"-ო. ერთხელ-ორჯერ სცადეს და ზოგიერთებზე იჭვის მიტანა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

უკანასკნელათ მიმართა შემდეგ ხერხს. „სამას მანეთს ჰპირდება მას, ვინც კორესპონდენტის თავს მისცემს მას ხელში". გასამრჯელო, როგორც ხედავთ, დიდია, სოფელში არა ერთი მოხალისე მოიძებნება, რომ ალანიების პრემია დაიმსახუროს.

საკვირველი რამაა ქვალონის თემი. აქ პირდაპირ ისეთ გენიოსურ აღმოჩენებს აქვთ ადგილი, რომელნიც სხვაგან ჯერ არც კი დასიზმრებიათ. აბა ვინ მისულა ამ დიდებულ აზრამდი, რომ გლეხკორის ძებნისათვის პრემიებიც კი გამოეცხადოს?

ეს გამოგონება ალბათ ალანიების დამსახურებათ ჩაითვლება გლეხკორთა მოძრაობის ისტორიის წინაშე და მათი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება... ალანიების სავაჭრო დავთრებში.

მაგრამ რას ფიქრობს ქვალონის აღმასკომი. ნუ თუ ქვალონი ისე გალატაკდა, რომ ორი ლაგამი მაინც აღარ დარჩა, ალანიების ამოსადებათ?

ტინტილა.

წერილებიდან

ს. ტყნეთი (თბილ. მ.)

მადლობა შეფს. ჩვენი სოფლის შეფია ქართული სამხედრო სკოლა. კურსანტები ხშირად დაიარებიან ჩვენთან, გვაწვდიან ლიტერატურას, მართავენ წარმოდგენებს და მოჰყავთ თავისი სასულე ორკესტრი. სოფელი ამ დახმარებას დიდათ საჭიროებს, რადგან 100 კაცზე 80 წერა-კითხვის უცოდინარია. ამის მიზეზია თბილისის სიახლოვე, სადაც ნახშირით, ხილით და სხვა წვრილმანებით ვაჭრობენ ტყნეთელი გლეხები. სოფელი მადლიერია შეფის ასეთი ყურადღებით.

ალ. კეჩხაძე.

ს. ჩხენიში (ქუთ. მ.)

სამკითხველო იკეტება. გვაქვს კარგათ მოწყობილი ქოხ-სამკითხველო. პოლიტგანმა ჯამაგირი მოუსპო მის გამგეს, რომელიც თვეში ღებულობდა ათ მანეთს. ამის მიზეზით სამკითხველო უქმად დგას. ნუ თუ ერთი თუმნის გულისათვის უნდა ჩაჰქრეს მთელ სოფელში კულტურის ეს კერა?

აკ. მელქაძე.

ბორჯომი

მოწაფეები ცდება. აქაურ შვიდწლედში სამი კვირაა შეწყვეტილია მეცადინეობა: ქართულ ენაში, საზ. მეცნიერებაში და სამშობლო გეოგრაფიაში. რა მიზეზით მოიხსნა აღნიშნულ საგნების მასწავლებელი ბორჯომის შვიდწლედიდან ან რატომ ზაფხულშივე არ იზრუნა სამაზრო კავშირის გამგეობამ შესაფერ პირის გამოძებნისათვის, თუ ძველი მასწავლებელი მას რაიმე მოსაზრებების გამო არ მოსწონდა?

ბორჯომელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ჰაეროდრომი.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საჰაერო ფლოტის საზ-ბის წინაშე ქვიათურაში შესაფერი ადგილობის გამო, სიხერეში ჰაეროდრომის მოწყობის შესახებ.

— **სენაკის აღმასკომმა** დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ფ.-ტ. კომისარიატის წინაშე მაზრაში სატელეფონო ქსელის გაფართოების შესახებ.

— **თელავის** აღმასკომის მეთაურობით 1-ლ ივლისიდან სოფ. იყალთოსა და ყვარელში გაიხსნა საბავშვო ბაღ-მოედნები.

— **აფთიაქების გახსნა.** სენაკის აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. ფოცხოს და უშაფათის მცხოვრებთა შუამდგომლობა აფთიაქის გახსნის შესახებ.

— **შორაპნის** აღმაკომი შეუდგა კიაფურაში მდ. ყვირილაზე ხიდის [illegible] ბას.

— **ტყის გაშენება.** ახალქალაქის მაზრაში დღემდე გაშენებულია ახალი ტყე 200 დესეტინაზე.

დღიურ

24 შემდ

— პოლონეთში მთავრობის შედგენა ზაშინსკის მიანდვეს

1. კრ. გადადგა ჰოლანდიის მთავრობა

3. ფინსახკომის შენიაში საშინელი [illegible] გამეფებულა.

ალმასკომის ადგილკომს, [illegible] ადგილკომს, 6. საბჭოთა და საფ[illegible] ავტონომიურ გამგეობას, 7. საქართველოს სა[illegible] კომს, 8. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ადგილ[illegible] გილკომს, 10. მე-3 რაიონის ადგილკომს (საბჭ. სავაჭ

11. საბაჟო სამმართველოს ადგილკომს, 12. სოციალ უზრუნ მისარიატის ადგილკომს, 13. მთლიან მუშაკთა კოოპერატივის ადგ

14. „ბოეცკა" ადგილკომს, 15. „ზაკტეპოს" ადგილკომს, 16. ა | ქ. მუს და გლეხთა ინსპექციის ადგილკომს, 17. რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილების ადგილკომს, 18. საქციზო სამმართველოს ადგილკომს, 19. სახელმწიფო დაზღვევის ადგილკომს, 20. მოლოკანთა კოოპერატივის ადგილკომს.

ადგილკომი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ც. კ. საადრიცხვო-განმანაწ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. გრიგორ კაჭახიძეს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ც. კ. საადრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

— არსრაიკომის საგ.-საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიონის ყველა პოლიტსკოლების მამასახლისთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ყველა მამასახლისებისთვის.

მდივანი—ფანცულაია.

თელავის პედაგოგიური ტეხნიკუმის მასწავლებლობა მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს საყვარელ პედაგოგის

ნიკოლოზ გოგიტიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას 1—1 ნ.

თელავის პირველი შრომის სკოლა მეცხრე „გ" ჯგუფის მოწაფეები მწუხარებით აუწყებენ ძვირფას მასწავლებელ

ნიკოლოზ გოგიტიძის

ნ.231 გარდაცვალებას 1—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახელი სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ მასწავლებელ

ნიკოლოზ გიტოს-ძე გოგიტიძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და იზიარებენ მისი ოჯახის მწუხარებას.
493 1—1

მეუღლე ბაბალე შევარდნაძისა, შვილები მიხეილ, დიმიტრი და ნინო შევარდნაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი უძვირფასესი

ირაკლი დიმიტრის ძე შევარდნაძის

გარდაცვალების წლის თავზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი, კვირას, დღის 1 საათზე.
488 2—1

გლოვობენ და სტირიან დედა ქეთევანი, მამა ალექსანდრე, შვილები შალვა, კონსტანტინე და თამარი დაუვიწყარ და საყვარელ შვილს, მეორენი სანატრელ ძმას

ალიკო ცაგარელს

ამ უბედური ამბავის წლისთავი აღნიშნული იქნება სამოქალაქო პანაშვიდით, რომელიც შესდგება კუკიის სასაფლაოზე 15 ნოემბერს, დღის 12 საათზე, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ და ალიკოს ამხანაგებს მიცვალებულის ჭირისუფალნი. 489 2—1

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა: მარიამ დიმიტრის ასული და პავლე ესტატეს ძე ლომაძე, დები: ნინუცა, ქეთო და დარეჯან პავლეს ასულნი, ძმა ივანე პავლეს ძე ლომაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ალიოშას

გარდაცვალებიდან წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას, 15 ნოემბერს, დღის 1 საათზე. 485—1—1

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მაკრინე ლუარსაბის ასული ნემსაძისა, შვილები ოთარი, და აბო, დედა მაგდალინა სოლომონის ასული ნემსაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ გარდაცვალების ექვსი თვის თავზე, კვირას, 15 ნოემბერს გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი ქმრისა მეორეს საყვარელი მამისა და უკანასკნელი კის ერთათ ერთი შვილისა

მიხეილ (მიშა) ივანეს ძე ნემსაძისა

კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 481—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სონია, შვილები ალექსანდრე, შალვა და მარგალიტა, მამა ალექსანდრე, ძმები გერმანე, ლავრენტი და ვლასა, რძლები პელო, იულია და ნინა ჯიბლაძეები, და თამარი, სიძე თედორე, დის შვილი გიზო დოლიძეები ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ კვირას, 15 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულ

რაფიელ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძის (რ. ჯიბილა)

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.
ნის. 4837—1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: ლიდა ონოფრის ასული, ნიკოლოზი ივანეს ძე და ივანე (ვანიკო) ხირსელები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 ნოემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მამა, მეორესი სიმამრი და უკანასკნელის ბაბუა

ონოფრი როსტომის ძე

კალანდა ში გატარებული კაცით ნაკლები, ვიდ სასაფლაოვების დღეთ დანიშნულია კვირა, ვიდრე 1923 წლის იმატაურში.

ოპერაციის ურთიერთობა

კოოპერაციის ეროვნულმა საბჭომ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განახლების შესახებ. ამ ურთიერთობას ექნება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატიული სავაჭრო ოპერაციების ხასიათი.

ბის მიერ მტკიცედ დაცულია კლა- | მოცხადება და ყველა კუთხეებიდან | ლის თანამდებობა, ვინაიდან როდე- | ბოლშევიზმის უეჭველ დამსახურებას წარმოადგენს მის მიერ მარქსის | უზრუნველყოფს პროლეტარიატის გამარჯვებას.

ეროვნული

ტრესტის ფაბრიკაშიაც ქოვლენასა აქვს ადგილი. თუ (სა)შიაც ამ გზით ვივლით, მო- წელში ჩვენ გვექნება მიღწე- არა მარტო მუშაობის აღდგენებრივ, არამედ ჩვენი მრეწველობის ახალი ნიადაგზე დაყენების ...

მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ რონოდების რაოდენობა იზრდება თვიდან თვემდე. თუ ჩვენ 24 წელს გვქონდა 62 რონოდა, ეხლა გვაქვს 99, რაც უდრის მათი რი- ცხვის 50 პროცენტზე მეტ- დას. 16 ჩვენ მივაღწი- თუმცა

ტის საშემოსავლო ნაწილი ქალაქში განისაზღვრებოდა 11,5 თით, მაზრ- რაიონ-

...ლები“

პარტერი—35 კ.

...ითხე ადგილები—20 კ.

წლოდმიერა „მეურაგპომრუს“-ის გამოცემა
„ЗАКРОЙЩИК ИЗ ТОРЖКА“

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები მ. ბელსკის და რეიზნერის ხელმძღვანელობით.

სოლისტები—იაკობ ბროდსკი და გ. რეიზნ

0—13 ნ. 115

კოოპერატიული საზო- გადოებრიობა

ქალთა სნ, ქლებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექ. ა. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპ ქტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—17

წიგნის მაღაზია „განათლება“

(ლეს

იყიდება ვოზლის სტატისტიკის ქრ. რაჭველიშვილის საქართველო 1917 წლამდე და სხვა ყოველგვარი წიგნები და საკანც.

მიიღება ფგრეთვე ხელისმოწერა კონზე და პროფ. აბუღაძის რუსულ ლექსიკონებზე თვეში მანეთსში

1—1 484

...ში ცხოვრება

...რხნეების გახსნა

თევზის მრეწველობაშიაც განზრახულია შემოღებულ იქნეს მექანიური მუშაობის მეთოდი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე ქიმიურ მრეწველობას. ამ მიზნით განზრახულია ქუ- გაიხსნას სალებავების ქარხ. სოფ ერევანში ქიმიური ქარხანა. ...ვითისხევში (გორ. მ.) აგე- ...ა ცემენტის ქარხანა. გარ- ...ე დაწყებულია მუშაობ ...არტონისა და ქა- ...ასაგებათ. აღ- ...კოველწლიურათ

შალვა იაკობიძე დათხოვნილია

სა მსახურიდან, ჩამორთმეულია მანდატები, ქვითარები. ...დებენ 1 მიდ. მისი ხელმოწერილ ქვითარით გამოწერილი „მნათობი, ან ...ლის წიგნი და წიგნები არ მიუღია, გთხოვთ გვაუწყოთ: რუსთაველის პროსპ. № 8.

2—1 ნ. 230

კანტორა „მნათობი“

რუსთაველის თეატრი

კვირას, 15 ნოემბერს

მეფის დაბადება საქართველოში

დადგმა კ. მარჯანიშვილის

სამშაბათს, 17 ნოემბერს

ჰ ა მ ლ ე ტ

მინაწ ილობს პირველი შემადგენლობა

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს

მ ა ლ შ ტ რ ე მ

5—1 ნ 233 დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 14 ნოემბ. **დუბროვსკი**

კვირას 15 ნოემბერს

პიკის ქალი

სამშაბათს, 17 ნოემბერს

თავადი იგორი

234—ზ—1

ამიერ-კავკასიის ზომა-წონის მთავარი სამმართველოს სალიკვიდაციო კომისია,

რომელიც შედგენილია ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს 27 ოქტომბრის დადგენილებით, ამით აცხადებს ყველა იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ, რომლებსაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ამიერ-კავკასიის ზომა-წონის მთავარ სამმართველოს ან მის ქვემდებარე რესპუბლიკანურ ორგანოებისადმი ე. ი. საბჭოთა საქართველოს და სომხეთის მეტრიულ სისტემის მთავარ კომიტეტების და აზერბეიჯანის მეტრიულ წონა-ზომის კომიტეტისადმი, რომ ასეთი პრეტენზიებით უნდა მიმართონ ა. კ. ზომა-წონის მთავარ სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიას (თბილისი, სოლოლაკის ქ. № 9) ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიის მიერ არ იქნება განხილული.

ა.-კ. ზომა-წონის მთავარ სამმართველოს სალიკვიდაციო კომისია.

ნის. 232 1—1

გამოვიდა ქრისტეფორე რაჭველიშვილის
„საქართველოს მოკლე ისტორია“

(დასაბამიდან 1917 წლამდე) და იყიდება ბითუმად და ცალობით „განათლების“ წიგნის მაღაზიაში. (ოლღას ქ. № 6)

ს. თავართქილაძესთან.

იქიდან შეუძლიათ მიიღონ წიგნის მაღაზიებმა და კერძო პირებმა. ვინც 20 ცალზე მეტს წაიღებს დაეთმობა 20 პროც.

ნ. 229 2—1

სავალდებულო დადგენილება №88

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილების № 88 მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილების № 88 მეორე მუხლის შესაცვლელად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის № 88 სავალდებულო დადგენილების მეორე მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

სახლის პატრონებს ევალებათ ამ დადგენილების პირველი მუხლში, ლიტ. „ა“, „ბ“ და „გ“-ში ჩამოთვლილი სამუშაოები დაამთავრონ 1926 წლის 1-ლ იანვრამდე, ხოლო იმავე პირველ მუხლში, ლიტ. „დ“-ში აღნიშნული შეკეთება—1926 წლის 1 ივნისამდე.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

კომ. განყ. გამგის მოადგილე: **ახჩიევი.**

ნ. 237 1—1.

მდივანი **ცქიტიშვილი.**

ა. წ. პირველ დეკემბრიდან გაზ. „ს პ ა რ ტ ა კ ი ს“ ნაცვლად იწყებს გამოსვლას ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის

ყოველდღიური გაზეთი
„ახალგაზრდა კომუნისტი“

(გადიდებული ფორმატით)

გაზეთს ექნება შემდეგი მუდმივი განყოფილებები:

1. ხელმძღვანელი ხასიათის წერილები კომკავშირის მუშაობის ყველა დარგიდან;
2. წერილები საბჭოთა-პარტიულ ამოცანებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშათა საერთაშორისო მოძრაობაზე;
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა (კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობა და ჩვენი მტრები ხაზღვარ-გარეთ);
4. ჩვენი კავშირის ცხოვრება;
5. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება;
6. პიონერთა ფურცელი;
7. საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობა;
8. მეცნიერება და ტეხნიკა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ახალგაზრდობა და ლიტერატურა, და სხვ.

თვითეული კომკავშირელი, ყოველი ახალგაზ. მუშა. და გლეხი, მოსწავლე, ახალგაზ. წითელ-არმიელი

უნდა იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთს
„ახალგაზრდა კომუნისტ“-ს

თვითეულმა ადგილკომმა, კლუბმა, ქოხ-სამკითხველომ და სკოლამ უნდა გამოიწეროს

„ახალგაზრდა კომუნისტი“

ხელის მოწერის პირობები: გაზეთი ღირს ქაღალდად:

1 თვით	—	70 კ.
3 „	2 მან.	„
6 „	4 „	„
1 წლით	8 „	„

გაზ. ღირს ქაღალდ-მარკით:

1 თვით	—	75 კაპ.
3 „	2 მან.	10 „
6 „	4 „	20 „
1 წლით	8 „	40 „

რედაქციის და კანტორის მისამართი: რუსთ. პრ., № 20, საქ. ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ცეკა—„ახალგაზრდა კომუნისტისათვის“.

გაზეთზე ხელის მოწერა დაიწყება 10 ნოემბრიდან

პასუხისმგებელი რედაქტორი შალ. ბახტაძე

ნ. № 202—6—5

„წერაკუმშის“ გამოცემა

გამოვიდა კედლის დასურათებული კალენდარი 1926 წლისა

სურათები: რევოლუციონერების, მეცნიერების, საზოგადო. მოღვაწეების, მხატვრების, მწერლების, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების და შესანიშნავი ადგილების; საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები, შრომა და ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ; თბილისის შესანიშნავი ადგილები, საქართველოს ტიპები და სხვა. სულ მოთავსებულია 366 სურათი.

შინაარსი: პოლიტიკა, ტეხნიკა, პოეზია, მხატვრობა, სასოფლო მეურნეობა, პრაქტიკული მედიცინა, სტატისტიკური და სხვა მრავალი ცნობები სხვადასხვა დარგიდან.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება მხოლოდ „წერაკუმშის“ მაღაზიაში

რუსთაველის პროსპექტი № 11

ამ დღეებში გამოვა მაგიდის კალენდარიც

ვინც უშუალოდ „წერაკუმშის“ მაღაზიიდან შეიძენს, დაეთმობა 30 პროც. შეიძლება ფოსტით გამოწერა ფასდადებით.

2—1 ნ. 236

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ბლინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება დილით და საღამოთ შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი
ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ტუბერკულოზი (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: საღამოობით 5—7 ს. შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7—8 ს. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. ჟუკოვის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (I უბანი). 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქ. 89. (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე. ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

ექიმი ვ. ს. არზუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი გ. ა. ლუკოვსკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილ

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავად თა მიღებას დილის 9 საათიდან სრუ ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. საბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—

ექიმი ი. ი. ჭეიშვ

სიფილისი, ვენერიული და სნეულ. დაბრუნდა და განაახლ ყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. დ 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი მთავრის).

ექიმი გ. ნ. მაგაკ

შინაგანი და ბავშვთა სნეულ კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობ ციალური ექიმობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბ ვის ქ. № 38.

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკე

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ქტრონის კაბინეთი. ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ნის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

დოქტორი გ. მეგრაბი

ფილტვების, გულის და წამლობა ხელოვნური მთის სპნეუმოტორაქსით და ტუბერკ ბით, რენტგენის, და სინა ელექტრონის სამკურნალო კაბ ში—იღებს 9—1 საათ. დილ, საღ. ბეტჰოვენის ქუჩა, № 2

ექიმი პ. გ. ვართანნ

სიფილისი, კანის და ვენერ ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე ღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ჩის კუთხე, რკინის გზის სამმ ლოს მახლობლად.

დაჰკარგე დამხლევი წიგნაკი ივანე ისიდორეს ძე გოლეთიანის სა ჩ. გ. 483

დაჰკარგე საბინაო დავთარი, შესახვევი № 7 სახლის პატრონ ზაქ ლისა. ჩ. გ. 480

დაჰკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ქუთაისის მილიციის სამმ ლოდან ვლადიმერ იბრამის ძე ბუნ სახელზე. ჩ. გ. უ.

დაჰკარგე პირადობის მოწმობა გიორგის ძე ბაბუკაშვილის სახელზე. 482

დაჰკარგე სამხედრო აღრიცხვის ბა № 46 და პირადობის მოწმობა, ივანეს ძე ჯანაშიას სახელზე. ჩ. გ. 487

დაჰკარგე პირადი წიგნაკი ა. ლეო წეროძის სახელზე. ჩ. გ. 486

დაჰკარგე მატრიკული, გაცემული ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის № 272 ვალერიან მელიტონის ძე ქ ძის სახელზე. ჩ. გ. 492

დაჰკარგე აღრიცხვის ქაღალდი № ივანე ფარჩუკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 491

დაჰკარგე ახ. ლ. კ. კ. ბილეთი № დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 979 შირის წიგნაკი ვარლამ ხუციშვილის ზე. ჩ. გ. 495

დაჰკარგე სამტრედიის რკინისგზის პერატივის საწევრო წიგნაკი № 2777, კაპაროვას სახელზე. ჩ. გ. ნ. 235

XXV რუსთაველის თეატრი XXV

შაბათს 14 ნოემბერს, გაიმართება დამსახურებულ მწერალ-დრამატურგ

კოლია ირეთელის
=იუბილე=

1 განყოფ.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა,

ს. დევდარიანის: ქართველი ინტელიგენცია და ქართული მწერლობა.

იმღერებენ: საოპერო თეატრის მსახიობნი: ქუმსიაშვილი და ვენაძე.

2.

წარმოდგენილ იქნება: **„დამარცხებულნი“**

მეორე მოქმედება—დრამა ირეთელისა.

3.

„ქ რ ი ს ტ ი ნ ე“

მეოთხე მოქმედება—დრამა მისივე.

მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა, მ. გუნია, რესპ. სახალხო არტ. ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, მ. მინდიაშვილი, მარკოზოვი, მ. ანაშვილი და სხვანი.

4.

ს ა ზ ე ი მ ო ს ხ დ ო მ ა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. საიუბილეო კომიტეტი.

ნ. 216. 3—3.

„სექარის სითხე“
„გალენ მოსკოვი“-ს

ორგანო-ტერაპევტიული ლაბორატორიიდან. დამზადებულია პროფ. ბიუხნერის წესით ახალ სათესლე ჯირკვლებისაგან. ნებადართულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ № 8362.

ჩვენებანი ხმარებისათვის: ნევრასტენიის ყოველი სახის, დაქანცულობა, მოხუცებულობის ნიადაგზე დაუძლურება, ორგანიზმის დასუსტება გადატანილ დამაუძლურებელ ავადმყოფობათა შემდეგ: ტიფი, ინფლუენცია, სიფილისი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობანი; სისხლის მილების არტერიოსკლეროტიული ცვლილებანი; ნეკრესის ქარები, სქესობრივი უძლურების ყოველი სახე, კონსტიტუციონური ავადმყოფობანი: სისხლნაკლებობა, ტუბერკულოზი, დიაბეტი (შაქრის ავადმყოფობა), ზურგის ტვინის ათაშანგი.

ადვილი შესათვისებელია. არ აქვს მავნე დამხმარე მოქმედება ხმარების დროს.

უფრთხილდით სიყალბეს. აუცილებლად მოითხოვეთ მწვანე ბანდეროლით და წარწერით: კანტროლი. სექარის სითხე. გენერალური წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2. იყიდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახმედვაქროების, აფთიაქების სამმართველოს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში. იგზავნება ფოსტით 25 პროც.-ის საწინდრის მიღების შემდეგ არა ნაკლები 4 ფლაკონისა

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ.

წერილები, შეკვეთა და ფულები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: კოოპერატივ „გალენ“-ის წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში, თავისუფლების მოედანი (ყოფ. თამამშევის პასაჟი) მეორე სართული, განყ. 3. **ЗАКАВК. представительство кооператива Гален Тифлис, пл. свободы (б. пассаж Тамамшева) второй эт. отд. 3.**

195 0—2

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამ წულუკიძის ქუჩა № 4